პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაჯრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

Коллекция Ил. Федос[illegible]

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

დღიური

ინგლისის არჩევნებში მუშათა პარტიამ და ლიბერალებმა მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე კონსერვატორებმა.

ბულგარეთის შაქრის ქარხნებში დაიწყო გაფიცვა. [illegible] მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოუცხადეს.

ამ დღეებში მოელიან საფრანგეთის და ჩეხო-სლოვაკიის დაკავშირებას.

ინგლისის გამოკლებით, ევროპას მართებს ამერიკის 7.200.600 დოლარი, რის აუცილებელ გადახდას თხოულობს ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი.

№ 284 კვირა, 9 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 284

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს.

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
3. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.
4. საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
5. საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
7. მოხსენება მაზრების რაიონებათ დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტივების შესახებ.
8. მოხსენება ქართული ლაშქრის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
10. ს. ს. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი პ. ხაბაშვილი.

მუშკორების და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საერთო საქალაქო კრება

„მუშათა პრესის“ კლუბის ბინაზე

დღის წესრიგი:

1) ამხ. მიასნიკოვის მოხსენება ჩვენს პრესაში მუშკორების ამოცანების შესახებ.

2) ანგარიში მუშკორების მოსკოვის თათბირის შესახებ—მომხსენებელია ბაქოს მუშკორების დელეგატი ამხ. ტარასოვი.

3) საორგანიზაციო საკითხი.

კრება გაიხსნება დღის 12 საათზე კვირას, 9 დეკემბერს განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. 3).

მოწვეულნი არიან პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

განათლების მუშაკთა კავშირის სამდივნო.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიურო.

მიწის კანონმდებლობა

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ გამომუშავებული პროექტი მიწის კოდექსისა, რომელიც შევა ძალაში სათანადო განხილვისა და დამტკიცების შემდეგ. მიწის საკითხი მეტად რთული საკითხია და სრულიად ბუნებრივი და მიზანშეწონილია კოდექსის პროექტის წინასწარ გამოქვეყნება მშრომელთა ფართე წრეებისათვის გაცნობის მიზნით, რათა ყველამ შესძლოს თავის მოსაზრება-[illegible]ულებების გამოთქმა მის შესა[illegible] მით მიწის კანონმდებლობა[illegible]იური მონაწილეობის მიღება. [illegible]მდე ჩვენში არ არსებობდა ასეთი კოდექსი და შეუძლებელიც იყო აგრარული რეფორმის მსვლელობის დროს გარკვეული და მუხლობრივ ჩამოყალიბებული კანონმდებლობის შექმნა. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ დღეს, როდესაც ჩვენ შეგვიძლია განვლილ დაკვირვებათა და გამოცდილებათა მიხედვით გამოვიმუშაოთ მიწის კანონმდებლობა. კოდექსში თავიდან ბოლომდე დაცულია მშრომელი გლეხობის ინტერესები ჩვენი ქვეყნის თავისებურ პირობებთან ანგარიშის გაწევით.

კოდექსის დასაწყისშივე უარყოფილია კერძო საკუთრების პრინციპი და მთელი მიწა-წყალი გამოცხადებულია სახელმწიფოს საკუთრებად. მიწით სარგებლობა შეუძლია საქართველოს ყოველ მოქალაქეს ან და საზოგადოებრივ ორგანიზაციას (კომუნა, არტელი, ამხანაგობა), რომელიც მიწას დაამუშავებს თავის საკუთარი შრომით. დაქირავებული შრომით სარგებლობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დაშვებული და ისიც მხოლოდ მიწის მუშებისთვის. მიწის მუშას თუ რაიმე მიზეზის გამო უხდება თავის მეურნეობის მიტოვება დროებით, მას მიწა ენახება სამი წლით. მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია. მიწით სარგებლობა შესაძლებელია სამი ფორმით: ნაკვეთობითი, საამხანაგო და თემური. მთელი საქართველო დაყოფილია ხუთ რაიონათ და გამომუშავებულია ნორმები ცალკე კომლისთვის, მიწის ღირსების, კატეგორიის მიხედვით.

ამნაირად მიწის კოდექსს ის პრინციპები უდევს საფუძვლად, რომლებიც წამოიჭრენ და გატარდენ თვით აგრარული რეფორმის მსვლელობაში. კოდექსი აერთიანებს ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს გამოსულ კანონმდებლობას მიწის საკითხის შესახებ; კოდექსი იძლევა სრულ სურათს ჩვენში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების შემდეგ მიწათმფლობელობაში და მიწით სარგებლობაში დამყარებულ ურთიერთობისას.

ეს ურთიერთობა დამყარებულია თვით მშრომელი გლეხობის ინიციატივით და მასში სრულებით დაცულია რევოლიუციონური სამართლიანობა. კოდექსშივე განმარტებულია წესები და დებულებები მიწათმოწყობისა, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. მიწათმოწყობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის პირობებში გადასახლების საკითხს, რადგანაც ზოგიერთ მაზრებში სავარგისი მიწების რაოდენობა მეტად მცირეა და გლეხობას მხოლოდ რამოდენიმე თვის მოსავალი მოსდის. ამ საკითხის მოწესრიგების გზაც ნაჩვენებია კოდექსში, დაშვებულია მხოლოდ ნებაყოფლობითი გადასახლება ერთი რაიონიდან მეორეში მიწათმოქმედების კომისარიატის დასტურით.

რაიმე ცვლილების და დამატების შეტანა კოდექსის პროექტში შესაძლებელია, მაგრამ საერთოდ ის სრულ მისაღებ ნორმებშია ჩამოყალიბებული და მისი გამოქვეყნება ყველას აძლევს საშუალებას იქონიოს სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ გადასჭრა აგრარული საკითხი საბჭოთა მთავრობამ.

მიწის საკითხი თავიდანვე რევოლიუციის ერთი მთავარი საკითხთაგანი იყო. მშრომელი გლეხობა რევოლიუციის მხარეზე იმ მოსაზრებით დადგა თავიდანვე, რომ მის გამარჯვებას უკავშირებდა მიწის საკითხის სამართლიანად და მის სასარგებლოთ გადაჭრას. მრავალი პარტიები პირდებოდენ მას ამ საკითხის მის სასარგებლოთ მოგვარებას, ბატონყმობის ნაშთების მოსპობას, მაგრამ კომუნისტური პარტიის გარდა ვერცერთმა ვერ შესძლო მშრომელი გლეხობის დაკმაყოფილება. ვერც ესერთა პარტიამ, რომელსაც თავი მოჰქონდა გლეხობის გულის მესაიდუმლეთ ვერ შესძლო აგრარული რევოლიუციის ჩატარება, რის გამოც გლეხობამ პირი იბრუნა მისგან და თავისი ბედი დაუკავშირა რევოლიუციონურ პროლეტარიატის ავანგარდს—კომპარტიას.

ვერც მენშევიკებმა შესძლეს თავისი ბატონობის მთელი სამი წლის განმავლობაში მიწის საკითხის რევოლიუციონურათ გადაჭრა. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ მოახერხა მიწათმფლობელობის და მიწით სარგებლობის ახალ საფუძველზე მოწყობა მშრომელთა ინტერესების სრული დაცვით. მხოლოდ მუშათა კლასის და გლეხობის მტკიცე კავშირმა დაამყარა ახალი ურთიერთობა სოფელში, განდევნა რა, იქიდან ყველა მუქთახორა, პარაზიტული ელემენტები და გაუხსნა რა გზა შრომის მოყვარე გლეხობის თვითმოქმედებას, ინიციატივას. მიწის კოდექსი ამის იურიდიული გამოხატულებაა და ის საზღვარს უდებს ყოველგვარ გაუგებრობას და შეცდომებს, თუ ასეთებს ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში. მუშათა კლასთან მტკიცე კავშირმა მიანიჭა მიწის საკითხში გამარჯვება გლეხობას და ესევე კავშირი შესძლებს ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინებას და განვითარებას.

სახელოვანი იუბილიარი

დღეს სრულდება სახალხო თეატრის არსებობისა და მოღვაწეობის 30 წელი.

[illegible]ნადი მოღ[illegible]ძოდ [illegible]

[illegible]რით გატაცებულ, მუშების წყალობით, 30 წლის წინედ საფუძველი ჩაეყარა ისეთ დიდ და უჩვეულო საქმეს, როგორიცაა სახალხო თეატრი.

სუსხიანი და შავბნელი იყო მაშინდელი დრო, ნარითა და ეკლით იყო მოფენილი სახალხო თეატრის მუშაკების სავალი გზა მთელი ათეული წლების განმავლობაში.

ნიკოლოზის სულთშემხუთავი რეჟიმი, რომელიც ძირშივე ჰკლავდა ყოველივე საზოგადოებრივ საქმიანობას, მით უმეტეს მუშათა კლასის თვითმოქმედებას მისი შეკავშირების და გათვითცნობიერების ნიშნებს; უკიდურესი მატერიალური გაჭირვება; ჩვენი „მაღალი“ საზოგადოების ალმაცერული და ქედმაღლური დამოკიდებულება მუშათა წრიდან გამოსულ მუშაკების კულტურული ნაბიჯებისადმი,—აი ის საერთო პირობები და ატმოსფერა, რომლებშიაც იმთავითვე უხდებოდა თავისი მოღვაწეობის გაშლა სახალხო თეატრს.

მაგრამ უდიდესი იყო მუშათა კლასის ნებისყოფა კულტურისადმი, დაუშრეტელი და უძლეველი იყო სახალხო თეატრის მუშაკების მისწრაფება-ენერგია დაწყებული საქმის თავგამოდებით სამსახურისა; და ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად უამრავი დაბრკოლებებისა, მათ მთელი მშრომელი მასის აქტიური თანაგრძნობა-დახმარებით ღირსეულად შეასრულეს ალებული მოვალეობა ათეული წლების განმავლობაში.

ერთხელ დანთებული კულტურის კერა ღვივდა და გაფართოვდა. გაჩნდნენ მუშათა სხვადასხვა უბნებში სახალხო თეატრები, გამოჩნდნენ საჭირო მუშაკნი და ხელმძღვანელნი. სახალხო თეატრის წარმატება გადაიქცა მთელი მუშათა კლასის საკუთარ საქმედ.

მრავალმხრივი სამსახური გაუწია სახალხო თეატრმა მშრომელ მასას.

მან დიდად შეუწყო ხელი მუშათა კლასის მასიურ გათვითცნობიერებას და ესთეტიურ აღზრდას, მისი გონების ამაღლება-გაფართოვებას, ადამიანთა ურთიერთობაში ჩახედვას, მისი ზნეობრივი სახის და ყოფა-ცხოვრების გაფაქიზებას.

ამასთან განუზომელია სახალხო თეატრის რევოლიუციონური როლი. ეს არ იყო მარტო კულტურულ-ესთეტიური დაწესებულება. მისი მუშაობა უაღრესად რევოლიუციონური იყო. მისი რეპერტუარი მეტწილად სოციალურ და რევოლიუციონურ ხასიათისა იყო. სახალხო თეატრის სცენა ააშკარავებდა ძველი წყობილების სიდუხჭირეს, ზრდიდა მუშათა აუდიტორიაში პროტესტანტულ სულიერ განწყობილებას, უხატავდა მას უკეთესი ცხოვრების სურათებს, ულვიძებდა მომავლის იმედებს და ამზადებდა ბრძოლისათვის მჩაგვრელთა სამეფოს დასამხობად.

სახალხო თეატრი მუშათა კლასის უდიდესი ორგანიზატორი იყო. ის ანვითარებდა მასში თვითმოქმედებას, ინიციატივას, აკავშირებდა საერთო საქმეების გარშემო.

სახალხო თეატრმა აღზარდა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართე სარბიელზე გამოიყვანა მუშათა წრიდან მრავალი მუშაკი.

ასეთია ზოგადად სახალხო თეატრის მოღვაწეობა და მნიშვნელობა.

განსაკუთრებით ძვირფასია, რომ ყველაფერი ეს გააკეთეს უშუალოდ თვით მუშათა მასებმა, მათი წიაღიდან გამოსულ პირებმა.

ეს გარემოება გვიჩვენებს, თუ რა შესაძლებლობა იმალება მუშათა კლასში.

თუ მან შესძლო ასეთი კულტურული ლამპარის დანთება და ამისათვის საჭირო ორგანიზატორული ნიჭის გამოჩენა ფრიად არახელსაყრელ პირობებში, როცა ის ყოველგვარ უფლებებს და საშუალებას მოკლებული იყო, მით უმეტეს გაშლის ის თავის ძალებს დღეს, როცა ხელთ უპყრია მთელი ძალა-უფლება.

ამის უტყუარი საწინდარია, სხვათაშორის, სახალხო თეატრის 30 წლის სახელოვანი მოღვაწეობა.

გაუმარჯოს დღევანდელ სახალხო იუბილეს. გაუმარჯოს სახალხო თეატრის მუშაკებს.

მიწის კოდექსი*)

დღემდე გამოცემულ კანონებს და ინსტრუქციებს მიწის საკითხის მოსაგვარებლად ჩვენში ჰქონდა ხასიათი დეკლარაციისა. იქ არ არის გაშუქებული დაწვრილებით ყველა ის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ მიწის საკითხის მოგვარება-მოწესრიგებიდან. საბჭოთა რუსეთმა, რომელიც მასწავლებელია ყველა განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების არა მარტო მიწის საკითხში, არამედ ყველა პოლიტიკურ-ეკონომიურ დარგებში, მხოლოდ ხუთი წლის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ შექმნა მიწის კოდექსი. ასე დაგვიანებით ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ საკითხის შესწავლას პრაქტიკულად დიდი დრო და გამოცდილება დასჭირდა.

აქედან თავისთავად ცხადია თუ რისთვის არ გვქონდა ჩვენ დღემდე მიწის კოდექსი: უნდა შეგვესწავლა კარგად ჩვენი ქვეყნის სინამდვილე, მისი სპეციფიური პირობები, ჯეროვანად უნდა მოვმზადებულიყავით და მერე შევდგომოდით მის შედგენას.

მიზანშეწონილი იქნებოდა, უბრალოთ „გადმოგვეღო“ რუსეთის კოდექსი. ეს იქნებოდა შაბლონიურად საკითხის გადაჭრა და არა გაგება ჩვენი ქვეყნის ყველა თავისებურებათა.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეამუშავა ასეთი კოდექსი და ჩვენი მკითხველი გაეცნობა მას გაზეთის დღევანდელ ნომერში.

პირველად ყოვლისა საბჭოთა კავშირის ყველა სახელმწიფოებისათვის არსებობს ერთი ძირითადი პრინციპი მიწის საკითხის გადაჭრაში. ეს არის რევოლიუციონური მარქსისტული ეკონომიური მოძღვრებიდან გამომდინარე ნაციონალიზაციის პრინციპი. ამის ძირითადი დებულებები ყველასათვის უნდა იყოს სავალდებულო.

ხუთი წლის პრაქტიკულმა მუშაობამ და გამოცდილებამ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ მხოლოთ მარქსისტული იდეიიდან გამომდინარე პროგრამით შეიძლება მიწის საკითხის მოგვარება.

რა გვასწავლა ამ პრაქტიკამ რუსეთში და ჩვენში მიწის საკითხის გადაჭრის სფეროში?

ყველამ იცის რომ 1917 წ. ოქტომბერში, გადატრიალების დღეებში, საბჭოთა ყრილობამ მოისურვა გაეტარებია მიწის სოციალიზაცია. ყრილობის შემადგენელი გლეხები მაშინ ასე იყვნენ განწყობილნი. განვლო მას შემდეგ ორმა-სამმა წელმა და იმავე საბჭოების ყრილობამ უარჰყო მიწის სოციალიზაცია, ვინაიდან მისი განხორციელება შეიქმნა სოფლის მეურნეობის ამწეწ-დამწეწი და გამანადგურებელი, ამას თვით სოფლის მშრომელი გლეხობა მიხვდა და უარჰყო ეს უტოპია. 22 წ. რუსეთის კოდექსში თქვენ ხედავთ რომ გატარებულია მიწის ნაციონალიზაციის პრინციპი. მხოლოთ აქა იქ არის ნაშთი სოციალიზაციისა, რომელიც ჩვენი კოდექსიდან ჩვენ სრულებით უნდა განვდევნოთ.

ასეთია მაგ. 1) გათანასწორებითი გადაყოფა. ამას ძალიან უნდა ვერიდოთ. მან ჩვენშიც იჩინა თავი ზოგიერთ მაზრებში. მისი დაშვება ყოვლად შეუძლებელი იყო ვინაიდან ეს მიგვიყვანდა ჩვენი სასოფლო მეურნეობის განადგურებამდე.

2) თემობრივი მიწით სარგებლობის უფლება ადგილობრივ ორგანოების განკარგულებით. ამის დაშვებაც ყოვლად შეუძლებელია. ესეც ნაშთია ესერების პროგრამისა. ამ ნაშთიდანაც უნდა გავწმინდოთ ახალი კოდექსი.

მიწას განაგებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახით, მის სრულ ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა დარჩენ. ყველა ადგილობრივი სამაზრო და სათემო საადგილ-მამულო ორგანოები. სახელმწიფო უნდა იყოს მთავარი ხელმძღვანელი, ხოლო ადგილობრივი ორგანოები კი მის დირექტივის გამტარებელნი. ამას გულისხმობს მიწის ნაციონალიზაცია.

3) დღემდე ჩვენი დეკრეტები შესავალში ასე იწყებოდა: „მიწა შეადგენს ხალხის საკუთრებას“. ამასაც ესერული ელფერი აქვს. საჭიროა ვთქვათ: მიწა, ტყე და წყალი შეადგენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საკუთრებას.

4) უეჭველად უნდა დარჩეს ძალაში ნორმის პრინციპი, რომელიც არ არის რუსეთის კოდექსში, ამას ჩვენი სინამდვილე აუცილებლად მოითხოვს.

რუსეთის კოდექსში არ არის ნაჩვენები ნორმის რაოდენობა, იქ ნაჩვენებია: „შრომითი ნორმა“, ამას ჩვენ ვერ შევძლებთ, რამდენადაც ჩვენ განვიცდით მიწის სიმცირეს.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკების საშუალო ნორმა. საქართველოში ასეთ ნორმათ ითვლება 4 დესეტინა, უკრაინაში—26 დესეტინა, ტურკესტანში—39 დესეტინა და სხვ. თავის თავად ცხადია, რომ ისეთ ადგილებში, სადაც 26 ან მეტი დესეტინა ითვლება საშუალო ნორმათ - არ არის საჭირო განსაზღვრა მაგარი ნორმის რაოდენობისა ციფრებში. იქ შეიძლება დარჩეს „შრომითი ნორმა“, როგორც ეს არის რუსეთის კოდექსში. ჩვენ ვეყრდნობით საშუალო ნორმას, 4 დესეტინას, რომელიც უნდა დავიცვათ კანონში ყოველ მიზეზის გარეშე.

როგორც მკითხველი ხედავს გამოქვეყნებული კოდექსიდან, კომისიამ—რომელსაც დავალებული ჰქონდა მისი შემუშავება—დაამთავრა ეს საქმე. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. კოდექსს უნდა გაეცნოს პარტიული და არა პარტიული ფართე მასსა. ამხანაგებმა უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრი მის შესახებ, შეიტანონ თავიანთი წვლილი მის საბოლოოთ დამუშავებაში თავიანთი შესწორებებით თუ დამატებებით. ეს ძალიან შეამსუბუქებდა კომისიის ამოცანას და აგრეთვე მომავალ სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის მუშაობასაც, რადგან ამ ყრილობამ უნდა დაამტკიცოს კოდექსი.

ი. ჟვანია.

---

*) სადისკუსიო

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობის „ბეჯითობა“

გრძელდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაშლა

სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ: მემარჯვენეთა პრესა დიდ კამპანიას აწარმოებს საქსონიის მთავრობის წევრ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

მემარჯვენეთა პრესა აქვეყნებს დოკუმენტებს, რომელნიც შეეხებიან სოციალ-დემოკრატების მიერ ფარულ მილიციის მოწყობის საქმეს.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ფორვერტსის“ ტირაჟი ძლიერ დაეცა.

მთავრობის „ზომები“: მთავრობამ დახმარება შეუმცირა უმუშევართ, რაც გამოწვეულია იმით, რომ უნდათ ძალით მოახვიონ მუშებს რვა საათის სამუშაო დღის გაუქმება.

გერმანიის ამბების გამოძახილი: გამოირკვა, რომ გერმანიას დახმარებას გაუწევს არა ამერიკის მთავრობა, არამედ ამერიკის მრეწველთა კერძო ჯგუფი.

მთავრობის „გაფართოებული უფლებები“

კანონ-პროექტი მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ

ბერლინი, 7 დეკემბერი. მესამეთ წაკითხვა კანონ-პროექტის მარქსის მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ წააგავდა იმ კანონ-პროექტის მესამეთ წაკითხვას, რომელიც შეეხებოდა შტრეზემანის მთავრობის უფლებათა გაფართოვებას. კანონ-პროექტის ცალ-ცალკე მუხლების კენჭისყრამ დაარწმუნა მთავრობის პარტიები იმაში, რომ მათ იმედი არ უნდა ჰქონდეთ კენჭისყრის დადებითი შედეგის, იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ნაწილი ოპოზიციაში უდგია მთავრობას. და აგრეთვე იმ დეპუტატთა რიცხვის სიმცირის გამო, რომელნიც მზათ არიან ხმა მისცენ კანონ-პროექტს.

საბოლოო კენჭისყრა გადადებულია 8 დეკემბრისათვის. მთავრობის პარტიებს განზრახვა აქვთ გამოიწვიონ ტელეგრაფით რეიხსტაგის ის წევრები, რომელნიც ამჟამათ არ ესწრებიან სხდომებს. მათ იმედი აქვთ, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ფრაქციონული დისციპლინის წესის თანახმათ აიძულებს ყველა თავის წევრებს ხმა მისცენ კანონ-პროექტს. ნაციონალისტების პოზიცია ჯერჯერობით გამოურკვეველია. შესაძლებელია, რომ ისინი ობსტრუქციის მიზნით, დასტოვებენ სხდომას კენჭისყრის წინ და ამით დაარღვევენ ქვორუმს.

რეიხსტაგის დათხოვნის წინ

შესაძლებელია რეიხსტაგის დათხოვნა.

პარიზი. 8 დეკემბ. იმ შემთხვევაში თუ შაბათს მთავრობა საგანგებო უფლებათა საკითხის კენჭისყრის დროს ვერ მიიღებს ხმების აუცილებელ ორ მესამედს,—შესაძლებელია რეიხსტაგი დათხოვნილ იქნეს.

პარიზი. 8 დეკ. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ მარქსს მზათ აქვს დეკრეტი რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ; სოციალ-დემოკრატიული გაზეთები მოუწოდებენ რეიხსტაგის სოც.-დემოკრატ. დეპუტატებს უეჭველად დაესწრონ რეიხსტაგის შაბათის სხდომას და მიიღონ ზომები ნაციონალისტების ტაქტიკის დასამარცხებლათ. მემარჯვენე გაზეთები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელმა ამბებმა ნათლათ დაამტკიცეს რეიხსტაგის აბსოლიუტური უვარგისობა.

სოციალ-დემოკრატია იშლება

დაშლის პროცესი.

ბერლინი, 7 დეკემბერი. „ბორზენი ცეიტუნგში“ იტყობინება, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაშლა გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. „ფორვერტსი“ გამოდის 30.000 ცალი, ვინაიდან მას მყავს არა უმეტეს 20.000 ხელისმომწერისა ძალიან გართულებულ ფინანსიურ მდგომარეობის გამო, მოსალოდნელია გაზეთის დახურვა.

მძიმე ფინანსიური მდგომარეობა დასტურდება პარტიის ცეკას მოწოდებით პარტიის სასარგებლოთ შემოწირულებათა შეგროვების შესახებ.

სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ

კანონ-პროექტის განხილვა.

ბერლინი. 7 დეკემბერი. კანონ-პროექტის მესამეთ წაკითხვა, რომელიც სწარმოებდა 6 დეკემბერს, დაიწყო ტევტონთა პარტიის ლიდერის ვულლეს სიტყვით, რომელმაც აღნიშნა სოციალ-დემოკრატების შიში ახალი არჩევნების წინაშე. „სოციალ-დემოკრატია, სთქვა ვულლემ, სცდილობს შეინარჩუნოს თავისი ეხლანდელი მდგომარეობა და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავიდან აიცილოს ახალი არჩევნები; სოციალ-დემოკრატია უფრო ხელსაყრელად სთვლის თავი შეაფაროს სამხედრო დიქტატურას.

ვულლეს შემდეგ გამოვიდა ლედებური, რომელიც შეჩერდა სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებაზე ცეიგნერისადმი; ლედებურმა აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატებმა არ დაიცვეს ელემენტარული წესებიც კი ცეიგნერზე პირველ პოლიტიკურ თავდასხმის დროს და აიძულეს ცეიგნერი მოეხსნა თავიდან დეპუტატის რწმუნებები.

კომუნისტმა შტეკერმა განაცხადა: „ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა მივუთითოთ გერმანიის ხალხს იმ საშიშროებაზე, რომლის წინაშეც ის დგას. რეინის ოლქის სრული ჩამოშორება რამოდენიმე კვირის საკითხია. სეპარატისტულ პოლიტიკის გამომხატველნი არიან მრეწველობის წარმომადგენელნი, ცენტრი და სოციალ-დემოკრატები, მაგრამ არა მუშათა კლასი. საიმპერიო მთავრობამ განგებ შექმნა ეხლანდელი კრიზისი დაპყრობილ ოლქებში იმ მიზნით, რომ ჩამოშორებულ იქნენ ეს უკანასკნელნი გერმანიისაგან; მთავრობას ამით უნდა მოახდინოს გერმანიაში მთელი ძალების კონცენტრაცია. სოციალ-დემოკრატების ლიდერებმა დამშვიდებული სინიდისით მოაწერეს ხელი შეთანხმებას რურის მაგნატებთან სამუშაო დღის გადიდების შესახებ; სოციალ-დემოკრატებმა იცოდენ, რომ ეს გამოიწვევდა სამუშაო დღის გადიდებას მთელს გერმანიაში.

მაგრამ, მიუხედავათ სოციალ-დემოკრატების ცდისა, რურის მუშები არ დათანხმდენ სამუშაო დღის გადიდებაზე“.

შტეკერმა დაამთავრა თავისი სიტყვა განცხადებით, რომ კომუნისტები წინააღმდეგი იქნებიან დაპყრობილ ოლქების უფლებრივ მდგომარეობის ყოველგვარ შეცვლის. იმ შემთხვევაში, თუ ამბების განვითარება აუცილებელს გახდის რეინის სახელმწიფოს გამოცხადებას, მაშინ კომუნისტები მოითხოვენ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნეს დაპყრობილ ოლქების მთელი მოსახლეობის დაკითხვით.

საიდუმლო პოლიცია.

ბერლინი. 7 დეკემბ. მემარჯვენე პრესა აწარმოებს კამპანიას საქსონიის მთავრობის სოციალ-დემოკრატიულ უმცირესობის წინააღმდეგ. მან გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ლიბმანმა დაარსა საიდუმლო საპოლიციო ფონდი 20 მილ. ოქრ. მარკის რაოდენობით, იმ მიზნით, რათა თვალყური ადევნოს მემარჯვენე პარტიების მოღვაწეობას. მემარჯვენე პრესა აღნიშნავს აგრეთვე, რომ საქსონიის პოლიცია მუდამ თვალყურს ადევნებდა რეიხსვერის მოქმედებას. ლიბმანი არ უარყოფს, რომ რეიხსვერის თვალყურის დევნება სწარმოებდა იმ მიზნით, რათა აღმოჩენილი ყოფილიყო საიდუმლო კავშირებისათვის იარაღის კონტრაბანდათ მიწოდების ორგანიზაცია. კამპანია ლიბმანის წინააღმდეგ სწარმოებს სამთავრობო კრიზისის გამოწვევის მიზნით.

მთავრობის „ზომები“

ზომები უმუშევრობის წინააღმდეგ.

ბერლინი. 7 დეკემბერი. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, საიმპერიო და პრუსიის მთავრობების დადგენილების შესახებ, შესწყვიტონ უმუშევართათვის დახმარების გაწევა თუ უმუშევრები უარს იტყვიან მუშაობის დაწყებაზე. მუშათა წრეები სთვლიან ამ გადაწყვეტილებას 8 საათის სამუშაო დღისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ მიმართულ ზომად. ამ დადგენილების გამოტანამ ვერავინ ვერ გააკვირვა, ვინაიდან სოციალ-დემოკრატებმა მთავრობის უფლებათა გაფართოვების კანონ-პროექტისათვის მხარის დაჭერით მოიწონეს 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება მთელ ქვეყანაში. მთავრობის გადაწყვეტილებას სთვლიან აგრეთვე პირველ ნაბიჯად უმუშევართათვის დახმარების სრული შეწყვეტისაკენ.

დაპყრობილ ოლქებში

10 საათის სამუშაო დღე.

ბერლინი, 7 დეკემბერი. ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ მუშაობა განახლდა მხოლოდ ზოგიერთ სამთომადნო მრეწველობის წარმოებებში, სადაც მუშაობს რამდენიმე ათასი მუშა. პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტები, რომლებიც აგიტაციას ეწეოდენ მუშაობის განახლების წინააღმდეგ. ტისსენის და ლითონის მრეწველობის წარმოებებში მუშებმა უარი სთქვეს მუშაობის განახლებაზე.

უმუშევართა დემონსტრაცია.

ბერლინი, 7 დეკემბერი. ელბერფელდსა და კიოლნში გაიმართა უმუშევართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. უმუშევრები მოითხოვდენ დახმარების გადიდებას. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები იარაღის საშუალებით. მოხდა მრავალი დაპატიმრებანი. ვოლფენგიუტენლეში უმუშევრებმა დაარბიეს ფურნეები და მთელი რიგი სავაჭრო სახლები.

გერმანიის ამბების გამოძახილი

კრედიტი გერმანიისათვის

ბერლინი. 7 დეკემბერი. „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ სურსათის შესაძენად კრედიტის გახსნა განზრახული აქვს არა ამერიკის მთავრობას, არამედ ამერიკელ ფინანსისტების კერძო ჯგუფს. ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს სესხის იდეას, მაგრამ მას საჭიროთ მიაჩნია, რომ სესხი წინასწარ იქნას დამტკიცებული სარეპარაციო კომისიის მიერ.

არჩევნების შედეგები ინგლისში

მოსალოდნელია მთავრობის დამარცხება.

ბერლინი. 8 დეკემბერი. ახალმა არჩევნებმა ინგლისში დღის 12 საათამდე შემდეგი შედეგი გამოიტანა: არჩეულია 111 კონსერვატორი, მათ დაკარგეს 44 ადგილი; არჩეულია 52 ლიბერალი, ლიბერალებმა დაკარგეს 16 ადგილი; მუშათა პარტიამ გაიყვანა 97 დეპუტატი, მაშასადამე, მოიპოვა 22 ახალი ადგილი. არჩევნების ამ შედეგის მიხედვით, მთავრობის მხრით კიდევ ერთი ადგილის დაკარგვა მისი აბსოლიუტურ უმრავლესობის დაკარგვა იქნება.

სახალხო სახლის იუბილე

სახალხო თეატრის ისტორია მტკიცეთ არის დაკავშირებული მთელი ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიასთან. გამოღვიძებული, პროტესტით სავსე მუშები რამდენიმე ათეული წლების წინად აქ გროვდებიან, აქ გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე და იწვრთნებიან რევოლიუციონური ბრძოლისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის დანატოვართა შორის სახალხო თეატრი იშვიათი და დაუფასებელი ისტორიული ნაშთია. ამ თეატრს საძირკველი ჩაუყარა ტფილისის მოწინავე მუშებმა.

გამოფხიზლებული მუშათა კლასი საჭიროებდა აუდიტორიას, მისი აზრი-გონება მოითხოვდა გასაქანს. და მაშინდელ პირობებში ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ სახალხო თეატრში, სახალხო აუდიტორიაში. სახალხო თეატრის იდეია ჩაისახა მუშათა გონებაში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში და განხორციელდა მუშათა ხელით.

მაშინდელ გაბატონებულ კლასს სასაცილოდაც არ ყოფნიდა ეს საქმე. მაგრამ სალმა იდეიამ გაიმარჯვა, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებებისა მან გადალახა „ბრწყინვალე წრეების“ დაცინვა, ჟანდარმერიის და ცენზურის რეპრესიები და ავჭალის ვიწრო აუდიტორიიდან ის შეიჭრა სახალხო სახლის დიდ აუდიტორიაში.

დღეს 30 წლის თავი სრულდება დღიდან სახალხო თეატრის იდეის დასახვისა და განხორციელებისა. ეს დღესასწაული იშვიათი დღესასწაულია ჩვენი მუშათა კლასისთვის, განსაკუთრებით ტფილისის მუშებისთვის, რომელთა რევოლიუციონური აზრის აკვანი პირველად აქ, ამ სახალხო აუდიტორიაში დაირწა. შეიძლება დღეს ამ იშვიათ დაწესებულებას სათანადო ყურადღებით ვერ ვექცევოდეთ. შეიძლება დღეს იმდენათ ჩაგვითრია სოციალ-პოლიტიკურმა კითხვებმა და რევოლიუციის პოზიციებზე ბრძოლამ, რომ ამ მდიდარ ისტორიით დატვირთულ დაწესებულებას ვერ ვაქცევთ ჯეროვან ყურადღებას, მაგრამ სახალხო თეატრი ისეთი ისტორიული განძია ჩვენთვის, რომ მას აუცილებლად უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. და ამ ყურადღებას შეძლებისდაგვარად არ აკლებს მას ალმასკომი.

სახალხო სახლი ტფილისის ალმასკომის ხელში გადმოვიდა მხოლოდ მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

თავდაპირველად მოყვანილ იქნა ცნობაში თეატრის მთელი ინვენტარი და ჩაბარდა სპეციალურ პირს. დღეს სახალხო სახლის ათეულ წლობით დაგროვილი ავლადიდების დაცვა მკვიდრ ნიადაგზე დგას. სახალხო სახლი არც ტეხნიკური მხრით იყო მაინცა და მაინც სასურველ პირობებში ჩაყენებული, ის იყო დიდი ხნის შეუკეთებელი. თეატრის სახურავი უვარგისი იყო, ცეცხლი საქრობი მანქანები გაფუჭდნენ, შიგნიდან და გარედან ზოგ ადგილას კედელი ჩამონგრეული იყო. დანგრეული იყო აივნები, წყალ-სადენის მილები არ ვარგოდენ. დეკორაცია, ბუტაფორია, ტანსაცმელი და ავეჯეულობა ხმარებისაგან იყო გაცვეთილი. გაფუჭებული იყო ელ-ადენის მავთულები. თეატრისათვის საჭირო ატრიბუტები აღარ ვარგოდა.

ყველა მისი დიდი ყურადღება მიაქცია ტფილისის ალმასკომმა და კიდეც გამოასწორა ეს დეფექტები. ამ მოკლე ხანში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

რასაკვირველია, ალმასკომის მუშაობა სახალხო თეატრის ირგვლივ ამით არ დამთავრებულა. თავის ყურადღებას ალმასკომი არც მომავალში მოაკლებს ამ ყველასათვის ძვირფას დაწესებულებას და მისი სათანადო ნიადაგზე დაყენება ერთი უმთავრესი საზრუნავი საგანი იქნება ტფილისის ალმასკომის მუშაობაში. სახალხო თეატრის დიდი ისტორია არ დასრულებულა. ის გრძელდება. მისი მნიშვნელობა კვლავაც დიდი და დაუფასებელია ჩვენი მუშათა კლასისათვის, რომელიც დღიური ჭირვარამის შემდეგ, ხელოვნების სიტკბოებას და დასვენებას ღებულობს უმთავრესად აქ.

ამიტომ მუშათა კლასის მთავრობის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ ძვირფას დაწესებულების შენახვას და გაძლიერებას.

სულით და გულით ულოცავთ რა სახალხო თეატრს მის ოცდა ათი წლის იუბილეს, ვუსურვებთ, რომ იმ ეკლიანი გზის მაგიერ, რომელზედაც მას უხდებოდა სიარული ათეული წლების განმავლობაში აბსოლიუტიზმის სულის შემხუთველ პირობებში, მას შექმნოდეს მუშათა განთავისუფლების ხანაში ისეთი პირობები, რომ მისი მუშაობა ჩვენი მუშათა კლასის გათვითცნობიერების სფეროში გაათკეცებული და გაასკეცებული ყოფილიყოს.

ლ. ხუციშვილი

ბალდვინის გადადგომა

ბერლინი. 8 დეკემბერი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ბალდვინი ოთხშაბათს გადადგება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

კულიჯის დეკლარაცია.

ნიუ-იორკი. 7 დეკემბ. ამერიკის კონგრესზე წაკითხულ დეკლარაციაში საგარეო და შინაურ პოლიტიკის შესახებ პრეზიდენტი კულიჯი ეხება რუსეთ-ამერიკის დამოკიდებულების საკითხს და აცხადებს; „რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი ეხლაც ძლიერ რთულია. **ჩვენ მთელის არსებით გვსურს, რომ დიადმა რუსეთის ხალხმა, რომელთანაც ჩვენ დაკავშირებული, ვართ ტრადიციულ მეგობრობით. კვლავ დაიკავოს ღირსეული ადგილი სხვა ხალხთა შორის.** ჩვენ უდიდესი სიუხვით დავეხმარეთ მას საშინელ გაჭირვების დროს. ამერიკის მთავრობას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, **რომ ამერიკელმა მოქალაქეებმა გააბან სავაჭრო კავშირი რუსეთთან.** მე არ მინდა ვაჭრობის ობიექტათ გავხადო კეთილშობილი პრინციპები. რომლებიც ძვირფასია ამერიკელებისათვის, მაგრამ მე მზად ვარ გამოვიჩინო ფართო დათმობა რუსეთის ხალხის გადარჩენის გულისათვის. როგორც კი საბჭოთა მთავრობა გამოიჩენს იმ ამერიკელ მოქალაქეთა დაკმაყოფილების სურვილს, რომლებიც ნივთიერად დაზარალდენ რუსეთში და იკისრებს იმ ვალების გადახდას, რომლებიც გააკეთა ჩვენთან არა მეფემ, არამედ ახლად დაარსებულმა რუსეთის რესპუბლიკამ, ამერიკა ყველაზე უფრო ადრე აღმოუჩენს რუსეთს ეკონომიურ და მორალურ დახმარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლოა ის მომენტი, როდესაც ჩვენი სურვილი განხორციელდება“.

კულიჯი წინააღმდეგია მოკავშირეთა ვალების გაუქმებისა. აღნიშნა რა, რომ ამერიკასთან ევროპის სახელმწიფოების დავალიანება, ინგლისის გამოკლებით, 7,200,600 დოლარით გამოიხატება, კულიჯმა განაცხადა: „აი რატომ არის ამერიკა უშუალოდ დაინტერესებული ევროპის ეკონომიურ აღორძინებაში.

სტიქიური უბედურება იტალიაში

არაჩვეულებრივი წყალდიდობა.

რომი. 8 დეკემბ. ხმელთა შუა ზღვაზე, ადრიატიკაზე და ალპის მთებზე გადავლილმა ციკლონებმა გამოიწვია კოკისპირული წვიმები და ნაადრევი თოვლი აპენინებზე. ცენტრალურ იტალიის მთელ რიგ ქალაქებში მოხდა წყალდიდობა, რომელმაც ათთავითვე მრავალი მცხოვრებლები იმსხვერპლა. რომის მახლობლათ მდინარე ტიბრი 15 მეტრის სიმაღლეზე ადიდდა თავის ნორმალურ დონიდან. აგრეთვე ადიდდა მდინარე ანიენე, რომელიც რომს ირგვლივ უვლის, საშიშროება შემჩნეული იყო ღამით. მცხოვრებლები გაღვიძებულ იქნენ სპეციალურათ დაგზავნილ ცხენოსნების მიერ. მრავალმა მოქალაქემ უარი სთქვა თავისი ბინის დატოვებაზე და დილით წყლით გარშემორტყმულნი დარჩენ. დილის შემდეგ ტიბრმა 100 კილომეტრზე გადალახა თავისი ნაპირები.

ძველი ქალაქი რიეტი 20 000 მცხოვრებლით წყლით დაიფარა. რომი წყლით არის გარსშემორტყმული. მრავალი სოფელი სრულიად გაწმენდილია მოსახლეობისაგან. მთავრობამ მობილიზაციის წესით დაიკავა ყველა ნავები და ბარკები, რომლებიც კი ვარგა მოსახლეობის შველისათვის.

სხვადასხვა

ბულგარეთი

გაფიცვა.

ვენა, 7 დეკემბერი, ბულგარეთის შაქრის ქარხნებში გაფიცვამ იფეთქა. ქარხნის ადმინისტრაციამ გაფიცვას ლოკაუტით უპასუხა.

სამხრეთ-სლავია

ურთიერთობა საფრანგეთთან.

ვენა. 7 დეკემბერი. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, სამხრეთ-სლავიის მეფის გამგზავრებას დანიაში მიზნად აქვს საფრანგეთისა და სამხრეთ სლავიის შორის ურთიერთობის განმტკიცება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ელექტროფიკაცია.

ბაქო 7 დეკემბერი. უჯარასა და ქიურდ-მირში, აზერბეიჯანის ღვინის და ბამბის წარმოებებში ელექტრონული განათება მოეწყო. ამ ცოტა ხანში განზრახულია ელექტრონის გაყვანა ამ ქარხნებიდან ქიურდამირისა და უჯარის სადგურებზე. ამჟამად ელექტრონი გაჰყავთ სადგურ ქიურდამირის რკინისგზელთა კლუბში.

სათესლე ხორბლის დარიგება.

ბაქო. 7 დეკემბერი. ბაქოს საბჭოს მიწათმოქმედების სახალხო-მეურნეობის ქვე-განყოფილება ნოემბრის განმავლობაში ანაწილებდა სხვადასხვა სათესლეს. სულ გაცემულია 15.631 ფ. და 35 გირვანქა ხორბალი; აქედან კალა-ქეშთადის რაიონს მიეცა 7.059 ფ. 30 გირვანქა. სურახანისას—900 ფ. 16 გირ. ბალახანა-საბუნჩისას 374 ფ. 27 გირ. ფაბრიკა ქარხნების რაიონს—600 ფ. ბინაგადისას 5.700 ფ.

საბჭოთა აღმშენებლობა აჭარისტანში

(მთავრობის ანგარიშიდან აჭარისტანის საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე)

მიწის საკითხი.

მიწის საკითხი მწვავედ სდგას აჭარლებისათვის. საანგარიშო წელში მიწის საკითხს ყველაზე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ცაკის დადგენილებით ჩამოერთვა მიწები ყველა მსხვილ მემამულეებს, იმ პირებს, ვინც თითონ არ ამუშავებს. ლალის ამღები პასუხისგებაში იქნება მიცემული. მიწა ჩამოერთვა ისეთ პირებსაც, ვისაც შემოსავლის სხვა წყარო აქვს.

ყველა ეს მიწები მიეცა ფუხარა ხალხს.

მიწები აჭარაში ცოტაა. დაკმაყოფილებულია მხოლოდ 10 პროც. უმიწო გლეხობისა. ამიტომ საჭიროა აჭარის ბუნებრივ შესაძლებლობის გამოყენება. საჭიროა გაუმჯობესება საქონლის ჯიშის, სიმინდის; აჭარაში ხელსაყრელი პირობებია ჩაის, მანდარინის, ხილის და სხვა კულტურის. უკვე მიღებულია ზომები და დაარსებულია ფერმები, საჩვენებელი მინდვრები, საიდანაც საუკეთესო ჯიშის საქონელი და ნერგები ურიგდება ხალხს. აგრარულ პოლიტიკის მთავარი პრინციპი უნდა იყოს: ცოტა მიწიდან დიდი სარგებლობა.

მთაზე და სოფლად არის საძოვარი, საზიარო ადგილები. ზოგი ითვისებს ამ ადგილებს და სახლდება ზედ.

ამის წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

განათლების საქმე.

განათლების საქმე მოგვარებული იყო ადგილობრივ პირობების მიხედვით. ეს დადგენილება შესრულებულია.

სკოლაში ბავშვები ამ წელს შედარებით მეტია, ვიდრე წასულ წელს; ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლები შეფარდებულია ადგილობრივ პირობებზე და ხალხი აღარ გაურბის სკოლებს. წინეთ აჭარლები ბავშვებს მხოლოდ მედრესეში (სასულიერო სასწავლებელი) აძლევდენ.

აჭარისტ. გასაბჭოებამდე იყო 50 მედრესე და 10 სკოლა. მოსწავლეთა 10 პროც. მედრესეში სწავლობდა.

ეხლა კი არის 12 მედრესე და 43 სკოლა. მოსწავლეთა 87 პროც. სკოლაშია და მხოლოდ 17 პროც. სწავლობს მედრესეში. ეს დამამტკიცებელია იმის, თუ როგორ გაძლიერდა სკოლის ავტორიტეტი. ეს იმიტომ მოხდა, რომ სკოლა განათლებას აძლევს ბავშვებს და არ ემსახურება გარუსების, ან გადარჯულების საქმეს, როგორც ეს იყო გასაბჭოებამდი.

არსებული სკოლები ვერ აკმაყოფილებენ მთელ მოთხოვნილებას, ვერ იტევენ სწავლის მსურველთ. მთავრობა ცდილობს სკოლების გამრავლებას, მაგრამ უსახსრობა ძლიერ უშლის მას.

ჯანმრთელობის საქმე.

მთავრობამ მკითხავების წინააღმდეგ მიიღო ზომები და ყოველ თემში აქვს საექიმო პუნქტები, რომ პირველ საჭიროებისთანავე გლეხს მეცნიერულად მომზადებული ექიმი მიაწოდოს. უფასოდ ურიგდებათ წამლები. თვალყურს ადევნებს სოფლის ჰიგიენურ მდგომარეობას.

მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები ხიდების და გზების შესაკეთებლად და, მიუხედავად უსახსრობისა, ბევრია გაკეთებული.

საბალახოების საკითხი.

მთავრობამ საანგარიშო წელში შესძლო და მოაგვარა საბალახოების საკითხი. იყო სადაო საბალახოები გურიასა და აჭარას შორის. მენშევიკების დროს ამ საკითხს სწყვეტდენ ორივე მეზობელ მხრის ბატონები და, რასაკვირველია, ვერ მორიგდენ. გასაბჭოების შემდეგ ეს სადაო საკითხი თვით მუშათა და გლეხთა გადასაწყვეტი შეიქნა და ადვილად მოგვარდა კიდეც.

სისხლის აღების ადათის მოსპობა.

178 გვარი, 810 კაცი მტრები იყვნენ და მხეცივით მოსაკლავად დასდევდენ ერთმანეთს. თანახმად მესამე ყრილობის დადგენილებისა, ეს გვარები შერიგებულია, და დღეს ეს უკულტურო ადათი აჭარისტანში არ არსებობს.

მთავრობამ ზომები მიიღო კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ. გურიიდან გადმოვიდა ყაჩაღთა მთელი ბრბო და ლამობდა აჭარაში აჯანყების მოწყობას. მთავრობამ მთელ საზღვარზე დააყენა დარაჯები, ყაჩაღებს იჭერდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აჭარისტანის მშვიდობიანი ცხოვრება არ არეულიყო.

ეკონომიური მდგომარეობა

დღეს ბევრი უსაყვედურებს მთავრობას, რომ ბათომი მოკვდა, დაჩუმდა, რომ მთავრობა არ უშვებს უცხოეთიდან ვაჭრებს. დღემდე ბათომი ბუდე იყო სპეკულიაციის. მთავრობამ დაკეტა მათთვის კარები, არ შეუშვა უცხოეთის საქონელი ბათომში, რადგან საკუთარი საკმარისი იყო. საბჭოთა კავშირი ეკონომიურათ იმდენად ძლიერია, რომ არ სჭირდება სხვისი დამპალი საქონლის შემოტანა.

საბჭოთა აპარატის რეორგანიზაცია.

ამ ხნის განმავლობაში მოხდა აგრეთვე სახკომისარიატების რეორგანიზაცია. ზოგი კომისარიატი გაუქმდა, მათი უფლებები ცენტრს გადაეცა და აქ დარჩა მხოლოდ რწმუნებული.

მოხდა აჭარისტანის საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება: 3000 კაცი მსახურობდა აჭარისტანის დაწესებულებებში. უკვე მოხდა შემცირება და სამსახურში დარჩა 1984 კაცი. ამ ანგარიშის გარეშეა კომუნალური მეურნეობა, რომელმაც 1000 მოსამსახურე შეამცირა 645 მდე. მომავალ წელში კიდევ უნდა ჩატარდეს შემცირება.

ფინანსიური მდგომარეობა.

1921 წელს აჭარისტანს მიეცა 2070 მილ. მანეთი. მაშინ მოსამსახურეები ოთხ თვეობით ვერ იღებდენ ჯამაგირს. 1922 წელში არავითარი ხარჯთ-აღრიცხვა არ იყო. ფული საიდან მოდიოდა და რაზე იხარჯებოდა გარკვეული არ იყო. საანგარიშო წელში კი აჭარისტანს აქვს მაგარი ხარჯთ-აღრიცხვა, და ფულიც შედარებით წასულ წლებთან, მეტი.

აჭარისტანის მთავრობამ ნავარაუდევი თანხები ვერ მიიღო სრულიად.

წარდგენილია ადგილობრივი ხარჯთ-აღრიცხვა:

გასავალი .	150.708 მ. ჩ.
შემოსავალი .	93.102 მ. ჩ.
დეფიციტი	47.606 მ. ჩ.

აღნიშნული ხარჯთ-აღრიცხვები ჯერ დამტკიცებული არ არის. მთავრობის მიმდინარე და მომავალ მუშაობის მეღიც ამაზეა დამყარებული. თუ მიიღო დროზე და სრულად ეს დეფიციტი, მაშინ მუშაობა ნორმალური ნაბიჯით იწარმოებს.

მთავრობა და ცაკი მიდიოდენ სოფელში ხიდების, გზების და სკოლების აშენებათ; კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის არასდროს არ ყოფილა აჭარისტანში ისე ძლიერი, როგორც ეხლა.

მომავლისთვის საჭიროა:

1. სოფლის და ქალაქის კავშირის განმტკიცება.
2. აჭარისტანის მეურნეობის აღდგენა.
3. ხიდების და გზების შეკეთების დასრულება.
4. მადნეულობის დამუშავების საკითხის მოგვარება.

პარტიული ცხოვრება

პარტიის ახალ ამოცანების შესახებ

II *)

პარტიის მთავარ ამოცანას შეცვლილ პირობებში შეადგენს სისწორით განსაზღვრა ურთიერთ დამოკიდებულებისა უპარტიო მუშათა მასასთან. აუცილებლად საჭიროა ამ ურთიერთობის ახალ საფუძველზე გადატანა, ისეთ საფუძველზე, რომელიც უნდა წარმოადგენდეს უმაღლეს საფეხურს ძველის მიმართ. მაგრამ პარტია გადასჭრის ამ ამოცანას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიული მასა თავის კულტურულ განვითარებით წინ გაუსწრებს მოწინავე უპარტიო მუშასაც კი, თუ პარტია გახდება უფრო ძლიერი და მტკიცე თავისი შინაგანი მთლიანობით, თუ პარტიული ცხოვრებას, განსაკუთრებით იაჩეიკებსა და სხვა პირველად ორგანიზაციებში მიეცემა უფრო აქტიური ხასიათი. აქ ჩვენ ვსდგებით აუცილებლობის წინაშე, გადავსინჯოთ განვლილ ეტაპიდან დარჩენილ პარტიულ მუშაობის მეთოდები. ეს ეხება, უმთავრესად, პარტიის შიგნივ არსებულ ურთიერთობას. მთელ იმ დისკუსიებიდან, რომელიც გაიმართა პარტიაში ამხ. ზინოვიევის წერილის გარშემო, პირველ რიგში სდგას საკითხი **პარტიის შიგნივ მუშათა დემოკრატიის შესახებ**,

ამხ. ზინოვიევის წერილში ამ საკითხის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

> **„საჭიროა, რათა პარტიის შიგნივ მუშათა დემოკრატია, რომელზედაც ჩვენ ასე ბევრს ვლაპარაკობდით, რაც შეიძლება მტკიცეთ შეესისხლხორცდეს პარტიას.**
>
> მთავარი ჩვენი უბედურება ხშირად იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა საკითხები ისმება ზევიდან, წინასწარ გადაჭრილად. ეს აფერხებს პარტიის წევრთა მთელი მასის შემოქმედებას, ეს ამცირებს „ქვედა საფეხურების“ პარტიაჩეიკების თვითმოქმედებას. **რა თქმა უნდა, ჯერ ჯერობით ეს პირდაპირ აუცილებელია.**
>
> ჩვენი პარტია აშენებულია დემოკრატიულ ცენტრალიზმის პრინციპზე. ისეთი ქვეყნის მართველს, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, რუსეთის კომპარტიას არ შეუძლია არ იყოს ცენტრალისტურ ორგანიზაციად. მაგრამ ეს ფაქტი უმთავრესად აიხსნება იმითაც, **რომ პარტიის წევრთა მთელი მასის კულტურულ-პოლიტიკური დონე ძალიან დაშორებულია მისი ხელმძღვანელი ფენების დონისაგან“.**

და შემდეგ მეორე ადგილას:

> „მუშათა დემოკრატიის პრინციპების წმინდათ დაცვის შესახებ მყვირალა სიტყვების შეუცვლელად, საჭიროა პარტიის შიგნივ მუშათა დემოკრატიის საქმით გატარება-გაძლიერება პარტიაში თავისუფალი დისკუსიების საერთო პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა. საკითხების ირგვლივ“.

ამხ. ზინოვიევის ამ წინადადებებს, არ გამოუწვევიათ და არც შეეძლოთ გამოეწვიათ ჩვენს პარტიაში რაიმე სერიოზული უთანხმოება. არსებითად, ხდება სულ საწინააღმდეგო. „ზედმეტია მყვირალა სიტყვები მუშათა დემოკრატიის პრინციპების სიწმინდის შესახებ“, ეს სიტყვები მოვარდნილ ნიაღვარივით მოსდო ყველას და ლამის არის მათში ჩაიხრჩოს საკითხის დედა-აზრი და მისი საქმიანი მხარე. ზოგიერთ ამხანაგებისათვის, რომელთაც, საჭიროა ითქვას, არ ჰქონიათ განსაკუთრებული დამსახურება მუშათა დემოკრატიის პრინციპების ერთგულად დაცვის მხრივ, მთელი დისკუსია პარტიის ახალ ამოცანების შესახებ საბაბი გახდა მხოლოდ იმისათვის, რათა წამოესროლათ მყვირალა ფრაზები პარტიის შინადემოკრატიის უპირატესობის შესახებ ბიუროკრატიზმის წინაშე. მოსკოვის და ჩვენს პრესაშიაც შეხვდებით მთელ რიგ წერილებს, რომლებიც აშუქებენ მხოლოდ და მხოლოდ მუშათა დემოკრატიის პრობლემას და უყურადღებოდ სტოვებენ სხვა დანარჩენ საკითხებს. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ამხ. ცინცაძის წერილი „კომუნისტის“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში. „ფიქრები პარტიაზე“—ასეთი სათაური მისცა თავის წერილს ამხ. ცინცაძემ. სათაურის ქვეშ ფრჩხილებში აღნიშნულია—„**ამხ. ზინოვიევის წერილის გამო**“. ამხ. ცინცაძე ვრცელ თავის წერილში ეხება მხოლოდ და მხოლოდ პარტიის-შინა დემოკრატიის საკითხს და არც ერთს სიტყვას არ ამბობს პარტიის დანარჩენ ამოცანებზე. რატომ?

> „ყველა დანარჩენი საკითხები, რომლებსაც ამხ. ზინოვიევი ეხება თავის წერილში, ასე თუ ისე იქცევდა პარტიის ყურადღებას და შეძლებისდაგვარად გადაწყვეტას პოულობდა ცხოვრებაში, თუმცა საგრძნობი დეფექტებით“.

დეე ამხ. ცინცაძემ გვაჩვენოს, სად და როდის, ამხ. ზინოვიევის წერილის გამოქვეყნებამდე, პარტიაში, მის იაჩეიკებში და ფართე წრეებში იხილავდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ იაჩეიკებმა საწარმოვო დაწესებულებებში უნდა შეიცვალონ თავისი ფუნქციები და გადაიქცნენ ფაბრიკების და ქარხნების კომუნისტურ ფრაქციებათ? ეს ხომ ცენტრალური საკითხია ამხ. ზინოვიევის წერილში. სად და როდის იხილავდენ ან სჭრიდნენ, ისეთი ფორმით, როგორიც ამხ. ზინოვიევის წერილშია წამოყენებული, საკითხს ჩვენი მშენებლობის ყველა დარგებში უპარტიო მუშების უფრო აქტიურად ჩაბმის შესახებ? დეე, ამხ. ცინცაძემ დაასახელოს ფართე პარტიულ დისკუსიების ადგილი და დრო, იმ დანარჩენ საკითხების გარშემო, რომელიც წამოყენებულია ამხ. ზინოვიევის მიერ ახალ ობიექტიურ პირობებთან შეფარდებით. რამდენიც არ უნდა ეცადოს, ამხ. ცინცაძე ვერ შესძლებს იპოვოს თუნდაც ერთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებდეს მის განცხადებას. ხოლო, საკითხი პარტიულ დემოკრატიის შესახებ, მართლაც იყო ათასჯერ განხილული, როგორც პრესაში, ისე კრებებზე. მაგრამ ამხ. ცინცაძეს ეს ყალბი განცხადება ეჭირვება იმისათვის, რათა ერთხელ კიდევ გაეპრტყელებია სიტყვები ორი სვეტის მანძილზე იმ საკითხის გარშემო, რომელიც არ შეიძლება იყოს სადაო ჩვენს პარტიაში. ერთ რამეში მართალია ამხ. ცინცაძე: თავის საკმაოდ ნაძალადევ წერილში მან მოახერხა, სრულიად უყურადღებოთ დაეტოვებია საკითხის პრაქტიკული მხარე. არც ერთი საქმიანი, კონკრეტული წინადადება არ არის წამოყენებული თუნდაც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პარტიული დემოკრატია, რომლის მიმართ მხურვალე სიმპატიებს გამოსთქვამს ამხ. ცინცაძე (არ შეიძლება ითქვას, დამსახურების მიხედვით!). სამაგიეროთ ამხ. ცინცაძის წერილში ვხვდებით საკვირველ „თეორეტიულ აღმოჩენებს“. თურმე ნუ იტყვით:

> „პარტიული დემოკრატიის საკითხი უფრო მწვავედ სდგას საქართველოში, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხეში ჩვენი კავშირისა ვინაიდან (!!) განაპირა ქვეყნებში—საზოგადოთ (!) მეფის მთავრობა უფრო მკაცრ და მხეცურ პოლიტიკას აწარმოებდა...
>
> როცა კი ასეთ ქვეყნებში მშრომელთა მასას საშუალება მიეცემოდა თავისუფლად ამოსუნთქვის—ის თავის დემოკრატიული მოთხოვნილებით სცდილობდა სავსებით ამოეწურა ყველაფერი, რის ამოწურვაც და განხორციელებაც შეიძლო. ის მოითხოვდა სრულ თავისუფლებას. ასეთი ხანა საქართველოში იყო 1905 წლის რევოლუციის დროს. საქართველოში მშრომელმა მასამ ამ დროს ბრძოლით მოიპოვა ყველაფერი ის, რის მოპოვებაც შესაძლებელი იყო იმ პირობებში.
>
> კომუნისტური პარტიაც სწორედ ასეთ პოლიტიკურად ასე თუ ისე მომწიფებული მშრომელთა წრიდან არის გამოსული და ცხადია, რომ ამ გარემოებას ერთგვარი გავლენა აქვს ჩვენი პარტიის წევრების პსიხოლოგიაზე“.

ეს, ჭეშმარიტად, შესანიშნავი მსჯელობა როგორც ფორმით ისე შინაარსით გამსჭვალულია „ნაროდნიკული“ იდეოლოგიით, ამხ. ცინცაძე ფიქრობს, რომ საქართველოს მშრომელი მასები (ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ გლეხობაზე) პოლიტიკური სიმწიფის და დემოკრატიული ტრადიციების მხრივ, უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ვსთქვათ, პეტროგრადის ან მოსკოვის მუშები. აქედან ჩვენი პარტია, რომელიც გამოსულია ამ მასების წიაღიდან, საქართველოში უფრო მწვავედ გრძნობს დემოკრატიზმის საჭიროებას, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხეში ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა. ასეთია ნამდვილი აზრი ჩვენ მიერ მოყვანილ ციტატის, თუ გავანთავისუფლებთ მას რამდენიმე ბუნდოვანი ფრაზეოლოგიისაგან. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამხ. ცინცაძემ ერთმანერთში აურია ორი ცნება: დემოკრატია (საერთოთ მიღებულ, მენშევიკური აზრით) და პარტიისშინა მუშათა დემოკრატია,—ამ ცნებებს არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან; მიუხედავად იმისა, რომ მის მსჯელობაში ეს ორი ცნება ერთი და იგივეა, ამხ. ცინცაძემ ყველაფერ ამას დაუმატა სრული უცოდნარობა იმისა, როგორ იყო დასმული საკითხი პარტიულ დემოკრატიის შესახებ პარტიის მე-10 ყრილობაზე. საკმარისია დაუპირდაპიროთ ამხ. ცინცაძის მსჯელობას, ამხ. ბუხარინის მიერ მე-10 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენების თუნდაც შემდეგი ადგილი:

> „მე ვფიქრობ, თუ ჩვენ შევეცდებოდით წარმოგვედგინა საერთო დებულება საორგანიზაციო ფორმების შესახებ, ჩვენ მივიდოდით შემდეგ დებულებამდე: 1) დემოკრატიზმის ფორმები მიდიან შემცირებითი წესით და ეს დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: ჯერ ერთი ამა თუ იმ ორგანიზაციის სოციალურ კლასიურ შემადგენლობაზე, ამასთან ერთად
> რაც უფრო მეტი პრო
> შინაარსია ამ სოციალურ
> შემადგენლობაში, მით უფ
> დემოკრატიზმი შეგვიძლ
> [illegible]
> უფრო ნაკლებად გაშ
> ამხ. [illegible]
> ლეტარულ შემადგენლობ
> უფრო ნაკლები დემოკრ
> დასაშვები; 2) ეს დემო
> ჯერ კიდევ განისაზღვრე
> რატების ფუნქციების მ
> რომლებიც ჩვენ მხედვ
> გვაქვს. რაც უფრო მეტი
> დელობითი და ლაპარ
> აზროვნების ფუნქცი
> ლოგიის დამზადება, მის
> შავება, მთელი მოქმედ
> საზღვრა და სხვა, მით
> ტი დემოკრატიზმია სა
> პირიქით, რაც უფრო
> ადმინისტრატიული ფუნქცია
> უფრო ნაკლებია დემოკრატიზმ
> ამ ორი ფაქტორით ამოიწ
> მთავარი სიბრძნე, რომელ
> მოკრატიზმს ეხება. ადგ
> გებია, რომ იქ, სადა
> რიგში დასმულია ადმი
> ფუნქცია, როგორც მ
> იქ დემოკრატიზმის
> აუცილებლად, ყველ
> უნდა იქნეს შეზღუდ
> იქ, სადაც პროლეტარ
> მოადგენს პროცენტულ
> დიდ რაოდენობას, ი
> უნდა, უფრო ნაკლები
> დემოკრატიზმი. პირიქ
> დაც ჩვენ გვყავს პროლე
> მოწინავე ორგანიზაცი
> მოკრატიზმი დასაშვებ
> უფრო ფართოთ. აი, ამ
> ცა ლაპარაკია ჩვენი
> რულ ორგანიზაციების
> აპარატებზე: პარტია,
> შირები, ადმინისტრაცი
> ორგანოები, არმია
> თავის თავად ცხარი
> ვინაიდან ამ აპარატ
> ციალური შემადგენლო
> დასხვა და მათი ამოცანები
> სხვაა, ორგანიზაციის ფ
> მექანიკური შეცვლა აბსურ

ჩვენ ტყუილ-უბრალოთ არ მო
ნა ასეთი ვრცელი ამონაწერი
ხარინის სიტყვიდან. ამხ. ბ
იძლევა პარტიულ დემოკრა
კითხის მარქსისტულად
შეადარეთ ეხლა ამხ. ბუხარი
ლობასთან, იმავე საკითხის
ბა ამხ. ცინცაძის მიერ. ყო
ქონიდან გამოსჭვივის ეს
ლი.

მაგრამ დავანებოთ თა
ცაძეს. მის გამოსვლას პ
თავისი პოლიტიკური
შეიძლება ჩაითვალოს
იმისა, თუ როგორ არ
გეთ საკითხს პარტიის ა
ნების შესახებ. მაგრამ რ
შათა დემოკრატიის საკით
მდეგ ამხ. ზინოვიევის სტ
ასე თვალსაჩინო ხდება პარ
კუსიების დროს, საჭიროთ
უფრო ვრცლად შევეხოთ

დასრულებული ფორმ
თუ რა არის პარტიის შინა
დემოკრატია, მოგვცა
პარტიის მეათე ყრილობამ.
ხელ იყო მოყვანილი
კარგად მოეხსენება, გამე
ლი, ეს ადგილი ყრილო
ლიუციიდან, რომელიც
ტიულ მშენებლობის საკ

„პარტიის შინა მუ
რატიის ქვეშ იგულის
ორგანიზაციული ფორ
კომუნისტურ პოლიტ
რების დროს, რომელ
ველჰყოფს პარტიის
ბისათვის, ყველაზე
ბისათვისაც კი, აქტ
ლეობას პარტიის
ყველა წამოყენებულ

---

*) იხ. კომუნისტი № 282.

საქონელი იაფდება

სასტიკი ბრძოლა ჩვენი მრეწველობის პროდუქტების არაჩვეულებრივი სიძვირის წინააღმდეგ, ბრძოლა საქონლის ფასების როგორც წარმოებაში, ი. ე საბაზრო (საბითუმო და საწვრიმალო) სახელმწიფო მოწესრიგებისათვის და დაყრდნობა მშრომელთა ფართე მასების მსყიდველობითი უნარიანობაზე და არა მაქსიმალური მოგების მიღებაზე—ეს ამჟამად კონკრეტიული ამოცანაა ამიერ კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში.

განზრახულია სახალხო მეურნეობის მომწესრიგებელი ორგანოების—ამიერ-კავკასიის გეგმათა სამმართველოს და შინაური ვაჭრობის კომიტეტის - გახსნა. მაგრამ ამ ორგანოების გახსნა, მათი მოწყობის სირთულის გამო, ერთგვარ დროს მოითხოვს.

ფართე მოხმარების საგნების გაიაფების საკითხი მეტად რთულია. **დრო არ იცდის.** სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეკრება უკვე სრულდება. დადგა გლეხების მიერ თავისი მოსავლის რეალიზაციის დრო. ჩვენი ნედლი მასალის დამზადების სეზონი დაიწყო.

გლეხს—მიწის მუშას და ნედლი მასალის მწარმოებელს დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს თავისი შრომის ნაყოფი ქალაქის მრეწველობის საგნების ხელმისაწვდომ ფასებში შეძენის საშუალების მიცემით.

საქონელი ჩვენში **ჯერ კიდევ** ძვირია და მიუწვდომელია მშრომელთა ფართე მასებისთვის, რადგან საერთო მოძრაობა მთელს ს. ს. რ. კ.—საქონლის ფასების რეალურათ დაწევა—**ჯერ კიდევ ძლიერ სუსტად შეეხო ამიერ კავკასიას.**

ჯერ კიდევ 6 დეკემბერს ს. მ. უ. ს. სათბობი მასალის განყოფილება ნავთს ჰყიდდა ტფილისში სამ ჩერვონეც მანეთად, იმავე ნავთი ფუთი ღირდა 1 მ. 20 კ., ხოლო პროვინციაში კი ნავთი ფასობს 5—7 მანეთი (ჩერვ.) ფუთი. საინტერესოა ამ ფასებს შევადაროთ რ. ს. ფ. ს. რ. ფასები, სადაც მოსკოვში, რომელიც დაშორებულია ბაქოს უდიდეს რკინისგზით, ნავთი ფუთი 1 მ. 88 კ. ფასობს.

ფასების ასეთივე შეუსაბამობა ემჩნევა ჩვენი ვაჭრობის სხვა დარგებსაც. არშინი ჩითი ტფილისში ღირს 38—46 კაპეიკამდი, პროვინციაში კი, რომელიც შედარებით ახლოა ტფილისიდან [მუხრანში, **ჩითი თითქმის 90—100 კ. ფასობს ე. ი. 800—900 პროცენტით უფრო მეტი, ვიდრე ომამდე.** მარილზე დაკლებული საბითუმო ფასები მაინც უდრის ტფილისში 90—136 კაპ. ფუთზე იმ დროს, როცა მისი ღირებულება სოფელში არ აღემატებოდა 20—30 კაპ. ფუთზე; სომხეთში კი მაგალითად ერთ ფუთ მარილში საქონლის პატრონი **იძულებულია მთელი ცხვარი მისცეს.**

სიძვირე, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს ამიერ-კავკასიის ბაზარზე მასიური მოთხოვნილების საგნებზე, უარყოფითი გავლენას ახდენს ჩვენი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანის მსყიდველობითი უნარზე, რადგან ამიერ კავკასიის ფინანსთა კომისარიატის ყველა ღონისძიებებს ჩვენი ფულის ნიშნების სტაბილიზაციისთვის აბრკოლებს საქონელზე **ფასების არაჩვეულებრივი სიდიდე**, რომელიც ჩვენი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნის დაცემის და მაშასადამე ჩერვონცების და მთელი დანარჩენი მტკიცე ვალიუტის კურსის აწევის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მეტად მაღალი ფასები საქონელზე ფასის დაკარგვით ემუქრებიან ჩვენს მტკიცე ვალიუტას. ჩერვონეცსაც (საქონელი მეტად ძვირია მტკიცე ვალიუტით—ჩერვონეცით გამოანგარიშების დროსაც), მიუხედავად იმისა, რომ ის მტკიცეა ოქრო-ლითონთან და უფრო უმდიდრეს ქვეყნების ვალიუტის მიმართ.

ზემოაღნიშნულ მდგომარეობის გამო ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ გადასწყვიტა **დაუყოვნებლივ**, ამ საკითხების სათანადო მომწესრიგებელ ორგანოებში დაწვრილებით განხილვისათვის დაუცდელად, **დაკვრითი წესით** შეუდგეს **ფასების გადასინჯვას და რეალურათ დაკლებას** პირველი მოთხოვნილების ისეთ საგნებზე, როგორიც **არის მარილი, ნავთის პროდუქტები და მანუფაქტურა**, რომელსაც ისე საჭიროებს ჩვენი გლეხობა და რომლებიც ამიერ-კავკასიის ეკონომიკაში ყველაზე სერიოზული ფინანსიურ-ეკონომიური ფაქტორის როლს თამაშობენ.

ამ მიზნით მთავრობამ დაარსა სპეციალური კომისია პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასების დასაკლებათ. კომისიამ პირველსავე თავის სხდომაზე 5 დეკემბერს განიხილა ფასები **ნავთის პროდუქტებზე, მარილზე და მანუფაქტურაზე.** ამ კომისიის მუშაობის დაწყებამ უკვე გამოიღო გარკვეული **რეალური შედეგები.**

კომისიამ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სათბობ მასალის ორგანოების, მარილის და საფეიქრო სინდიკატის გასაყიდი ფასების კალკულიაციასთან გაცნობის შემდეგ, მოახერხა დაეწია **გასაყიდი ფასების შემადგენელი ელემენტები** ნავთის პროდუქტებზე, მარილზე და მანუფაქტურაზე, რის გამო გასაყიდი ფასები ნავთზე და მარილზე შემცირებულია **ნახევარზე მეტად**, მანუფაქტურაზე კი—15-20 პროცენტით უკვე მომხდარ დაკლებასთან შედარებით. ამას გარდა მიღებულია ზომები საწვრიმალო ვაჭრობაში ყოველგვარ დამატების მტკიცე რეგლამენტაციისათვის მთელს ამიერ-კავკასიაში და დანიშნულია ფასების მაქსიმუმი გასაღების ადგილებზე.

ნავთი და ნავთის სხვა პროდუქტები. ნავთის პროდუქტების მხრივ კომისიამ შემდეგ შედეგებს მიაღწია:

1. შემცირებულია აზნავთის ბაზრის ფასები ნავთზე ფრანკო-ბაქო ცისტერნი, 90 კაპეიკიდან 65 კაპეიკამდე ფუთზე, ე. ი. 28 პროცენტით.

2. რკინისგზის ფრახტის და ყველა დამატებითი ხარჯები შემცირებულია 39,61 კაპ. 10 კაპეიკამდე ფუთზე, ე. ი. 75 **პროც.-ით**, აგრეთვე მოსპობილია 25 პროც.-იანი შესწორებითი კოეფიციენტი ადგილობრივი ტარიფის მიხედვით ნავთის გადასაზიდავათ ცისტერნებში ნავთსადგურის მიმღებ სადგურებში.

3. დადგენილია აღძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აქციზის 80 კ. 40 კაპეიკამდი შემცირების შესახებ ფუთზე, ე. ი. 50 პროც.-ით ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის შიგნით მოსახმარათ გაყიდვის მიმართ.

4. გამორიცხულია ნავთით ბითუმათ და წვრილმანით მოვაჭრე ორგანოების კალკულიაციიდან 2 პროც. დამატება გზაში დანაკლისის დასაფარავად, საწყობში დანაკლისის პროცენტი კი შემცირებულია სამიდან სამ მეოთხედ პროც.-დი.

5. გამორიცხულია რკინისგზის ფრახტიდან გადასახადი 1 კაპ. ფუთზე ვაგონის ჩიხში დაყენებისათვის.

6. 25 პროც.-ით შემცირებულია დამატება სათბობი მასალის ცენტრალურ ორგანოების და მათი საწყობების შესანახად.

7. წაგება კურსზე დატოვებულია მხოლოდ 4 პროცენტის რაოდენობით.

8. საჭიროდ არის აღიარებული ნავთზე ყოველგვარი გარიგების სარეგისტრაციო და სალერბო გადასახადებისაგან განთავისუფლება.

9. ამას გარდა **დამატება მოგებაზე** გასაყიდი ფასების კალკულიაციის დროს სათბობი მასალების ორგანიზაციებისათვის გამომუშავებულია 2 **პროცენტის** რაოდენობით კოოპერაციისათვის მიწოდების დროს, 3 **პროც**—სახელმწიფო ორგანოებისათვის და **5 პროც.**—კერძო ვაჭრებისათვის მიწოდების დროს წინანდელი 50—60 **პროცენტის** მაგიერ, საწარმოო ფასთან შედარებით კი—ფრანკო-ცისტერნა ბაქო—თითქმის 100 პროცენტით. ამ ღონისძიებების მიღების შემდეგ საბითუმო ფასი ნავთზე შინაური მოხმარებისათვის ამიერ-კავკასიის მაშტაბით გამოიხატება მაგალითად 3—3 ნახევარი მანეთის ნაცვლად ფუთზე (საქართველოში და სომხეთში) **1 მ. 40 კ.—1 მ. 46 კ. ფუთი.** ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასია ნავთს მიიღებს საექსპორტო ფონდიდან, რომელიც თავისი მაღალი ღირსებით განირჩევა.

ნავთის გასაყიდი ფასის მოწესრიგებასთან და დაკლებასთან ერთად ჩვენ უფრო მეტად უნდა შევეცადოთ დავუკლოთ საწვრიმალო ფასებს ამიერ კავკასიის პროვინციაში, სადაც ნავთი ნავთი, ისედაც ძვირი ცენტრში აღწევს 150—200 პროცენტით გადიდებულ ფასით.

ყველა ამ ღონისძიებების მიღების შემდეგ პროვინციამ უნდა მიიღოს ნავთი ფაქტიურად **4—5-ჯერ გაიაფებული.**

ჩვენს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობას მოელის გამოცდის დაჭერა პრაქტიკულად მიიტანონ სოფლის მომხმარებლამდი ცენტრში მიღწეული სერიოზული შედეგები.

ნავთთან ერთად კომისიამ დაუკლო ფასებს მაზუთზე, მანქანის ზეთზე და ბენზინზე, რაც მაზუთისათვის იძლევა მაგალითად საბითუმო ფასის შემცირებას **1 მ. 12 კ. 68 კაპეიკამდე, ე. ი. 40 პროცენტით.**

ნავთის პროდუქტებზე ფასების დაკლებამ საქონლის და აგრეთვე კომუნალური სამსახურით სარგებლობის გაიაფების გამო, სადაც სათბობი მასალა **დიდ როლს თამაშობს**, როგორც თვით ღირებულების ელემენტი, უნდა გამოიწვიოს ცხოვრების გაიაფება, განსაკუთრებით ქალაქში.

გაიაფდება გამომცხვარი პური, რომლის განუწყვეტელი გაძვირება აიხსნებოდა სათბობ მასალაზე ფასების შეუჩერებელი ზრდით. განსაკუთრებით შემცირდება ხარჯები კომუნალური სამსახურით სარგებლობისათვის: ელექტრონზე, წყალზე, ტრამვაიზე, რომლებზედაც ფასების სიმაღლე დამოკიდებულია სათბობ მასალაზე.

მარილი. მარილის მიმართ მიღწეულია შემდეგი შედეგები:

1. დადგენილია მიღწეულ იქნეს **საზღვაო ფრახტის** შემცირება ყირიმის ფხვნილ მარილზე, რომლის ფრახტის ღირებულება ამჟამად აღწევს 17 ნახევარ კაპეიკს ფუთზე, იმ დროს როცა თვით მარილი ყირიმში ფუთი 12 კაპეიკი ფასობს, ე. ი. ფრახტი ერთნახევარჯერ სჭარბობს მარილის თვითღირებულებას.

2. გამოტანილია დადგენილება ფოთში და სოხუმში **გადატვირთვის** არაჩვეულებრივათ მაღალი ღირებულების შემცირების შესახებ, რომელიც ამჟამად 13—22 კაპ. უდრის ფუთზე, რაც შავი ქვის დატვირთვის ღირებულებასთან შედარებით 200—4000 პროც დამატებას შეადგენენ.

3. დადგენილია მოიხსნას მარილზე რუსეთის მაღალი აქციზი—45 კაპ. ფუთზე და მის ნაცვლად დაწესდეს მხოლოდ **ამიერ-კავკასიის შემცირებული აქციზი—10 კ. ფუთზე**, რაც ამცირებს არსებულ აქციზს 78 პროცენტით.

ამისათვის არსდება საწყობები ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში. მარილის სინდიკატს საშუალება ეძლევა შეღავათიან პირობებში გადაიხადოს აქციზი, მარილის საწყობიდან გაშვების დროს. ამას გარდა განზრახულია აქციზის კიდევ დაკლება მარილზე, რომელიც საჭიროა სახელმწიფო, კოოპერატიულ და თევზის მრეწველობისათვის.

4. გადაწყვეტილია შემცირებული იქნეს მარილის სინდიკატის **საორგანიზაციო ხარჯები** 9 კაპ. 4 კაპეიკამდე ფუთზე.

ყველა ამ ღონისძიებების გამო **მარილის გასაყიდი ფასი** ფოთი ფრანკო-საწყობი უდრის დაახლოებით 42 ნახ. კაპეიკს ფუთზე წინანდელი ერთი მანეთის ნაცვლად, რაც უდრის ფასის 58 **პროც.-ით** დაკლებას.

უარეს შემთხვევაში, რომ ახლო ხანში არ იქნეს მიღწეული საზღვაო ფრახტის დაკლება სასურველ რაოდენობით, მაშინაც კი მაქსიმალური გასაყიდი ფასი მარილზე არ გასცილდება 50 კაპ., ე. ი. ფასი მაინც იქნება დაკლებული 50 პროც.-ით.

ჩვენ მიერ მოყვანილი ყველა შეღავათები ვრცელდებიან აგრეთვე ქვამარილზე. ამას გარდა სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს დაევალა სასწრაფოთ გამოიმუშაოს აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოსთან ერთად იმ ღონისძიებების საკითხი, რომლებიც საჭიროა მარილის ადგილობრივი მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებისათვის, კერძოთ კი მაღალი საწარმოო ფასის დასაკლებათ ადგილობრივ ქვა და ტბის მარილზე.

მანუფაქტურა. მანუფაქტურის მიმართ კომისიის მიერ საფუძვლათ მიღებულია საფეიქრო სინდიკატის უკანასკნელი (ნოემბრის) საბითუმო პრეისკურანტი. საფეიქრო სინდიკატის ადგილობრივი განყოფილებისათვის შესაძლებლათ არის ცნობილი მიეცეს ნება ბითუმათ ვაჭრობის დროს ფრახტის და სხვა საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად დაუმატოს პრეისკურანტში აღნიშნულ ფასებს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობისათვის დაწესებულ ფარგლებში—8 პროც., კერძო ვაჭრობისათვის—10 პროც. - **და მეტი არავითარი დამატება მოგებისათვის.**

მაუდის და სელის მასალა განზრახულია გაიყიდოს საფეიქრო სინდიკატის ადგილობრივ განყოფილებაში მოსკოვის პრეისკურანტის მიხედვით, რაიმე დამატების გარეშე.

ამრიგათ მაქსიმალური დამატება მანუფაქტურაზე ბითუმათ ვაჭრობის დროს დაწესებულია 8 პროც. მოსკოვის საბითუმო პრეისკურანტის ფასებზე, საწვრიმალო ვაჭრობისათვის არა უმეტეს 15 პრ. ამას გარდა განზრახულია უფრო შეღავათიანი ასორტიმენტის დაშვება მყიდველებისათვის შესაძენი საქონლის ამორჩევის მხრივ.

ამასთან ერთად საჭიროდ არის ცნობილი **საწვრიმალო ფასების საბითუმო ფასებთან მაქსიმალურად დაახლოება.** განზრახულია საწვრიმალო ვაჭრობაში მაქსიმალური დამატებათ საბითუმო ფასებზე 5 პროცენტით დაწესება, რაც რასაკვირველია, მოგვცემს საწვრიმალო ფასს, რომელიც ბევრათ არ განირჩევა საბითუმოსაგან და გავლენას მოახდენს თავისუფალი ბაზრის სტიქიაზე. კერძო ვაჭრების გაუმაძღარი მადის ალაგმვის მხრივ. პირველი ცდა ამ მიმართულებით მოახდინა სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორამ, რომელმაც მოიდანზე გახსნა, „კომუნისტური ამხანაგობის“ კოოპერატივის საშუალებით მანუფაქტურით წვრიმალით სავაჭრო, სადაც მანუფაქტურა დღემდი არსებულ საბითუმოზე დაბალ ფასებში იყიდება. ეს მეტად დროულია. და მოკლე ხანში უსათუოდ გამოიღებს დადებითი შედეგებს.

ამ ღონისძიებების დასამატებლად, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნე[illegible]ვით, კომისიამ გადასწყვიტა მიიღ[illegible] სასწრაფო ზომები ფართე მოხმარების საგნების ფასებზე,
ნორმების განხილვისათვი
ბისათვის, რაც აგრძნო
ვინციას ფასების რეალ
ბას.

ყველა გამომუშავებულ
ებები სასწრაფო წესით
რეს მთავრობის სათანა
ციებში სათანადო სანქ
ბათ და ცხოვრებაში ს
სატარებლად.

ამავე დროს წარ
რი წვრილი - დამტარე
რების ინსტიტუტის
შესახებ, რათა ამით შე
ნეს ის ნაკლი, რომელიც
ლია ჩვენი სავაჭრო აპარ
სათანადო განვითარებით
ტიურობით. ეს მით უფრ
ბელია, რომ ჩვენი კოოპ
კიდევ სუსტად არის წარ
სოფლად და ვაჭრობის
ბით სოფლის ჩარჩებ
თავისთავად ცხადია, რომ
წვრილი მოვაჭრეები ს
ილებენ უშუალოდ სახე
განოების ან კოოპერაც
მათი სავაჭრო ფასები
იქნება მოწესრიგებული.

კომისიის მიერ მიღებუ
ძიებები საერთოდ ეთანხ
სების იმ პოლიტიკას, რომ
ჟამად ტარდება მთელს
კავშირში. ასე მაგალითად
ს. რ. ფასების კალკულიაც
ლზე შემცირებულია 10-და
დე საფეიქრო სინდიკატი
პროვინციალურ განყოფ
ადგილობრივი ფასების
დროს საფუძვლათ მიიღებ
კოვის საბითუმო პრეისკურან
სები, მხოლოდ საორგანიზაციო
სხვა წვრიმალი ხარჯების
მცირედენი პროც. ის
წინანდელი 25—40 პროც
[illegible]

ვირა 9 დეკემბერი, 1923 წ. № 284

კომუნისტი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

მიწის კოდექსი

(პროექტი)

...ოქმედების სახალხო კომისარიატისაგან

...ყვენებს რა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბ-...ის კოდექსის პროექტს, კომისარიატი მოუწოდებს ამხანა-... მიწათმოქმედების და მოწყობის დარგის მუშაკებს გამოს-... თავიანთი აზრი მის შესახებ. წერილები და შენიშვნები უნდა ...ეგზავნოს მიწათმოქმედების კომისარიატს, ან გაზ. „კომუნის-ტი"-ს რედაქციას.

ძირითადი დებულებანი

...ხიად საქართველოს მუშა-... ...ნა და წითელარმიელთა ... ნებისყოფით საქართვე-...თა სოციალისტურ რეს-... ...ი კერძო საკუთრების უფ-...აზე, მიწის წიაღზე, ტყეზე ...ზე გაუქმებულია სამუდა-...

...ული მიწა საქართველოს საბ-...იცალისტურ რესპუბლიკაში, ...გებლობაში და განკარგულე-... ...რ უნდა იყოს ის, შეადგენს ... და გლეხთა სახელმწიფოს ...ბას.

...ყველა მიწა გამოსადეგი სასოფ-...ეურნეობისათვის შეადგენს სახელმწიფო საადგილმამუ-...ნდს, რომელსაც განაგებს ... მიწათმოქმედების სახალხო ...არიატი.

სახელმწიფო საადგილმამულო ...იდან სასოფლო-სამეურნეო მი-...უშუალოთ სარგებლობის უფ-... კანონით განსაზღვრულ საფუ-... ეძლევა: ა) მიწის მუშას და ... მუშათაგან შემდგარ კავშირს ...ას, ამხანაგობას და არტელს), ...აქის მოსახლეობას და გ) სა... ...ო დაწესებულებებს და წარ-... ...ს მიწები, რომელიც ამ ...გორიის მიწის მოსარგებ-...ში არ არის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უშუალო განკარგულებაშია.

5. რაოდენობა მიწისა, რომელიც შეიძლება იყოს მიწის მუშის სარგებლობაში, განისაზღვრება ამ კოდექსით დაწესებულ ნორმებით.

6. ყველა მიწა, რომელიც რჩება სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში მიწის მუშათა, სასოფლო-სამეურნეო კავშირთა და ქალაქის მოსახლეობის სარგებლობის გარეშე, შეადგენს სახელმწიფო მფლობელობის მიწას და სახელმწიფო საადგილმამულო ქონებას.

7. პირობები, წესი და რიგი თავისუფალი მიწების სარგებლობისა და მათი გადაცემისა საადგილ-მამულო ორგანოების მიერ, სხვადასხვა მიწის მოსარგებლეზე განისაზღვრება ცალკე წესებით, რომელსაც გამოსცემს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

8. ყველა მიწის მოსარგებლენი, რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-მეურნეობას სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მიღებულ თუ სხვა მიწებზე, ემორჩილებიან საადგილ-მამულო ორგანოების საერთო კანტროლს და, მათზე გადაცემულ მიწის წესიერათ გამოყენების მარივ, მათ აწევთ ვალდებულებანი, რომელიც განისაზღვრება ამ კოდექსით და სხვა კანონებით.

ნაწილი პირველი

...რომითი მიწის სარგებლობა

კარი I

...ის მუშათა უფლება მიწის სარგებლობაზე

...ობა მიწით სარგებლობისა ...ო-მეურნეობის საწარმოებ-... კოდექსით დაწესებულ ნორ-... ...ს საქართველოს საბჭოთა ...ალისტურ რესპუბლიკის ყველა ...ქეს (განურჩევლად სქესისა, ...ბისა და სარწმუნოებისა), ...ისურვებს მიწის დამუშავე-... ...თავისი შრომით.

...აქეს, რომელიც მოისურვებს ...ობას თავისი შრომით და-...ოთ, მისცემს მიწას მიწათ-...ს კომისარიატის სათანადო ...ოუ ამ უკანასკნელს მოეპო-...არიგო მიწა სასოფლო მე-...თვის გამოსადეგი.

...ის მოსარგებლეს შეუძლია ...ულოს თავისი უფლება ... როცა ის შედის რომე-...ოფლო-სამეურნეო ამხანა-...ა ემორჩილება მიწის სარ-... მხრივ იმ ამხანაგობაში ...წესს, ან ბ) დამოუკიდებ-...ნაგობის გარეშე.

...ამითი მიწის სარგებლობის ...რის უვადო და შეიძლება ...ხოლოდ კანონით განსაზ-...ფუძველზე.

...ება შრომითი სარგებლო-... ახალ ნაკვეთებზე მოიპოვე-... საადგილმამულო ორგანოე-...ის მიღებით, ბ) ან ახალ ...ატებით ნორმის ფარგლებ-...ის აღება, ჰამის გაშრო-... გ).

...ა 1: საადგილ-მამულო ორ-...გან მიწის მიღება სწარ-...ათმოწყობის წესის თანახ-... 6—III)

...ა 2: ახალი მიწების გატე-...ა იმ რაიონებს, სადაც ... ასეთი გატეხა, განსა-...წათმოქმედების კომისა-...

...დროვ სამსახურში მობი-... ან ჩვეულებრივი წესით ... ან საბჭოთა და საზოგა-... თანამდებობაზე არჩეული ... არ ჰკარგავს უფლებას ... ყოფნის დროს მის ხვედრ ...არეთ სამუშაოზე წასვლის ... ასეთი უფლება ეძლევა მი-... ხოლოდ სამი წლის გან-..., რის შემდეგაც მისი ხვე-... თუ მიწას მისი ოჯახის ... წევრები არ ამუშავებენ ...ის შრომით, გადადის საად-...ლო ორგანოების განკარგუ-...

... მიწით სარგებლობის უფლება ...ება: ა) როცა მიწისმუშის ოჯა-...ველა წევრი ნებაყოფლობით ...ანებებს მიწას, ბ) როცა ოჯა-...ულიად მოსპობს მიწაზე თავის ...კიდებელ მეურნეობას, გ) კომ-...ის გადაშენებით, დ) სამუდამოთ ახალ ადგილზე გადასახლებით და ...წარდგენილ მიწაზე დამოუკიდებელ ...ურნეობის მოსპობით, ე) სასამარ-...ს გადაწყვეტილებით კანონში განსაზღვრულ დანაშაულისათვის და ვ) მიწის ჩამორთმევით თანახმად კანონიერ წესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის (გზების, არხების გასაყვანად და სხ.).

15. ნებაყოფლობით მიწის თავის ...ანებება ხდება ოჯახის ყველა წევრის თანხმობით, რაზედაც უნდა ეცნობოს თემის აღმასკომს.

16 მეურნეობის მოსპობათ ითვლება ის შემთხვევა, როცა ზედიზედ სამი წლის განმავლობაში მიწისმოსარგებლე ოჯახი არ სარგებლობს მიწით სასოფლო-მეურნეობის საჭიროებისათვის არასაპატიო მიზეზით, რაც შემოწმებულ და დადასტურებულ უნდა იქნეს თემის აღმასკომის მიერ.

17. გადასახლებათ ითვლება ის შემთხვევა, როცა მიწისმოსარგებლე იცვლის მოსახლეობას არსებულის წესით ახალი მიწის მიღების გამო და ძველ ადგილზე სპობს მეურნეობას.

18. მიწის ჩამორთმევა მიწათმოწყობის დროს (ნორმაზე მეტი მიწა), აგრეთვე მელიორაციის, გზების გაყვანის ან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებისათვის, სწარმოებს განსაზღვრული წესების თანახმად (ნაწილი 3).

19. ამ კოდექსით დაკანონებულ ნორმაზე მეტი მიწა მიწისმოსარგებლეს უნდა ჩამოერთვას და გადავიდეს სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში, ხოლო თვით მიწისმოსარგებლეს აქვს უფლება დაიტოვოს მიწა მისი ყოფილი საკუთრებიდან ნორმის ფარგლებში მისივე არჩევით მთლიან ნაკვეთების დაუქუცმაცებლად; მიწისმოსარგებლეს ერთი ნორმის ფარგლებში შეუძლია ჰქონდეს მიწა სხვადასხვა სოფელში, თუკი ყველა მიწებს თავისი ან თავის ოჯახის წევრთა შრომით ამუშავებს.

20. როცა მშრომელ მიწისმუშას ერთმევა არსებულის წესით მიწა ნორმის ფარგლებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის, ასეთ შემთხვევაში მიწისმოსარგებლეს უნდა მიეცეს სხვა ბადალი მიწა და აუნაზღაურდეს ზარალი.

21. მიწისმოსარგებლეს თანახმად არსებული კანონებისა უფლება აქვს: ა) გამოიყენოს და ისარგებლოს მიწით იმ წესით, რომელსაც თვითონ დაინახავს საჭიროთ და ბ) გააშენოს, მოაწყოს და გამოიყენოს ნაშენი და მოწყობილობა მეურნეობის და საბინაო საჭიროებისათვის.

მიწისმოსარგებლეს უფლება არ აქვს თავის მიწაზე ააშენოს ან მოაწყოს ისეთი რამ, რაც დაარღვევს მეზობელ მიწისმოსარგებლეთა საერთო ინტერესებს.

22. 1923 წ. აგრარულ რეფორმის ჩატარების შემდეგ ნორმაში დატოვებულ მიწების გაუმჯობესება არ გამოიწვევს მიწის ნორმის შემცირებას.

23. ყველა შენობა, ნათესი, მცენარე და საერთოდ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან, რომლითაც სარგებლობს მიწისმუშა, ეკუთვნის მას.

24. უკეთუ მიწისმოსარგებლის უფლება მიწაზე დარღვეულ იქნა, ან მისი მეურნეობის საქმეში ვინმე უკანონოთ ჩაერია, სახალხო სასამართლო ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში დღიდან დარღვევისა მიწისმოსარგებლის თხოვნით, დარღვეულ უფლებაზე თავის არსებითად გადაწყვეტამდე, ფაქტიურად აღადგინოს დარღვეული მიწისსარგებლობა.

25. მიწის ყიდვა, გაყიდვა, [illegible]დერძი, გაჩუქება ან დაგირავება აკრძალულია; ამის დამრღვევნი დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით.

კარი II

მიწის შრომითი იჯარაზე

26 იჯარით მიწის გაცემის უფლება აქვს დროებით დასუსტებულ მიწის მეურნე ოჯახს ინვენტარის უქონლობის ან სტიქიური უბედურების (მოუსავლობის, ხანძარის, საქონლის ჭირის და სხ.) გამო და სიკვდილით, სამხედრო სამსახურში გაწვევით, საბჭოთა ან საზოგადოებრივ სამსახურში არჩევით, ან დროებით გარეთ სამუშაოზე წასვლით გამოწვეულ მუშახელის ნაკლებობის მიზეზით; იჯარის გადახდა შეიძლება ფულით, ჰირნახულით ან სხვა სახით ქვემოთ მუხლებში მოყვანილ პირობების დაცვით.

27 მიწის იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, განსაკუთრებულ შემთხვევებში (როცა მიწას აძლევს იჯარით ქვრივი დედაკაცი უშვილო ან წვრილი ობლებიანი) თემის აღმასკომს შეუძლია განაგრძოს იჯარის ვადა ექვს წლამდე; უკეთუ ამ ვადის გასვლის შემდეგაც იჯარით მიწის გამცემი ვერ შესძლებს თავის მიწის თვითონ დამუშავებას, ასეთ შემთხვევაში იჯარის გაგრძელება შეიძლება სამაზრო საადგილმამულო ორგანოს ნებართვით; თუ ზემოხსენებულმა ორგანოებმა უარი სთქვეს ნებართვაზე, მიწა გადაირიცხება სათადარიგო ფონდში.

28. არავის არ შეუძლია აიღოს იჯარით იმაზე მეტი მიწა, რამდენის დამუშავებასაც ის შესძლებს საკუთარის და მისი ოჯახის წევრთა შრომით.

29. იჯარის ხელშეკრულება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის შემდეგ თემის აღმასკომში, რომელიც ხელშეკრულებას განიხილავს არსებითად; აკრძალულია ისეთი საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაცია, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება.

30. იჯარის ხელშეკრულება შეიძლება იქნას წერილობითი და სიტყვიერი; უკანასკნელ შემთხვევაში ის უნდა შეტანილ იქნეს ხელშეკრულებათა წიგნში თემის აღმასკომის მიერ.

31. იჯარით მიწის გაცემის უფლება არა აქვს ისეთს კომლს, რომელიც სხვა ადგილზე გადასახლებით ან სხვა საქმეზე გადასვლის გამო სპობს საკუთარ მეურნეობას.

32. იჯარით მიწის ამღები ხელშეკრულების თანახმად ვალდებულია აწარმოვოს მეურნეობა აღებულ მიწაზე, როგორც მეყაითმა და წინდახედულმა პატრონმა და არ შეუძლია მიწა სხვას გადასცეს; იმ გადასახადებს, რომელიც ხვდება იჯარით აღებულ მიწას, იხდის მიწის ამღები.

შენიშვნა: იჯარის ხელშეკრულებაში უნდა იქნეს მოხსენებული ის გაუმჯობესებანი, რომელიც ვალდებულია შეიტანოს მოიჯარადრემ აღებულ ქონებაში და აგრეთვე ის პირობებიც, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს ანგარიშის გასწორება მიწის იჯარით გამცემთან, თუ მოიჯარადრემ ბოლომდე ვერ ისარგებლა აღებული მიწით.

33. საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება გაუქმებულ იქნას მიწის იჯარით გამცემის ან საადგილმამულო ორგანოების მოთხოვნით ვადის გათავებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარადრემ არ შეასრულა წინა მუხლში მოყვანილი პირობები: ხელშეკრულების გაუქმება და აქედან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის შედეგების მოწესრიგება ხდება საერთო სასამართლოს წესით.

34. იჯარის ვადის გათავების შემდეგ მიწა უბრუნდება პატრონს ყველა იმ ალნაგობებით და გაუმჯობესებით, რომელთა აცლა მიწიდან არ შეიძლება მიწის სამეურნეო ღირებულების დაუზიანებლად; ამ შემთხვევაში ანგარიშის გასწორება იმ გაუმჯობესებების ბოლომდე მოუხმარებლობის გამო, რომელიც შეიტანა მოიჯარადრემ მიწაში, ხდება ხელშეკრულების ან დამატებითი პირობების თანახმად.

35. საიჯარო ურთიერთობის და პირობების წესიერად შესრულებას თვალყურს ადევნებს თემის აღმასკომი; იჯარით გამოწვეულ ყოველგვარ დავის გადაწყვეტა და კანონით დაუშვებელ მძიმე პირობებიანი იჯარის მოსპობა ხდება საერთო სასამართლოს წესით.

კარი III

მუშის დაქირავება შრომითი მეურნეობაში

36 დაქირავებული შრომით სარგებლობა შრომითი მიწის მოსარგებლეს შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ დამქირავებლის ოჯახის ყველა შრომის უნარის მქონე წევრი თვითონ მუშაობს დაქირავებულ მუშასთან ერთად: ა) სასწრაფო, ვადიანი სამუშაოს სეზონში: თოხნის, მკის, ვენახის ან სხვა მცენარეების წამლობის, ჩაის მოკრეფის, ჰირნახულის მოწევის დროს და სხ. და ბ) იმათთვის, ვისაც აქვს უფლება მიწის იჯარით გაცემისა (მუხ. 26).

37. დაქირავებული შრომის დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნა შრომის დაცვისა და მოწესრიგების კანონები სასოფლო მეურნეობაში.

შენიშვნა: სასოფლო მეურნეობაში დაქირავებული შრომის თვალყურისდევნების და კანტროლის წესებს იმუშავებენ შრომის და მიწათმოქმედების კომისარიატები პროფ-კავშირთა საბჭოსთან ერთად.

Кол. кн. Хал. ... Грузии

კარი IV

კომლი (შრომითი მიწის მეურნეობა)

თავი I

კომლის შემადგენლობა

კომლი (შრომითი კომ შემადგენლობა

38. კომლად ითვლება კავშირი ერთი ან რამოდენიმე მიწის მუშა ოჯახის წევრებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ეწევიან მეურნეობას; კომლი შეიძლება შედგებოდეს ერთი უოჯახო პირისაგანაც, განურჩევლად სქესისა.

შენიშვნა: ოჯახად ითვლება: ა) ცოლქმარი, ბ) შვილებიანი ქვრივი და გ) უდედმამო ობლები.

39. კომლის წევრებად ითვლებიან როგორც მისი ნამდვილი თანამშრომელნი, განურჩევლად წლოვანობისა, ისე დროებით სამუშაოს საძიებლად წასულნი, რომლებიც კანონიერად არ არიან ამორიცხული ოჯახიდან; კომლის შემადგენლობა იზრდება დაქორწინებით ან შვილად აყვანით და მცირდება წევრთა ოჯახიდან გამოსვლით ან სიკვდილით.

შენიშვნა. დასიძებულს, რძლად მოყვანილს ან ნაშვილევს აქვს იგივე უფლება კომლის საერთო ქონების სარგებლობაში, როგორც ძირითადი წევრს და სხვა ოჯახში ქონებით სარგებლობის უფლება ეკარგება.

40. უფლება კომლის განკარგულებაში მყოფ მიწაზე, შენობებზე და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე ეკუთვნის კომლის მთელ შემადგენლობას ერთად, წლოვანების განურჩევლად.

41. კომლის წარმომადგენლად სამეურნეო-საოჯახო საქმეებში ითვლება კომლის მეთაური, კაცი ან ქალი.

42. თუ კომლის მეთაურს უვარგისათ მიჰყავს მეურნეობა, რითაც ანადგურებს კომლის ქონებას, ის შეიძლება გადაყენებულ იქნას კომლის საქმეების გაძღოლიდან და მის მაგიერათ კომლის წევრთა განკარგულებით, რომელიც დადასტურებულ უნდა იქნეს თემის აღმასკომის მიერ, დაინიშნოს სხვა.

43. თუ კომლში დარჩა მხოლოდ მცირეწლოვანები, თემის საბჭო უნიშნავს მათ მეურვეს თანახმად მეურვეობის კანონისა.

44. კომლის ქონებით არ შეიძლება გადახდილ იქნეს კომლის წევრთა (მათ შორის კომლის მეთაურისაც) ისეთი ვალები, რომლებიც აღებულია წევრის მიერ მისი პირადი საჭიროებისათვის.

45. თითეული კომლი და მასში მომხდარი ცვლილება ტარდება თემის აღმასკომის მიერ რეგისტრაციაში კომლის ყველა წევრთა და მეთაურის დასახელებით; რეგისტრაციაში შეტანაზე უარის მიღება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სახალხო სასამართლოში ორი კვირის განმავლობაში.

თავი II

კომლის გაყოფა

46. კომლის მეურნეობის გაყოფა მდგომარეობს კომლის შემადგენელ ოჯახებისათვის ან წევრთათვის ცალკე სასარგებლოდ მიწების და ქონების განაწილებაში.

47. კომლის მიწების გაყოფა-განაწილება კომლის შემადგენელ ოჯახთა ან წევრთა შორის შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ გამოყოფილ ოჯახს შეხვდება ამ კოდექსით დაკანონებული საოჯახო მიწის ნორმა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაიყოფა მხოლოდ კომლის ქონება.

48. კომლის გაყოფის მოთხოვნის უფლება არა აქვთ: ვისაც არ შესრულებია 18 წელი და ვისაც სამ წელზე მეტი არ მიუღია მონაწილეობა პირადი შრომით ოჯახის მეურნეობაში.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ოჯახის წევრს არ მიუღია მეურნეობაში მონაწილეობა სამხედრო გაწვევის, მობილიზაციის, საბჭოთა სამსახურში არჩევის, ავადმყოფობის, ან სამოსწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთ ყოფნის გამო.

49. მიწებისა და ქონების გაყოფა ხდება ალაგობრივ და საგნობრივ; ქონების (და არა მიწების) გაყოფის დროს შეიძლება ერთი საგანი ჩაითვალოს სხვა საგნებში ღირებულების შეფარდებით, შეიძლება აგრეთვე ფულით ან ჰირნახულით ანაზღაურება ხვედრი წილისა.

50. გაიყოფა მხოლოდ საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება. კომლის ცალკე წევრების მოთხოვნით, გასაყოფ ქონებიდან გამოირიცხება ამა თუ იმ წევრის პირადი სარგებლობის ქონება, რომლის შესახებაც მოსარგებლე დაამტკიცებს, რომ ქონება შეძენილია მის პირად ხარჯზე და აგრეთვე ისეთი ქონება, რომელიც ითვლება, თანახმად ადგილობრივ ჩვეულებისა, ცალკე პირთა კუთვნილებად.

51. გაყოფის მსურველნი წარადგენენ თემის აღმასკომში გაყოფის ფარდის ქაღალდს, რომელშიაც უნდა იქნეს აღნიშნული: ა) როდის და კომლის რომელ ოჯახთა შორის მოხდა შეთანხმება გაყოფის შესახებ, ბ) რომელი მიწის ნაკვეთები (სახელი, ზომა, შემადგენლობა და მდებარეობა) შედის გაყოფაში და როგორ ნაწილდება ის ოჯახებს შორის, გ) რა ქონება შედის გასაყოფად და როგორ იყოფა, დ) გაყოფის შესრულების ვადა და წესი, ე) სხვა პირობები, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს და რომლის შეტანას გაყოფის ფარდში საჭიროთ მიაჩნიათ შეთანხმების მონაწილეთ და ვ) მათი ხელის მოწერა.

52. თემის აღმასკომს ნება აქვს არ შეიტანოს რეგისტრაციაში ფარდის ქაღალდი ისეთი გაყოფისა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს; საჩივარი რეგისტრაციის უარყოფაზე უნდა შეტანილ იქნეს ორი კვირის განმავლობაში სახალხო სასამართლოში.

53. თუ გაყოფის მსურველთა შორის ნებაყოფლობითი შეთანხმება არ მოხერხდა, გაყოფა უნდა მოხდეს საერთო სასამართლოს წესით დაინტერესებულ მხარეთა მიერ სათანადო შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

54 ადგილ-მამულის გაყოფის გამო ამტყდარ დავების გარჩევის დროს სახალხო მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რჩება თუ არა თითოეულ ცალკე გამოყოფის მსურველ ოჯახს კანონიერი მიწის ნორმა ან მოიპოვება თუ არა სოფელში სათადარიგო მიწის ფონდი, რომლითაც შეიძლება მოხდეს გამოყოფის მსურველთა დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინოს კომლის გაყოფა.

55 გამოყოფით შექმნილ ახალ კომლს უფლება აქვს მოითხოვოს ცალკე სამოსახლო ადგილი თავისუფალი სათადარიგო ფონდიდან, უკეთუ ადგილის სივიწროვის გამო ნამოსახლოს გამოყოფა არ მოხერხდა ძირითადი კომლის სამოსახლოდან.

თავი III

ღონისძიებანი მეურნეობის დაქუცმაცების წინააღმდეგ

56. აკრძალულია გაყოფა ისეთი კომლის მიწა-ადგილისა, რომელსაც ერთ კანონიერ ნორმაზე მეტი მიწა არა აქვს; როცა ასეთი კომლიდან მოისურვებს გამოყოფას ცალკე ოჯახი ან წევრი, მას ეძლევა მისი წილი ქონებისა (და არა მიწისა) ფულით ან ნატურით.

57. კომლის ქონების გაყოფის დროს, თუ საქმე სასამართლომდე მივა და ეს უკანასკნელი გადასწყვეტს გამოყოფის მსურველის ფულით დაკმაყოფილებას, მას არ შეუძლია მიუსაჯოს გამოყოფის მსურველს კომლის ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი; კომლში დარჩენილთა მოთხოვნით განაყოფის დაკმაყოფილება შეიძლება განაწილებულ იქნას ხუთი წლის განმავლობაში რაიმე სარგებლის დაუნიშნავად.

58 გაყოფა, რომელიც არაა შეტანილი რეგისტრაციაში, კანონიერად არ ითვლება.

კარი V

მიწის სარგებლობის ფორმებზე

თავი I

ზოგადი დებულებანი

59. მიწის სარგებლობის ფორმა შეიძლება იყოს: ა) **ნაჭრობითი,** როცა კომლს ეძლევა ესა თუ ის მიწის ნაკვეთები ნორმის ფარგლებში მტკიცე და უვადო სარგებლობაში, ბ) **ამხანაგური,** როცა მიწას საერთოდ სარგებლობს და ამუშავებს კომუნა, ამხანაგობა ან არტელი და გ) **თემური (Общинное)** მიწების გათანასწორებითი გადაყოფით.

თავი II

მიწის ნორმა

60. მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველია ცალკე მეურნეობა (ოჯახი და მისი ამკარგიანობა)

61. მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფა შემდეგ ხუთ რაიონად:

პირველ რაიონს შეადგენს გორის მაზრის მთლიანი ნაწილი ტირიფონის ველის და ცხინვალის ჩრდილოეთით; დუშეთის მაზრა, გარდა ხევისა და გუდამაყრის ხეობისა და მუხრანის და საგურამოს სააგრარო რაიონებისა; თიანეთის მაზრა, გარდა მთიან ფშავ-ხევსურეთისა, თელავის მაზრა მთლად, სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ბორჩალოს მაზრის კაჩაგანის, დემურჩი-გასანლინის, გიაურ-არხის, არუხლო-სარვანის და აშაგა-სარალის თემები და ტფილისის მაზრის ყარაიას ველი.

მეორე რაიონს შეადგენს თიანეთის, სიღნაღის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები და დუშეთის მაზრის ხევი და გუდამაყრის ხეობა.

მესამე რაიონს შეადგენს მტკვრისა და ლიახვის ხეობა, გორის მაზრის საზღვრებში ცხინვალის სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანის და საგურამოს სააგრარო რაიონები.

მეოთხე რაიონს შეადგენს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი) და

მეხუთე რაიონს იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

შენიშვნა. 1 საგრარო რაიონების შედგენილობა სოფლობით მიღებულია იგივე, რაც მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

შენიშვნა 2: დავას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწერის შესახებ გადასწყვეტს მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია.

62. ნორმად დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველ კატეგორიაში ჩაითვლება: საბოსტნე, ბაღი, ვენახი, პამიდორი, კარზე ტყე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და უმაღლესი კულტურისათვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში: სახნავ სათესი მიწა, რომელიც სისტემატიურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურწყავი სათიბი და ვაკე ჯაგნარი, რომელსაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავალის მოცემა შეუძლიან.

მესამე კატეგორიაში: ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი.

მეოთხეში—ჩირგვნარიანი ფერდო და ქვიანი ჩიგვნარი.

შენიშვნა: გამოუსადეგარი მიწა-წყალი, როგორც, მაგალითად, გზა, რიყე, ტბა, ჭაობი, მდინარე, ღელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამგვარი რამე, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს, ნორმაში არ ჩაითვლება.

63. მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე; საშუალო ოჯახად ჩაითვლება თვითეული განსაკუთრებული და დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული 3—5 სულისაგან შემდგარი. როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზე ნორმის ერთი მეთექვსმეტედი და როცა სამ სულზე ნაკლებია, ნორმას აკლდება ამდენივე თითო ნაკლებ სულზე.

შენიშვნა: ოჯახის წევრად ჩაითვლება მოსწავლე 25 წლის ასაკამდე.

64. მიწის ნორმები, რომელიც დაეტოვება თითო ოჯახს, შემდეგია:

რაიონი	კატეგორია დესეტინებით			
	1.	2.	3.	4.
პირველი	ოთხი	ექვსი	რვა	ათი
მეორე	ოთხნახევარი	ექვსი	შვიდნახევარი	ცხრა
მესამე	სამი	ხუთი	ექვსი	შვიდნახევარი
მეოთხე	სამნახევარი	ხუთი	ექვსნახევარი	რვა
მეხუთე	ორნახევარი	ოთხი	ხუთი	ექვსი

65. მიწის ნორმა ყოფილ მემამულეს დაეტოვება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

66. დაეტოვება მიწის სრული ნორმა: ა) ადგილობრივ მცხოვრებ შრომის უნარდაკარგულ მოხუცებულთ და ქვრივ-ობოლთ, უკეთუ ისინი ცალკე კომლს წარმოადგენენ და მრჩენელი არა ჰყავთ, ბ) სოფლის მეურნეთ: წითელ არმიელთ, მუშათა და გლეხთა მილიციის მოსამსახურეთ და მუშათა, გლეხთა წითელარმიელთა საბჭოების მიერ არჩეულ მოსამსახურეთ, როცა ისინი დროებით არიან მოწყვეტილი მეურნეობას.

67. დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა სასოფლო ყრილობების თანხმობით: ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოოში და დაწესებულებაში, ბ) სოფლის მასწავლებლებს, გ) მაზრის, თემის და სოფლის აღმასრულებელი კომიტეტების თანამშრომელთ და დ) აგრონომებს და ვეტერინარებს, როცა მათ (ამ მუხლში მოხსენებულთ) კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი სასოფლო მეურნეობასთან.

თავი III

თემურად მიწის სარგებლობაზე

68. თემურად მიწის სარგებლობის დროს საადგილმამულო საზოგადოების თვითეულ კომლს უფლება აქვს ისარგებლოს მიწით არა უმეტეს 64 მუხლით დაწესებულ ნორმისა.

69. თემურად მიწის სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველდროს გამოვიდეს თემური წესიდან და ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ხვედრი ნორმა.

თავი IV

საამხანაგოთ მიწის სარგებლობაზე

70. საამხანაგოთ მიწის სარგებლობის ჰგულისხმობს მიწის შეერთებულის შრომით დამუშავებას, სახნავის და სათიბების ცალკე ნაჭრებათ გამოუყოფლად ამხანაგობის წევრებისათვის.

71. სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა მიწის სარგებლობის საამხანაგო წესით არსდება თავის წევრთა შორის საუკეთესოთ გამოყენებისათვის და სასოფლო მეურნეობის საწარმოებლად ნებაყოფლობითი შეთანხმების ნიადაგზე, წევრების ყველა ან ზოგიერთი მიწის ნაკვეთების შეერთებით, მათი საერთო ძალღონით დასამუშავებლად, ან ახლად მიწის მიღებით.

შენიშვნა: საამხანაგო წესით მიწის მოსარგებლე ამხანაგობას არ შეიძლება ჰქონდეს მიწა ამ კოდექსით დაწესებულ ნორმაზე მეტი, ამხანაგობის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

72. ამხანაგობის დასაარსებლად უნდა შესდგეს: ა) დამფუძნებელი ოქმი (ხელშეკრულება), ბ) წესდება და გ) მიწას გადამიჯვნის აქტი; თუ ამხანაგობას დროებითი ხასიათი აქვს, წესდების და მიწის გადამიჯვნის აქტის შედგენა სავალდებულო არაა.

73. დამფუძნებელ ოქმში (ხელშეკრულება) უნდა შეტანილ იქნეს: ა) ამხანაგობის სახელწოდება და მიზნები, ბ) რიცხვი და დასახელება წევრებისა, რომლებიც შედიან ამხანაგობაში (კომუნაში ან არტელში) და გ) რაოდენობა წევრების მიერ საერთო სარგებლობაში შეტანილ მიწისა.

74. ამხანაგობის წესდებაში გარდა მისი სახელწოდებისა, მუდმივი სამყოფი ადგილისა, უნდა შეტანილ იქნეს: ა) ახალ წევრების მიღების და ძველის გამოსვლის პირობები, ბ) ინვენტარის შეძენისა და გამოყენების წესრიგი, გ) ამხანაგობის წევრების შრომის, მათი წარმოების იარაღის და სხვა ქონების გაერთიანების განსაზღვრა, დ) მიწის საერთოდ დამუშავების და სამეურნეო შრომაში წევრების მონაწილეობის წესები, ე) საერთოდ მოკრეფილი ჰირნახულის განაწილების ზოგადი წესი, ვ) საერთო სალარის (თანხის) შექმნის საშუალება, ზ) ამხანაგობის დაშლის წესი და სხვა პირობები, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს და რომელსაც ამხანაგობა საჭიროთ სცნობს.

შენიშვნა: მ[იწა]თმოქმედების კომისარიატს ევალება შეიმუშაოს და გამოსცეს სხვადასხვაგვარ ამხანაგობათა ნორმალური წესდებები.

75. წევრს, რომელიც სტოვებს ამხანაგობას, უფლება აქვს მოითხოვოს საერთო საქმეში მის მიერ შეტანილი შრომის ანაზღაურება და წილი საამხანაგო ქონებიდან (ინვენტარი, საქონელი და სხ.); ამავე დროს ამხანაგობასაც უფლება აქვს გადაახდევინოს მიმავალ წევრს წილი იმ ზარალისა, რაც ამხანაგობამ ნახა წევრის წასვლამდე.

შენიშვნა: თუ წევრი გამოდის ამხანაგობიდან მოსავლის მოკრეფის წინა ხანებში, მას უფლება აქვს მოსავლის სათანადოდ შემცირებულ წილზე.

76. უკეთუ ამხანაგობა კანონიერის გზით გადავა ნაჭრობითი მიწის სარგებლობაზე, ან სულ გაუქმდება, თვითეული მისი წევრის უფლება მიწაზე უნდა გამორკვეულ იქნეს წესდების თანახმად, და თუ წესდებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ამხანაგობა თვითონ დაადგენს საერთო ყრილობაზე, თუ რამდენი მიწა უნდა შეხვდეს კანონიერი მიწის ნორმის ფარგლებში.

შენიშვნა: თუ გაუქმებული ამხანაგობის სარგებლობაში მყოფი მიწა მიღებული იყო ამხანაგობის მიერ ... ფონდიდან, მიწა გადადის საადგილმამულო ორგანოს განკარგულებაში.

77. ვინც არ იქნება თანახმა ამხანაგობის გადაწყვეტილებისა მიწის სარგებლობის ერთი ფორმიდან მეორის რიგზე გადასვლის შესახებ, მას ნება აქვს გამოიყოს თავისი ხვედრი მიწა ერთ ადგილზე მიწების გაყოფის საერთო წესით, თუ ამხანაგობის სარგებლობაში მყოფი მიწები მისი წევრების ყოფილი საკუთრებაა და არ არის ფონდიდან მიღებული.

თავი V

მიწის საზოგადოებით დამუშავებაზე

78. თვითეულს საადგილმამულო საზოგადოებას, დამოუკიდებლათ მიწის სარგებლობის ფორმისა, შეუძლია მოაწყოს თავის მიწების ან მათი ნაწილის საერთო დამუშავება, წევრების შრომის, ინვენტარის და სხვა საშუალებათა შეერთებით, ხვნის, თესვის, თოხნის, გამარგვლის, მოსავლის მოკრეფის დროს და სხვა.

79. პირობები და რიგი საზოგადოების მიერ მიწის დამუშავებისა უნდა შეტანილ იქნეს ცალკე ... რომელსაც ამტკიცებს თემის აღმასკომი.

კარი VI

სამოსახლოებზე

80. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმაზე თუ არა, უნდა დაეტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საჟ. ერთ ნაჭრად; სამოსახლო ადგილი საერთო მიწის ნორმაში (მუხ. 64) არ ჩაითვლება.

81. როცა სამოსახლოს ზედ აკრავს იმდენი მიწა, რომ მთელი ნაკვეთი აღემატება 1200 კვ. საჟ., მის პატრონს, თუ მას მიწის ნორმაზე უფლება აქვს, უნდა დაეტოვოს მხოლოდ კულტურულად გაშენებული ნაწილი (ვენახი, ბაღი, ბოსტანი, კარზე ტყე და სხ.) პირველ კატეგორიის მიწის ანგარიშით; დამუშავებული ან არაკულტურულად დამუშავებული ნაწილი ეზო-გარემოსა უნდა ჩამორთმეულ იქნას, როცა მას საჭიროებს სოფელი როგორც სამოსახლოს.

82. სამოსახლოების მოწყობის დროს უმიწაწყლოებს და ისეთ მიწისმუშებს, რომელთაც პატარა სამოსახლოები აქვთ, უნდა მიეცეთ სამოსახლო არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საჟენისა ან თვით სოფელში ჩამონაჭერ მიწებიდან ან სოფელზე მიკრულ სახნავ სათიბ, ან საბალახო მიწებიდან, ან კალოებიდან.

შენიშვნა: არა მიწის მუშას, რომლის სამოსახლო ნაკვეთი 1200 კვ. საჟენზე ნაკლებია, დანაკლისი შეევსება.

83 სოფლის გაფართოვება მუხლში ნაჩვენებ წესით ექნება ... გილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, ცა ამას მოითხოვს სოფლის მეურთა ერთი მესამედი; თუ უმრავლესობა არ შესდგა, იმ ... რომელთაც სამოსახლოები ... მისცემოდათ, სახნავ მიწების წილების დროს მიეცემათ ... 300—600 კვ. საჟენამდე სამ... მაგიერ.

84. როცა სამოსახლო 300 ერის პირტენზე ნაკლებია, პატრონს ... ბა ... სამოსახლოზე ახალი ... აგება, გარდა არა სოფლის ... თა, რომელთაც ახალი შენობ... ბის უფლება აქვთ მათ სარ... ბაში მყოფ 300 კვ. საჟენზე სამოსახლოზედაც, თუ სოფელი ... არ მისცემს მაგიერ მიწას ... ჩევით.

85. სოფლის მცხოვრებთა ... სამელს შეუძლია ითხოვოს ... ახალ პლანზე მოწყობა და ... გილზე გადატანა; ასეთი ... სამაზრო მიწათმოქმედების ... იგზავნება ... სარიატში დასამტკიცებლად ... ნაამდეგს გასაჩივრებ... აქვს ერთი თვის ვადა... სამაზრო განყოფილებიდ... გაგზავნისა კომისარიატში.

ნაწილი მეორე

ქალაქის მიწები და სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება

კარი I

ქალაქის მიწებზე

თავი I

ქალაქის მიჯნაზე

86. 1923 წლის 12 აპრილიდან ქალაქების მომქმედ მიჯნის შიგნით მდებარე ყველა მიწა ითვლება საქალაქო მიწად; გარდა ამისა ქალაქების სარგებლობაში მტკიცდება ქვემოთ აღნიშნული სასოფლო მიწები; ქალაქის ტერიტორიის გაფართოება სასოფლო მიწებით ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებით ხდება ამ კოდექსის მე-88 მუხლის საფუძველზე.

87. ქალაქის მიჯნად ითვლება გარეთა საზღვარი, როგორც შენობიანი, ისე უშენობო მიწებისა, რომელიც 1923 წლის 12 აპრილს ქალაქის საბჭოს გამგეობაში იყო და აგრეთვე ქალაქის საზღვრებზე მიკრული ყოფილი საქალაქო მიწა, უკეთუ ის სოფლის მოსახლეობის, ან მუშათა ორგანიზაციების ფაქტიურ სარგებლობაში არაა.

შენიშვნა: განსაზღვრა მომქმედ საქალაქო მიჯნისა ადგილზე ან პლანზე მთელ მის სივრცეზე ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს მიწათმოწყობის წესით პირველ რიგში როგორც ქალაქის საბჭოს, ისე ქალაქის მიდამოების მცხოვრებთა განცხადებით.

88. უკეთუ ქალაქის გაფართოებისათვის აუცილებელი იქნება არსებული საქალაქო მიჯნის შეცვლა და ახალის დამყარება, საკითხი ამის შესახებ უნდა აღძრას ქალაქის საბჭომ ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა; ახალი საქალაქო მიჯნის დამყარების საქმე სწარმოებს მიწათმოწყობის საერთო წესისამებრ; როცა შეთანხმება ქალაქსა და სოფელს შორის არ მოხერხდება, საქმე საბოლოო გადასაწყვეტათ გადაეცემა სრ. საქ. ც. ა. კ. პრეზიდიუმს; ახალი მიჯნის დამტკიცებული პროექტი მოჰყავს სისრულეში საადგილმამულო ორგანოებს.

89. ყველა მიწა, მდებარე მომქმედ საქალაქო მიჯნის გარეთ, ვის სარგებლობაშიაც არ უნდა იყოს იგი, შედის სოფლის ტერიტორიაში, არის საადგილმამულო ორგანოების გამგებლობაში და ემორჩილება მიწის კოდექსის სათანადო დადგენილებებს; მიწა, რომელიც ქალაქის კომუნალურ წარმოებას ხმარდება (წყალსადენს, მორწყვას, საბჭოთა მეურნეობას და სხ.), მტკიცდება ამ წარმოების სარგებლობაში.

90. ქალაქის მიჯნის გარეთ მდებარე მიწები კანონიერად გადაცემული ისეთ დაწესებულება-წარმოებაზე, რომელიც კომუნალურ მმართველობის შემადგენლობაში არ შედის, მტკიცდება ამ დაწესებულებათა სარგებლობაში.

91. რათა თავიდან აშორებულ იქნას უწესრიგო აღნაგობა იმ მიწებზე, რომელიც მომავალში შეიძლება შევიდეს ქალაქის მიჯნაში, ქალაქის საბჭოს უფლება ეძლევა, მიუხედავათ ახალი საქალაქო მიჯნისა, შეადგინოს პლანი და წესი ქალაქის მიჯნის გარეთ მდებარე მიწებზე აღნაგობისათვის; დღიდან ამ პლანისა და წესის დამტკიცებისა არსებულ წესისამებრ და მცხოვრებთათვის მათი გამოცხადებისა, აიკრძალება ახალი შენობების აგება ან ძველის გაფართოება ხსენებულ მიწებზე გარეშე დამტკიცებულ პლანისა და წესისა, გარდა დროებითი და მსუბუქი შენობებისა; პლანის და წესის გარეშე აგებული ან გაფართოებული შენობა დაშლილი იქნება იმ პირთა ხარჯით, ვინც ააშენა, უკეთუ საჭირო შეიქნება აღნიშნული მიწების ქალაქისთვის გადაცემა.

92. უკეთუ ქალაქის მიჯნაზე მიკრულ მიწებზე დაიწყება აღნაგობა, ან ამ მიწებს დაიჭერს კომუნალური დაწესებულება ან წარმოება, ქალაქის მიჯნა გადაწეულ უნდა იქნეს მიწათმოწყობის წარმოების წესისამებრ, რათა აღნიშნული მიწები მოექცეს ქალაქის მიჯნაში; ამ მუხლში აღნიშნულ შემთხვევებისათვის მიწათმოწყობის წარმოების საქმეზე მოწვეულ უნდა იქნეს, როგორც მხარენი: ქალაქის საბჭოსი და თემის აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელნი, ყველა დაინტერესებული დაწესებულება, ორგანიზაცია, წარმოება და კერძო მოსარგებლენი.

93. ამა კოდექსის 86—92 მუხლებში აღნიშნული წესები ვრცელდება აგრეთვე ქალაქის ტიპის მოსახლეობათ ცნობილ დასახლებულ ადგილებზედაც.

თავი II

მიწის ნორმებზე ქალაქებში

94. მიწის ნორმების დაწესებისათვის საქართველოს ყველა ქალაქები განიყოფება სამ კატეგორიათ: პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ტფილისი, ბათომი, ქუთაისი და ფოთი, მეორეს—გორი, სიღნაღი, თელავი, ახალსენაკი, ახალციხე, ჭიათურა და ოზურგეთი და მესამეს ყველა დანარჩენი ქალაქები.

95. პირველ კატეგორიის ქალაქი იყოფა სამ უბნათ: შიდა-უბანი, შუაუბანი და გარეთ-უბანი, მეორე და მესამე კატეგორიის ქალაქები ორ უბნათ: შიდა-უბანი და გარეთ-უბანი.

96. ქალაქში მცხოვრებ ყოფილ მესაკუთრეს მიწისა, როგორც შენობიანის, ისე უშენობოსი, დაეტოვებათ შრომითი სარგებლობაში გარდა იმ სივრცისა, რომელიც უჭირავს შენობებს, არა უმეტეს:

ქალაქები და კატეგორიები	შიდა უბანში	შუა უბანში	გარეთ უბანში
	კვად. საჟ.	კვად. საჟ.	
ტფილისში და ბათომში.	200	400	1-დან 1 ნახ. დესეტინისა, იმისდამიხედვით თუ რამდენზეა დაშორებული მიწა-ქალაქის ცენტრიდან.
ქუთაისში და ფოთში	300	600	
მეორე კატეგორიის ქალაქებში.	600	„	2 დესეტინა.
მესამე კატეგორიის ქალაქებში.	900	„	იმდენი, რამდენიც დაწესებულია მეზობელ სოფლებისთვის ამ კოდექსის მუხ. 61—64 თანახმად.

[illegible] ქალაქში მცხოვრებ მიწის მუშებს, რომლის ერთად-ერთი [illegible] წყარო არის სასოფლო მეურნეობა, უნდა დაეტოვოს [illegible] კანონიერი მიწის ნორმა [illegible] გამოკლებით, რომელიც [illegible] ქალაქში, უკეთუ სო-[illegible] მიწას ის ამუშავებს საკუთარი შრომით.

[illegible] ქალაქის დაყოფას უბნებათ [illegible] ქალაქის აღმასრულებელი [illegible] და ამტკიცებს შინაგან [illegible] სახალხო კომისარიატი.

[illegible] მიწებს გარდა, რაც დატოვე[illegible] იქნება ნორმაში, ყველა და-[illegible] ქალაქის ფარგლებში მდე-[illegible] გადადის ქალაქის აღმას-[illegible] კომიტეტის განკარგულებაში და შეადგენს ქალაქის საადგილმამულო ფონდს.

შენიშვნა: თვითეულ ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი შეიმუშავებს საადგილმამულო ფონდის სარგებლობის სათანადო წესს, რომელსაც ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

100. მიწათმოწყობას ქალაქის ფარგლებში აწარმოებს ქალაქის აღმასკომი.

101. მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა კომისარიატებს უფლება აქვთ ურთიერთ შორის შეთანხმებით გამოსცენ წესები და ინსტრუქციები ამ კანონის განსახორციელებლათ.

კარი მეორე

სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებაზე

თავი I

ზოგადი დებულებანი

[illegible]ლმწიფო საადგილმამულო [illegible] შეადგენს: ყველა მიწა [illegible], მიღიან სახელმწიფო [illegible] ფონდში მიწისმუ-[illegible]-სამეურნეო კავშირ-[illegible] მოსახლეობის მიწით [illegible] შემდეგ.

[illegible]ლმწიფო საადგილმამუ-[illegible] შემადგენლობაში არ [illegible] მიწები, სამთო-სამ-[illegible], რკინის გზით, [illegible] და სხვა სამხედ-[illegible] დაჭერილი [illegible] ასეთი მიწები სა-[illegible] განკარგულებაში [illegible] ემორჩილება ცალკე წესებს; ეს მიწები, როცა საჭირო აღარ იქნება სპეციალურ მიზნისათვის, უბრუნდება სახელმწიფო საადგილმამულო ქონებას.

შენიშვნა: მიწების გადამიჯვნა სპეციალურ დანიშნულებისათვის და მათი სახელმწიფო საადგილმამულო ქონებაში უკან გადარიცხვა ხდება მიწათმოწყობის წესით.

104. სახელმწიფო საადგილმამულო ქონებაში შედის: ა) სახალხო მამულები (საბჭოთა მეურნეობანი), ბ) საზამთრო და საზაფხულო საძოვრები და სხვა შემოსავლიანი საიჯარო ადგილები და გ) საახალშენო მიწები.

105. სახელმწიფო საადგილმამულო ქონება მიწათმოქმედების კომისარიატის და მისი ორგანოების გამგებლობაში და განკარგულებაშია; ამ ქონების გამოყენება ხდება ან უშუალოდ, მეურნეობის წარმოების წესით, ან მისი გადაცემით განსაკუთრებულ პირობებში სახელმწიფო ან საზოგადო ორგანიზაციებზე, დაწესებულებებზე და წარმოებებზე და აგრეთვე კერძო პირებზედაც.

შენიშვნა: სახელმწიფო საადგილმამულო ქონების ორგანიზაციებზე ან კერძო პირებზე გადაცემის წესს ამტკიცებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მიწათმოქმედების კომისარიატის წარდგენით.

თავი II

საბჭოთა მეურნეობებზე

106. საბჭოთა მეურნეობა წარმოადგენს მოწყობის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რომელიც უნდა იყოს მეცნიერულ-ტეხნიკურ საფუძვლად სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და მისი განსაზოგადოებისათვის.

107. ამ კოდექსის გამოცემის დღიდან ყველა საბჭოთა მეურნეობა, გარდა 89 მუხ. მოხსენებულისა, უნდა იქნეს მიწათმოქმედების კომისარიატის და მის ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში.

შენიშვნა: ურთიერთ დამოკიდებულება საადგილმამულო ორგანოებსა, ერთის მხრივ, და სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, მეორეს მხრივ, რომელთაც გადაცემული აქვთ საბჭოთა მეურეობები, განისაზღვრება ცალკე წესებით, რომელსაც გამოსცემს სახალხო კომისართა საბჭო მიწათმოქმედების კომისარიატის წარდგენით.

108. საადგილმამულო ორგანოები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ, რომ საბჭოთა მეურნეობებს, როგორც მათ ხელში მყოფთ, ისე ხელშეკრულებით გაცემულებს, თავის წარმოებითი და აგრიკულტურულ მუშაობაში მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ სოფლის მიწის მუშა მოსახლეობასთან; ამ მიზნით მეურნეობებთან უნდა დაკავშირებული იყვნენ აგრიკულტურული საქმის ორგანიზაციები (საქონლის საჯიშოები, სათესლეების გამავრცელებელი, სასოფლო სამეურნეო მანქანების და მათი სარემონტო სახელოსნოები და სხვ.).

109. ყველა საბჭოთა მეურნეობანი, რომელიც გადაეცემა ორგანიზაციებს ან კერძო პირებს, მოქმედებენ საადგილმამულო ორგანოებთან დადებულ საგანგებო ხელშეკრულების საფუძველზე; ასეთ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის აგრიკულტურული ღონისძიებანი, რომელიც ადგილობრივი პირობების მიხედვით უნდა შესრულებულ იქნას განსაზღვრულ ვადაზე; გარდა ამისა ხელშეკრულებაში უნდა იქნეს მოხსენებული, რომ მტაცებლური გამოყენება მიწისა, ინვენტარისა და შენობებისა გამოიწვევს ხელშეკრულების გაუქმებას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

110. ახალი საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაცია სახელმწიფო ფონდის მიწაზე ხდება მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ უშუალოდ ან მისი დახმარებით სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულების მიერ.

თავი III

საძოვრებზე

111. მიწათმოქმედების კომისარიატს ევალება საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მოწყობა და მათი იჯარით გაცემა.

112. სათიბებიდან და საზამთრო საძოვრებიდან ცალკე ნაკვეთების გამოყოფა შეიძლება მხოლოდ ინტენსიური მეურნეობისათვის და ყოველ კერძო შემთხვევაში მიწათმოქმედების კომისარიატის ნებართვით.

113. საზაფხულო საძოვრებიდან ადგილობრივ მკვიდრთ, რომლებიც ბუნებრივი პირობების გამო იძულებული არიან აწარმოვონ მარტოოდენ მესაქონლეობა, დაეტოვებიათ იჯარის გადაუხდელად განსაზღვრული ნორმა საძოვარი მიწისა შემდეგის რაოდენობით: პირველი კატეგორიის საძოვრებიდან კომლზე 10 დესეტინა, მეორე კატეგორიის საძოვრებზე—15 დესეტინა და მესამე კატეგორიის საძოვრებზე 20 დესეტინა კომლზე.

შენიშვნა 1: პირველი კატეგორიის საძოვრებათ ჩაითვლება საძოვარი ხშირი და ნოყიერი ბალახით, საკმაო სასმელი წყალით და ტყის პირათ მდებარე; მეორე კატეგორიაში ჩაითვლება ის საძოვარი, სადაც სასმელი წყალი ნაკლებათაა ან და ახლოვებით ერთი მესამედი მოკავებულია მახვილი ქვებით, ან დაშორებულია ტყესა და მდინარეს; მესამე კატეგორიაში ჩაითვლება ყველა დარჩენილ უფრო დაბალი ხარისხის საძოვრები.

შენიშვნა 2: საძოვრების ნორმაში დატოვება ხდება მიწათმოწყობის წესით.

ნაწილი მესამე

მიწათ-მოწყობა და გადასახლება

კარი I

მიწათმოწყობაზე

თავი I

ზოგადი დებულებანი

114. მიწათმოწყობის მიზანია არსებული მიწის სარგებლობის გაუმჯობესება და მისი ახალი ფორმების შექმნა თანახმად უფლებისა მიწაზე და სამეურნეო ტეხნიკური მიზანშეწონილების მოთხოვნილებისა.

115. ამ კოდექსის დადგენილებების წესით შესრულდება შემდეგი სამიწათმოწყობო საქმე: ა) გადამიჯვნა მიწებისა, რომელიც ეძლევა სასარგებლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და წარმოებებს, ქალაქებს და ქალაქის ტიპის მოსახლეობას, მშრომელ მიწის მუშათა კავშირებს, და აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში (იჯარა, კონცესია და სხ.) სხვადასხვა დაწესებულებებს, საზოგადოებებს და პირებს- ბ) შექმნა საადგილმამულო ფონდისა სპეციალური დანიშნულებით (საახალშენო, საკონცესიო და სხ.); გ) გამოყოფა მიწების სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებისათვის; დ) ქალაქის მიჯნის დამყარება; ე) მიწის მუშათა ამხანაგობების სარგებლობაში მყოფ მიწების გაყოფა, ცალკე კომლთათვის ან კომლთა კავშირებისათვის მიწის გამოყოფა, საადგილმამულო ამხანაგობის ყველა მიწების ან მათი ნაწილის დაჭრა ცალ-ცალკე მეურნეობებათ ან ნაკვეთებათ, ცალკე კომლთა მეურნეობის გაყოფა (როცა ასეთი დასაშვებია); ვ) მოსპობა ან შემცირება მიწების დაქუცმაცებისა, ნაჭრების ერთმანეთში არევის (чересполосица), უხერხული ფორმის და არსებულ მიწის სარგებლობის სხვა ნაკლისა; ზ) უხერხული გზების გადაგდება, გასწორება და ახალი გზების გაპლანვა, საქონლის სარწყულოების გამოყოფა და მიწის ნაკვეთების გაცვლა ნიადაგის ძირითად გაუმჯობესებასთან (მელიორაციასთან) დაკავშირებით; თ) სოფლების ახალ პლანზე მოწყობა, ი) სოფლების მიჯნების შესწორება და კ) ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა და ჩამორთმეული მიწის გადაცემა უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე მიწისმუშებზე.

116. მიწათმოწყობა სწარმოებს მიწათმოქმედების კომისარიატის საერთო ზედამხედველობის, ხელმძღვანელობის და კანტროლის ქვეშ მის ცალკე რწმუნებულ მიწისმზომელებ-მიწათმომწყობთა საშუალებით, რომელთა მოვალეობა და მოქმედება განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით.

117. მიწათმოწყობა სწარმოებს საადგილმამულო ორგანოების ინიციატივით: ა) როცა საჭიროა შექმნა სპეციალურ დანიშნულების ფონდისა ან ასეთი ფონდის შემადგენლობის შეცვლა და ბ) როცა საადგილმამულო ორგანო საჭიროთ დაინახავს მოსპოს ამა თუ იმ რაიონში მიწის სარგებლობის ისეთი ფორმა, რომელიც განაკუთრებული სიძლიერით ვნებს და აფერხებს მეურნეობის განვითარებას და ამწვავებს საადგილმამულო ურთიერთობას; ყველა დანარჩენ შემთხვევებში მიწათმოწყობა სწარმოებს მხოლოდ დაინტერესებულ მხარეების შუამდგომლობით.

118. მიწების მოწყობის მსურველთ ეტოვებათ იმდენი მიწა, რამდენზედაც მათ აქვთ უფლება ამ კოდექსით; ამასთან მეურნეობის გასაერთიანებლად მიწის ნაკვეთების გაცვლას მათი სისწორით შეფარდებით უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

119. რაოდენობა მიწისა, რომელიც უნდა მიეცეს მიწათმოწყობის დროს ამა თუ იმ დაწესებულებას ან პირს, განისაზღვრება შემდეგ საფუძველზე: ა) სახელმწიფო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და წარმოებებს და აგრეთვე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის მოსახლეობას მიწა ეძლევა თანახმად ამ კოდექსის მუხლი 87 და 88-სა; ბ) მიწის მუშა ცალკე კომლს და მოახალშენეთ ეძლევათ მიწა არა უმეტეს კანონიერ ნორმისა და თავისუფალი საადგილმამულო ფონდის მიხედვით და გ) დაწესებულებებს, საზოგადოებებს და კერძო პირთ (იჯარა, კონცესია და სხვა) თანახმად დადებულ ხელშეკრულებისა და სპეციალურ განკარგულებისა.

120. მიწათმოწყობა სწარმოებს დაინტერესებულ მხარეთა ან მათი წარმომადგენლების დასწრებით, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ რწმუნება მიწათმოწყობის ყველა მოქმედებაზე.

121. სოფლების მიჯნების დამყარების ან შესწორების დროს გარდა მესაზღვრე მოსარგებლეთა გამოწვეულ უნდა იქნენ სოფლის საბჭოების წარმომადგენლები და როცა სოფლის მიჯნა იმავე დროს მაზრის მიჯნაც არის, მაზრის აღმასკომების წარმომადგენლებიც.

122. მიწათმოწყობის მონაწილენი უნდა დაბარებული იქნან სამუშაოზე იმ ანგარიშით, რომ მათ მოუსწრონ მუშაობას დანიშნულ დროზე; საპატიო შემთხვევაში დაგვიანებით გამოცხადებულ მონაწილეს შეუძლია ითხოვოს შესწორება მის მოსვლამდე შესრულებულ სამუშაოსი, რის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთხოვნელის დაგვიანებას საპატიო მიზეზი ჰქონდა (მძიმე ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება და სხ.)

123. მიწისმომწყობთ აქვთ უფლება თავის შეხედულებით მოიწვიონ სანდო გარეშე პირნი, როგორც მოწმეები ყველა იმ მოქმედებისა, რაც ხდება მიწათმოწყობის დროს.

თავი II

მიწათმოწყობის ხარჯების ანაზღაურებაზე

მიწათმოწყობის საქმის შესრულებისათვის მიწათმომწყობი დაწესებულება ახდევინებს დაინტერესებულ პირთ ცალკე საფასურს; სავალდებულო სამუშაოს შესრულება-კი, როგორიცაა საახალშენო ფონდის შექმნა ან დანაწილება და სხვა, ხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

შენიშვნა: რაოდენობა მიწათმოწყობის შესრულებისათვის შესატანი ფულისა, მისი აღების, შენახვის და ხარჯვის წესრიგი განისაზღვრება ცალკე წესებით.

125. მიწათმოწყობის მსურველნი გარდა იმ საფასურისა, რომელსაც იხდიან მიწათმოწყობის შესრულებისათვის, ვალდებული არიან თავის ხარჯით მისცენ მიწის მომწყობს: ა) საცხოვრე ბინა და სამუშაოთ ვარგებული ბინა, ბ) მასალა მუშაობისათვის და მიჯნის ნიშნებისათვის და გ) მუშები და გადასაზიდი საშუალება ზომვისა და მიჯნების გაკეთების დროს.

126. წინა მუხლში მოხსენებული ხარჯები გადახდებათ მიწათმოწყობის მონაწილეთ თანახმათ მათ მიერ მიღებულ მიწების რაოდენობისა და შესრულებულ მუშაობის ხასიათისა; უკეთუ მიწისმოწყობის მონაწილენი რომელთათვისაც შესრულდა სამუშაო, ნებაყოფლობით არ გაიღებენ მათზე შეწერილ ხარჯებს, იმ შემთხვევაში მათ გადახდებათ ეს ხარჯი ადმინისტრატიული წესით.

თავი III

საქმის წარმოების წესრიგზე მიწათმოწყობის დროს

127. მიწათმოწყობის საქმე სრულდება შემდეგი თანდათანობით: ა) მიწათმოწყობის საქმის აღძვრა, ბ) მისი მომზადება, პროექტის შედგენა და დაინტერესებულ მხარეთათვის წარდგენა; გ) დამტკიცება-პროექტის და მისი აღსრულებაში მოყვანა სამიჯნო ნიშნების დასმით ადგილზე; დ) მიწათმოწყობის საბუთების შედგენა და მიცემა მონაწილეთათვის.

128. მიწათმოწყობის წარმოება, რომელიც უნდა შესრულდეს დაინტერესებულ პირთა ინიციატივით, აღიძვრის მათი წერილობითი შუამდგომლობით მიწათმოწყობის ორგანოს წინაშე; მიწათმოწყობა, რომელსაც აწარმოებს თვით მიწათმოწყობის დაწესებულება, დაიწყება ცალკე დადგენილების თანახმად ამის შესახებ.

შენიშვნა: მიწისმუშებს შეუძლიათ შეიტანონ სიტყვიერი განცხადება მიწათმოწყობის საჭიროების შესახებ, რასაც მიიღებს და ჩასწერს მიწათმოწყობის დაწესებულების თანამშრომელი.

129. მიწათმოწყობის დაწესებულება არ დააკმაყოფილებს ისეთ მიწათმოწყობის თხოვნას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან მისი შეხედულებით არა მიზანშეწონილია მეურნეობა წარმოებისათვის; განსაჩივრება ასეთი უარის ყოფისა შეიძლება ორი კვირის ვადაზე მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილმამულო საბჭოში.

130. მიწების მოწყობის მსურველს შეუძლია ითხოვოს დაწყებული მუშაობის შეწყვეტა, რა მდგომარეობაშიაც არ უნდა იყოს მუშაობა, გაწეული ხარჯების გადახდით; მაგრამ უკეთუ მიწათმოწყობის პროექტი უკვე დამტკიცებულია, ან სხვა ვინმე მონაწილეთაგანი ითხოვს მუშაობის გაგრძელებას, მუშაობა უნდა გაგრძელებულ იქნეს; ამასთანავე ის პირი, რომელიც უარს ამბობს მიწათმოწყობის სამუშაოს გაგრძელებაზე, ვალდებულია გადიხადოს მისი ხვედრი ხარჯები, თუ სხვების საქმესთან მისი საქმეც გაკეთდა.

131. მიწათმოწყობის საქმის მოსამზადებლად საჭიროა მოსაწყობ მიწების შემადგენლობის და მათი სამეურნეო-ტეხნიკური გამოკვლევა, მიწის მოწყობის მთხოვნელთა საადგილმამულო უფლების და ურთიერთობის და მათი გეგმისა და მოსაზრების გარკვევა; ყველა ამ მასალის თანახმად შესდგება სათანადო წინასწარი პროექტი მიწების მიზანშეწონილად მოსაწყობად; მიწისმზომელი-მიწისმომწყობი შეადგენს განმარტებითი ბარათს საჭირო მოხაზულობის დართვით) და წარუდგენს მას მონაწილეებს, უკეთუ ისინი არ დაეთანხმებიან პროექტს, მიწათმომწყობი უდგენს პროექტს მთელი მასალითურთ სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას.

შენიშვნა: საქმის მომზადებაში მონაწილეობის მისაღებათ შეიძლება მოწვევა, თუ საჭირო იქნება, აგრონომების, გიდროტეხნიკების და სხვა სპეციალისტების.

132. წარმოდგენილ საქმის განხილვის შემდეგ სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია ან ეთანხმება მას და აგზავნის შესასრულებლათ, ან აბრუნებს შესავსებათ საჭირო დამატებების ჩვენებით, ან თუ საქმეს სცნობს მიწათმოწყობის მიზნებთან შეუფერებლათ, სპობს პროექტს.

შენიშვნა: სამაზრო კოლეგიას შეუძლია მიანდოს მიწისმზომელს მიწათმოწყობის პროექტის შედგენა და შესრულება საქმის დამზადების გათავებისთანავე, პროექტის წინასწარ განუხილველათ კოლეგიაში.

133. მიწათმოწყობის პროექტის შედგენა შეიცავს საპროექტო პლანზე და ადგილზე (დროებითი ნიშნებით) სისწორით აღნიშვნას იმ ნაკვეთებისა, რომელიც ეძლევა მონაწილეებს მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების თანახმად და ტეხნიკურ სამეურნეო წესების მიხედვით; თუ პროექტი უდავოა, საზღვრები აღინიშნება ადგილზე მუდმივი სამიჯნო ნიშნებით.

134. შედგენილ პროექტს მიწისმზომელი წარუდგენს მონაწილეებს პროექტის ადგილობრივ ახსნით და ოქმის შედგენით; მიწისმზომელი ცდილობს ყოველ ღონით შეათანხმოს დაინტერესებული პირნი, ისე-კი, რომ არ დაირღვეს მიწათმოწყობის დედა-აზრი და თუ საჭირო იქნება შეაქვს პროექტში ცვლილებები და შესწორებები.

135. მიწათმოწყობის მონაწილეთა განცხადებები, დავები და საჩივრები, უკეთუ მათი მორიგებით გათავება არ მოხერხდა, უნდა შეტანილ იქნეს ოქმში და მიწისმზომელი მთელ წარმოებას წარუდგენს სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას თავისი დასკვნით და დავების გადაწყვეტის პროექტით, ერთი კვირის განმავლობაში დღ-დან პროექტის წარდგენისა მხარეებისადმი.

136. კოლეგია გაარჩევს მთელ წარმოებას და ან უცვლელათ დაამტკიცებს მას, ან დააბრუნებს შესავსებათ ან ხელახლათ შესადგენათ ნაკლის ჩვენებით.

137 პროექტის შესრულება მდგომარეობს პლანზეა აღნიშნულ საზღვრების გადატანაში ადგილზე მუდმივი სამიჯნო ნიშნების დასმით.

138. სისწორით შესრულებული პროექტი საბოლოოთ მტკიცდება კოლეგიის მიერ, რომლის დადგენილებაში ამ საქმის შესახებ უნდა აღინიშნოს; ა) როდის, სად, ვისი განკარგულებით და რა გაკეთდა, ბ) რა მიწები (შემადგენლობა, რაოდენობა, მდებარეობა და საზღვრები), ვის და რისთვის გადაეცა, გ) როდის, რა რიგით და რა პირობებში უნდა შეუდგენ მხარეები ახლად გადაცემულ მიწების სარგებლობას; დ) რა განსაკუთრებული პირობები, ვალდებულებანი და დავალებანი მყარდება მოსარგებლეთათვის მიწების გადაცემასთან დაკავშირებით; ე) როგორ განაწილდება ხარჯები მიწათმოწყობისა მონაწილეთა შორის; ვ) ვის, ვისგან და რამდენი უნდა მიეცეს ანაზღაურება იმ გაუმჯობესებისათვის, რომელიც შეუტანიათ მიწაში წინანდელ მოსარგებლეთ და დარჩენიათ გამოუყენებელი.

139. მიწათმოწყობის პროექტის საბოლოოთ დამტკიცების და ახლად შექმნილ საადგილმამულო ერთეულების რეგისტრაციის შემდეგ მხარეებს ეძლევათ სათანადო დამოწმებული საბუთები; ამ საბუთებში უნდა აღნიშნულ იქნეს საზღვრები, მდებარეობა, სივრცე და შემადგენლობა მოწყობილი მიწებისა, ნაკვეთების და მოსარგებლეთა დასახელებით, მიწათმოწყობის შესრულების დრო და საფუძველი, სარგებლობის პირობები და სხვა არსებითი ცნობები პროექტის დამტკიცების ოქმში მოყვანილი; დედანი მიწათმოწყობის პლანების, აქტების და საქმეებისა ინახება მიწათმოქმედების კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების არხივში, სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილებებს-კი ეძლევათ პლანების და აქტების ასლები.

140. მიწათმოწყობის ყოველგვარი პლანები და სხვა აქტები მიწათ მოწყობის ორგანოების გარეშე შედგენილი, ან მათ მიერ უარყოფილი, ითვლება არა კანონიერ საბუთად და არ გამოდგება მათში მოხსენებულ მოქმედებათა დასამტკიცებლად.

კარი II

საადგილ-მამულო რეგისტრაციაზე

141. საადგილმამულო რეგისტრაციის მიზანია შეკრიბოს და იქონიოს სწორი და უკანასკნელი ცნობები მიწის სარგებლობის და მიწის მოსარგებლეთა შესახებ სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობისათვის საჭირო, როგორც წინასწარი მასალა მომავალ საადგილმამულო კადასტრისათვის; რეგისტრაციის შესრულება ევალება მიწათმოქმედების კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

142. ყველა სოფელში მიწათმოწყობის გათავების შემდეგ, აგრეთვე ისეთ სოფლებშიაც, სადაც მიწისმოწყობა საჭირო არაა, მიწის მზომელი სასოფლო ყრილობის ორ წარმომადგენელთან ერთად ახდენს მთელი სოფლის ადგილმამულის და მის მოსარგებლეთა რეგისტრაციას.

143 რეგისტრაცია აღნუსხავს საადგილმამულო სიაში თითოეული კომლის მეთაურის დაკითხვით: ა) კომლის შემადგენლობას სქესისა და წლოვანობის აღნიშვნით და ბ) კომლის სარგებლობაში მყოფ ყველა მიწის ნაკვეთებს ცალ-ცალკე (ნაკვეთების სახელებს, შემადგენლობას და სივრცეს).

რ. ს. ფ. ს. რ.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის

ქუთაისის სააგენტო

(გაიხსნა 1923 წლის 29 ნოემბერს)

სწარმოებს საბითუმო ვაჭრობას

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უდიდეს ფაბრიკებში [illegible]

მანუფაქტურის სხვადასხვა საქონლით,

სახელდობრ: ბამბის, აბრეშუმის, სელის, შალის მაუდის, ტრიკოტაჟის საქონლებით, მაფით, წმინდა ბამბით, ნართვით და სხვ.

ვაჭრობა სწარმოებს როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე კრედიტით.

ფასები შესამჩნევად არის დაკლებული

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატიულ დაწესებულებებს ეძლევა განსაკუთრებული შეღავათი.

მისამართი: ქუთაისი, ს. წულუკიძის ქუჩა, მე-2 შესახვევი, ძმ. იაკობიშვილების ყოფილი სახლი, № 4.

კრ. 769 1—1

144. რეგისტრაციის დროს მიწის მოსარგებლენი ვალდებული არიან წარუდგინონ ჩამწერს ყველა საჭირო საბუთები და ცნობები; ვინც ამ ვალდებულებას არ შეასრულებს, გადიხდის ჯარიმას და იმ ზედმეტ ხარჯს რომელსაც გამოიწვევს მისი ადგილმამულის სხვა საშუალებით გამორკვევა.

145. მიწის მოსარგებლეს ექნება უფლება ისარგებლოს მხოლოდ მიწის იმ ნაკვეთებით, რომელიც იქნება შეტანილი სიაში; სიაში შეტანილი ცნობები შეიძლება იქნეს საგანი სასამართლოს განხილვისა.

146. საადგილ-მამულო რეგისტრაციის ორგანოები კანონიერათ პასუხისმგებელი არიან სიაში შეტანილ ცნობების სისწორისათვის; სიაში შეტანილი ცნობები უნდა მიღებულ იქნან ყველა დაწესებულებათა და კერძო პირთა მიერ, როგორც ნამდვილი და უტყუარი ცნობები, სანამ წინაალმდეგი არ იქნება დამტკიცებული სასამართლოს წესით.

147. სიას დაერთვის სოფლის სა ღვრების პლანი, რომელზედაც კოგნოსციურათ აღინიშნება მიწ კატეგორიები, მათი სივრცე, სო ლისაგან ჩამოჭრილი ან მისთვის მი ცემული ნაკვეთები.

შენიშვნა; ცნობები მიწების სივრ ცის შესახებ გეგმაზე და სიაში უნ ერთმანეთს ეთანხმებოდენ.

148. მიწის ნაკვეთი ჩაიწერება მა სი ფაქტიური მოსარგებლის სახელზე; როცა ფაქტიური სარგებლობა სადავოა, ეს გარემოება უნდა შეტანილ იქნეს სიაში მოდავე მხარეების აღნიშვნით.

149. სარეგისტრაციო სიას ხელს აწერენ მიწის მოსარგებლენი, სოფლის საბჭოს წარმომადგენლნი სიის შემდგენი.

150. სიაში შეტანილ ნაკვეთების ინსტრუმენტალურად აზომვა და პლანის აღება უნდა მოხდეს, ყოველ კერძო შემთხვევაში, მიწათმოქმედების კომისარიატის ნებართვით, ხოლო რეგისტრაციის დროს მიწისმზომელს შეუძლია საეჭვო შემთხვევაში შეამოწმოს ადგილობ აზომვით ამა თუ იმ ნაკვეთის სივრცე.

151. სიის დედანი ინახება მიწათმოქმედების კომისარიატის სამეურ არხივში და ასლი ეგზავნება სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილება

III კარი

მიწათმოწყობის დავების განხილვაზე

152. ყოველგვარი საადგილმამულო დავა, რომელიც აღიძვრის არა მიწათმოწყობის პროცესში, უნდა განხილულ იქნეს სახალხო სასამართლოს მიერ საერთო წესით.

153 წინა მუხლში მოხსენებულის გამო მიწათმოწყობის პროცესში და ამ პროცესით გამოწვეული დავები უნდა განხილულ იქნეს სპეციალური ორგანოების მიერ; ასეთი ორგანოებია: სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია და მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილმამულო საბჭო.

154 საქმე ირჩევა კოლეგიაში და საბჭოში მხარეების დაუსწრებლათ.

155. კოლეგიის და საბჭოს კომპეტენციაში შედის გარჩევა მიწათმოწყობის სადაო პროექტების და მიწათმოწყობის დროს სოფლებს შორის ამტყდარ დავისა.

შენიშვნა: მიწათმოქმედების სამაზრო კოლეგიის გადაწყვეტილ მიწების გახარისხების შესახებ საბ ლოოა.

156. სამაზრო მიწათმოქმედების კოლეგიას შეადგენენ: სამაზრო აღ მასკომის წარმომადგენელი, განყ ფილების გამგე და მიწათმომწყობ პირველის თავმჯდომარეობით.

157. კოლეგიის დადგენილება საჩივარი უნდა შეტანილ იქნეს მ წათმოქმედების კომისარიატის საბ ჭოში ერთი კვირის ვადაზე დღიდ დადგენილებისა.

158. მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილმამულო საბჭოს შე ადგენენ: მიწათმოქმედების კომისა რი, მისი მოადგილე და მიწათმო წყობის განყოფილების გამგე, პირ ველის თავმჯდომარეობით.

159. საბჭოს გადაწყვეტილება ს ბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

კარი VI

გადასახლებაზე

160. გადასახლება და საახალშენო მიწების დასათვალიერებლად და ასარჩევათ რწმუნებულების გაგზავნა თავისუფალი საქმეა და ხდება ნებაყოფლობით; იძულებითი გადასახლება შესაძლებელია განსაკუთრებულ გარემოების გამო, მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სამაზრო განყოფილების დადგენილებებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახლებისათვის საჭირო ხარჯებს იკისრებს სახელმწიფოს სალარო ან სამაზრო აღმასკომი ადგილობრივ შემოსავლიდან.

161. გადასახლების საქმის საერთო ხელმძღვანელობა და კანტროლი ეკუთვნის მიწათმოქმედების კომისარიატს, რისთვისაც მას ევალება: შემუშავება გადასახლების პროექტებისა, შექმნა და მოწყობა საახალშენო საადგილმამულო ფონდისა, ორგანიზაცია მოახალშენეთა ადგილიდან დაძვრის, მგზავრობის და ახალშენში დაფუძნებისა, მათთვის ფინანსიური და ნივთიერი დახმარების აღმოჩენა და ამ საქმისთვის დაწვრილებითი წესების შემუშავება და გამოცემა.

162. ახალშენში გადასახლებულის მიწით დაკმაყოფილება საახალშენო ფონდიდან ხდება იმავე ნორმით, ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს იმ ნორმისა, რომელიც დაწესებულია იმ რაიონისთვის, სადაც საახალშენო ფონდი არის.

163. მოახალშენემ უნდა მოახდინოს ძველ ბინადრობაზე თავის ქონების სრული ლიკვიდაცია, გარდა მიწის გაყიდვისა, (შენობების, ნარგის და მიწაში შეტანილ გაუმჯობესების გაყიდვა თავის სასარგებლოთ), სამი წლის განმავლობაში დღიდან ახალშენში დაფუძნებისა წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოერთმევა ქონება და გადაეცემა ადგილობრივ თემის აღმასკომის განკარგულებაში.

164. მიწადმოქმედების კომისარიატის ნება დაურთველად გადასახლება აკრძალულია.

165. საქართველოს რესპუბლიკის საახალშენო ფონდის მიწებზე დასახლების უფლება პირველ რიგში აქვს საქართველოს მოქალაქეს; ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ მჭიდროთ დასახლებულ ადგილების უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთ, რომელთა მიწით კმაყოფილება ძველ ბინადრობაზე თავისუფალი მიწის სიმცირის გამო შეუძლებელია.

შენიშვნა: ყველას, ვინც საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, ახალშენებში დასახლების უფლება მიეცემა მეორე რიგში.

[illegible] მიერ ანგარიშების ჩაბარებით, კანტროლის გავრცელებით და სხვა.

მუშაობის მეთოდებათ უწინარეს ყოვლისა, ითვლებიან, ყველა მნიშვნელოვან საკითხების და მათ გარშემო დისკუსიებს ფართოთ [illegible] ტილება. თავის თავად ცხადია, რომ მიღების შემდეგ გადაწყვეტილებები უნდა იქნას შესრულებული მაქსიმალურად „ჩქარა და სისწორით“.

ბ. ლომინაძე.

(დასასრული იქნება)

პარტიის ახალი ამოცანების შესახებ*)

(მე-4-ე რაიონის დელეგატთა კრება გამართულ დისკუსიიდან)

ამიერ-კავკასიის პირობებში ძნელია ამჟამად პარტიის შიგნით მუშათა დემოკრატიის გატარება.

ფრთხილად მოსახვევებში...

ეს მეტად მოლიპული გზაა!—ასე ამბობდა ერთ-ერთი ამხანაგი...

საკითხის ასეთი დასმა არ არის სწორი და ის მავნებელია.

რუსეთშიც, და მით უმეტეს ამიერ-კავკასიაში ამჟამად პირობები სავსებით ხელსაყრელია იმისათვის, რომ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში შინა-პარტიულ დემოკრატიის მეთოდები. პარტიის მორიგი ამოცანები, რომელნიც წამოყენებული იყო მუშათა კლასის შიგნით მომხდარ გადაჯგუფებით და აგრეთვე მთელ რიგ მიზეზებით, შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს, თუ ჩვენ სიტყვით კი არა, არამედ საქმით საშუალებას მივცემთ პარტიის თვითეულ წევრს აქტიურათ იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან საკითხებში, თუ ჩვენ გავაძლიერებთ დისკუსიების თავისუფლებას და სხვა.

ამ მეთოდის უარყოფა—მოლიპული გზაა, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს პარტიისათვის არა სასურველ შედეგებამდე.

მეორე ამხანაგი სხვა უკიდურესობაში ვარდება. პარტიის მდგომარეობა მისი აზრით კატასტროფიულია. რა თქმა უნდა, ეს უაზრობაა. საკითხი ასე არა სდგას, მას ასე არავინ არ აყენებს. პარტიის წინაშე სდგას მეტად რთული პრობლემა, ამ პრობლემას პარტია გადასჭრის, ფართე დისკუსიის საშუალებით.

არის თუ არა საკითხი შინა-პარტიულ დემოკრატიის შესახებ ცენტრალური საკითხი?

დიახ. ეს ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. ვინც მხოლოდ ამ მხრივ მიმართავს თავის აზრს, მას შეუძლია გამოეპაროს ყურადღებიდან ის ახალი ამოცანები, რომელთაც აყენებს ამხ. ზინოვიევი.

არ არის მართალი ის, ვინც ამბობს: „ნუ დასვამთ სხვა საკითხებს ამ საკითხთან, რომელიც შეეხება შინაპარტიულ დემოკრატიას, რადგან თქვენ ფარავთ ამ ძირითად საკითხს“-ო.

ხდება პირიქით: თუ ჩვენ ვილაპარაკებთ მხოლოდ შინაპარტიის დემოკრატიის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია გამოგვეპაროს ყურადღებიდან შემდეგი საკითხები, რომელნიც დასმული არიან დღეს დღის წესრიგში:

1) უჯრედის როლის შესახებ წარმოებაში, მისი გავლენის შესახებ წარმოების მუშაობის მსვლელობაზე.

2) უჯრედებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ურთიერთობათა გადასინჯვის შესახებ.

3) პროფკავშირთა გავლენის გაძლიერების შესახებ წარმოებაზე.

4) ანგარიშის გაწევის შესახებ აქტიურ უპარტიოთათვის (ისინი ხანდახან ადგილებზე კულტურულის მხრივ უფრო მაღლა სდგანან, ვიდრე კომუნისტები), რომელთაც სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაობაში.

5) ჩვენი პარტიის დამოკიდებულების შესახებ ყოფილ მენშევიკებისადმი.

6) კომუნისტების პირადი კავშირის შესახებ ანტისაბჭოთა ელემენტებთან და „ნეპმანებთან“.

7) პასუხისმგებელ ამხანაგთა შორის შრომის განაწილების პრინციპის დამახინჯების შესახებ.

8) ფუფუნების შესახებ და სხვა.

ყველა ეს საკითხები განხილული უნდა იქნენ დისკუსიის წესით, როგორც საკითხი შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ.

სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, თითქოს ვიღაცას უნდა დაფაროს საკითხები, რომელნიც წამოყენებული არიან მთელი პარტიის წინაშე, რომელთაც აყენებენ პარტიის ხელმძღვანელები.

ზოგიერთი ამხანაგები შეცდომას სჩადიან, როდესაც მათ აქსიომათ მიაჩნიათ შემდეგი:

„უპარტიო მუშა კულტურულის მხრივ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ჩვენი კომუნისტი.

ეს ასე არ არის ყველგან და ყოველთვის. ამისთვის ზოგადი ხასიათის მიცემა შეუძლებელია.

ჩვენში მთელ რიგ წარმოებებში პარტიული მასა კულტურულის მხრივ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე უპარტიო მუშები.

მაგრამ, ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი პარტიისათვის და ამ ფაქტორის არსებობის გამო, ჩვენთვის აუცილებელია სათანადო ღონისძიებათა მიღება. **უახლოესი დროის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა—პარტიის წევრების კულტურულ დონის ამაღლება.**

ზოგიერთმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მე ჩემს წერილებში, რომელნიც მოთავსებული იყვნენ გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში ვცდილობდი აღძრული საკითხები მომექცია მხოლოდ ტფილისის ორგანიზაციის ფარგლებში. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. არსად და არასოდეს მე არ მითქვამს, რომ საჭიროა საკუთარ ორგანიზაციის ფარგლებში ჩაკეტვა იმ დროს, როდესაც, საკითხი შეეხება მთელს პარტიას. ვამბობდი სხვას: ლაპარაკი იყო იმაზე, რომ თვითეულმა ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს თავისი მდგომარეობის ანალიზი, მხედველობაში მიიღოს თავისი გამოცდილება და თვალყური ადევნოს იმას, თუ როგორი პროცესი ხდება მუშათა კლასში ტერიტორიის იმ ნაჭერზე, სადაც მუშაობს ორგანიზაცია. საკითხის ასეთი დასმა მხოლოდ დახმარებას გაუწევს პარტიას სისწორით გადაჭრას მტკივნეული საკითხები.

არ არიან მართალი ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ს. ს. რ. კ. მთელს ტერიტორიაზე ერთნაირი პირობებია ამჟამათ. ჩვენ აღვნიშნავდით იმას, რომ საქართველოს პირობები რამოდენიმეთ განსხვავდება რუსეთის პირობებისაგან. ვერავინ ვერ შესძლო ამის უარყოფა ფაქტებით:

1) ჩვენ არ გაგვივლია სამხედრო კომუნიზმის ეპოქა,

2) ჩვენში არ ყოფილა ერთბაშათ გადასვლა სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე,

3) ჩვენში არ ყოფილა პროლეტარიატის არსებულ კადრის დაქსაქსვა, ან თუ იყო ძალიან მცირე მასშტაბით,

4) მუშათა მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა მენშევიკების ბატონობასთან შედარებით და, ბოლოს, ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა, კერძოთ კი მენშევიკურ პარტიის დაშლა.

ყველასათვის აშკარაა, რომ ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმის სასარგებლოთ, რომ ჩვენში ცოტათ თუ ბევრათ უკეთესი პირობებია. მაგალითად, ჩვენში არ ყოფილა მწვავე კონფლიქტები შრომის ხელფასის არ მიცემისა და გადიდების ნიადაგზე.

თუ ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ეს ნათქვამია იმისათვის, რომ დასმული არ იქნეს საკითხი პარტიის ახალ ამოცანების შესახებ ან და ის დაფარულ იქნეს,—ძალიან ცდებიან. თუ ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ვიღაცას უნდა საკითხის მიჩქმალვა, როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენს პარტიულ მუშაობაში ტფილისში არ ჩანს მოდუნება,—აგრეთვე ძალიან სცდებიან.

ჩვენს მუშაობაში არის მრავალი ნაკლი, მრავალი შეცდომები, საჭიროა მათი გამოსწორება, მაგრამ შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმ დადებით შედეგებს, რომელთაც მიაღწია ორგანიზაციამ.

კრებებზე დასწრება კარგად ხდება, მხოლოდ დისციპლინის გამო. ხოლო, როდესაც ორგანიზაციაში არის დისციპლინა—ეს განა არ არის ამ ორგანიზაციის მდგომარეობის მაჩვენებელი? ზოგიერთი ამხანაგები ისე ფიქრობენ, რომ პარტიაში მხოლოდ კეტებით შეიძლება დისციპლინის შექმნა. ამ რიგათ, ჩვენ არ უნდა უკუვაგდოთ ჩვენს ორგანიზაციაში მიღწეული შედეგები, საჭიროა მომავალში გავაუმჯობესოთ მუშაობა, გამოვასწოროთ შეცდომები და **არა მარტო გავაწარმოვოთ კრიტიკა, არამედ წამოვაყენოთ სასარგებლო კონკრეტიული წინადადებები.**

წინანდელ წერილში კონკრეტიულ წინადადებებით მე-18-ე მუხლში ჩვენ ვსწერდით, რომ საჭიროა გატარებულ იქნეს ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის ცეკას თეზისები ყოფილ მენშევიკებს შორის მუშაობის შესახებ. ერთხელ კიდევ ვრწმუნდები ამ საკითხის სერიოზულობაში, ვინაიდან მთელი რიგი, ამხანაგებისა დისკუსიაში სისწორით ვერ აფასებენ პოლიტიკურათ ამ საკითხს და ვარდებიან დიდ შეცდომაში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ მრავალი მუშები და გლეხები რომლებმაც დასტოვეს მენშევიკების პარტია, ზურგს შეაქცევენ ჩვენს პარტიას და კვლავ ხელში ჩაუვარდებიან მტრებს. თუ დავაკვირდებით მტრის ტაქტიკას, ის ყოველივე ზომებს ხმარობს ამ მასების კვლავ დასაპყრობათ, უარყოფითი დამოკიდებულება ყოფილ მენშევიკების მიმართ აღმოფხვრილი უნდა იქნეს ჩვენს რიგებში.

ერთმა ამხანაგთაგანმა სრულებით ვერ გაიგო შინაპარტიული მუშური დემოკრატიის მეთოდი და ფიქრობს, რომ ეს მეთოდი გადატანილი უნდა იქნეს უპარტიო მასაში.

ამისათვის კი საჭიროა მოვიგონოთ რ. კ. პ. მე-10 ყრილობის რეზოლიუცია, რომელშიაც პარტიული აღმშენებლობის საკითხის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს:

„პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ამა თუ იმ ისტორიულ მომენტში გამოსადეგი ფორმები და მეთოდები შეუძლებელია მექანიკურათ იქნენ გადატანილი სხვა ორგანიზაციებში, მაგალითად, საბჭოებში ან ადმინისტრატიულ, ეკონომიურ ხასიათის ორგანოებში. ასეთი გადატანა იქნებოდა სრული დავიწყება იმ განსხვავების, რომელიც არსებობს მუშათა კლასის (პარტიის) ავანგარდსა და სხვა ორგანიზაციებს შორის, კლასებს შორის, მშრომელების შიგნით არსებულ სხვადასხვა ჯგუფებს შორის, სხვადასხვაგვარ ამოცანებს შორის, რომელთაც მიზნათ ისახავენ ეს ორგანიზაციები და სხვ.“

შინაპარტიული დემოკრატია უარჰყოფს ზევიდან დანიშვნას (назначенство), როგორც სისტემას, მაგრამ არ უარჰყოფს აბსოლიუტურათ ყოველგვარ დანიშვნას.

ერთმა ამხანაგმა აღნიშნა, რომ ბათომში თანამდებობიდან მოხსნილ იქნენ მრავალი ამხანაგები.

მოხსნილი იქნენ იმიტომ, რომ აჭარაში აწარმოებდენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც არ ეთანხმებოდა პარტიის შეხედულებას; იმიტომ, რომ სათანადოთ ვერ მიუდგენ ნაციონალურ საკითხს აჭარაში.

როგორ ფიქრობთ, ასეთი მოხსნაც არის შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევა?

რასაკვირველია, არა. ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ ეს ფაქტი იმისათვის, რომ ჩვენს რიგებში **ყოველგვარი მოხსნა, ყოველგვარი დანიშვნა, ყოველგვარი გადაჯგუფება არ ითვლებოდეს დემოკრატიის დარღვევათ.**

ცხადია, თუ ასეთი მოხსნებები და დანიშვნები სისტემათ გადაიქცევა, პარტიული ორგანოების მუშაობაში, მაშინ საჭიროა ბრძოლა ამის წინააღმდეგ.

შემდეგი საკითხების შესახებ, რომლებიც გაცხარებით ირჩეოდა კრებებზე, ვილაპარაკებ შემდეგ წერილში.

რუბენ.

---

*) სადისკუსიოთ.

ცირკულიარულად.

ფრ. საჩქაროდ.

ს. კ. პ. ყველა ოლქკომებს, მაზრკომებს და ქართულ დივიზიისა და ა. | კ. საგანგებო კომისიის ჯარების პოლიტგანყოფილებებს.

პარტიის ზოგიერთ წევრებს, რომელნიც მსახურობენ წითელ არმიაში, ფლოტში და საგანგებო კომისიის დარგების სანაპირო ნაწილებში, მათი სამსახურის სპეციფიური პირობების გამო, მოწყვეტილი იყვნენ რა თავიანთ პოლიტგანყოფილებებს, და პარტორგანოებს, არ ჰქონდათ საშუალება თავის დროზე გატარებულიყვნენ პარტაღწერაში (სრ. რუსეთის).

ს. კ. პ. ც. კ—ი და ც. საკონტროლო კომისია საჭიროდ სცნობენ პარტაღწერაში გაუვლელობის მიზეზთა. დაწვრილებით გარჩევის და მათი საპატიოდ ცნობის შემდეგ ოლქკომებმა, მაზრკომებმა და სათანადო ნაწილების პოლიტგანყოფილებებმა ნება მისცენ წითელ არმიაში, ფლოტში და საგანგებო კომისიის ჯარების სანაპირო ნაწილებში მომუშავე ამხანაგებს გაიარონ პარტიული აღწერა ადგილებზე.

აღნიშნული მუშაობა უნდა ჩატარდეს ისეთი ანგარიშით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს 1924 წ. 1-ლ იანვრამდე.

პასუხისმგებლობა ამ დამატებითი აღწერის სწორათ და თავის დროზე ჩატარებაში ეკისრებათ ოლქკომების, მაზრკომების პასუხისმგებელ მდივნებს და ქართულ დივიზიისა და ა. | კ. საგანგებო კომისიის ჯარების პოლიტგანყოფილებების უფროსებს.

აღწერის მასალები, (თავის დროზე აღწერაში გაუვლელობის მოტივების აღნიშვნით) უნდა გადმოგზავნოთ საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიაში არა უგვიანეს 1924 წლის იანვრის პირველისა.

ს. კ. პ. ც. კ—ის მდივანი **კახიანი.**

ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მაგიერ

ჟორჟენაძე.

ცეკას ორგკოლეგიის სხდომა.

დეკემბრის 11-ს, პირველ საათზე დანიშნულია ცეკას ორგკოლეგიის გაფართოებული სხდომა, ყველა კავშირების გამგეობათა პასუხისმგებელი მდივნების და ს. პ. კ. ს. კომფრაქციის წევრების თანდასწრებით. ვინაიდან თათბირზე იქნება წამოყენებული ფრიად საგულისხმო საკითხები, ამისათვის დასწრება ზემოაღნიშნულ ამხანაგებისა აუცილებლად საჭიროა.

ს. კ. პ. ცეკას საორგანიზაციო განყოფილება.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(7 დეკემბერი).

ჩერვონცები	240,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	235,500
ჩეკები	235,500
დოლარები ეფექტ.	54,500
ჩეკები	52.500
ოსმ. ქაღ. ლირა	29.500
იტალიური ლირა	1700
ფრანგული ფრანკი	2550
საბჭ. ფულის ნიშნები	14 ნახ.

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—1000 ათ., პური 2 ხარ.—800, ძროხის ხორცი—3,500 ათ., ღორის ხორცი—4500 ფხვნილი შაქარი—7425 მან, შაქარი რაფინადი—11,700 ათ., ბრინჯი ალდ.—2250. კარტოფილი—300. ათ. ვერმიშელი—3400.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხ.—1400—1500 ათ., პური 2 ხარ.—1 მილ., ძროხის ხორცი 3.500—4 მ. ცხვრის ხორცი—4500 მ. შაქარი რაფინადი—11,800—12 მ. ფხვნილი შაქარი—7,500 ათ., ბრინჯი ალდაშის 2 მ.—2500. ვერმიშელი 3500. კარტოფილი—350—400 ათ.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(7 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 კ.	240.000,	60 კ.	14.400 000
2 „	480.000,	70 „	16.800 000
3 „	720.000,	80 „	19 200.000
4 „	960.000,	90 „	21.600.000
5 „	1.200 000,	1 მ.	24.000.000
6 „	1.440.000,	2 „	48 000 000
7 „	1.680.000,	3 „	72.000.000
8 „	1.920 000,	4 „	96 000.000
9 „	2.160 000,	5 „	120.500.000
10 „	2.400.000,	6 „	144 000 000
20 „	4 800 000,	7 „	168 000.000
30 „	7.200.000,	8 „	192.000.000
40 „	9 600.000,	9 „	216.000.000
50 „	12000 000,	1 ჩერ.	240 მილ

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 8 დეკემბრისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 8 დეკემბრისათვის განისაზღვრება—407.700.000 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრება—40.770.000 მან.

ს. ს ს. რ. შრომის სახალხო კომისარი—**ლ. დუმბაძე.**

საერთო-საორგან. გან. გამგის მაგ.—**ა. თურქია.**

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

ამხ. ყურულაშვილის მოხსენება

(დასასრული)

დასასვენებელი სახლები.

გასულ ზაფხულში დასასვენებელი სახლები მოქმედებდენ მცხეთასა, ბორჯომსა და წაღვერში. სულ დასასვენებლად იქნა ამ სახლებში გაგზავნილი 2,555 კაცი, რომელთაგან 73 პროც. ფიზიკური შრომის მუშაკნი იყვნენ. მომავლისთვის განზრახულია დასასვენებელი სახლების ქსელის გადიდება.

შენდება აგრეთვე სანატორიუმი „არაზინდო“. მისი საერთო ხარჯთაღრიცხვა უდრის 157.000 ჩერვ. მანეთს. სამუშაოს ორი მესამედი უკვე გაკეთებულია.

სამუშაო ხელფასი.

მესამე ყრილობამ შეიმუშავა დირექტივები, რათა ხელფასი, მრეწველობის დღევანდელ ვითარების გამო, მიღწეულ ნორმას არ გასცილებოდა. მას შემდეგ მრეწველობა რამოდენიმედ განმტკიცდა, მაგრამ ხელფასის გადიდებაზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია. მიუხედავათ ამისა, ამ პერიოდში ინდუსტრიალურ მუშების ჩამორჩენილ ჯგუფთა (მელითონეთა, მეჭედავეთა, სამთომადნო მუშაკთა) სამუშაო ხელფასი საგრძნობლად გადიდდა. ამ ჟამად ჩერვონეცის ანგარიშზე არიან გადაყვანილნი სახელ. მომარაგებაზე მყოფნი, რკინისგზელნი, განათლების მუშაკნი, პროფ. და პარტიულ ორგანიზაციების პასუხისმგებელნი, ტეხნიკური მუშაკნი და სხვა.

მუშებისათვის სესხის მიცემა.

მუშებისათვის სესხის მიცემის პროექტი ვერ განხორციელდა დღემდე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ბაზარი მეტის-მეტად მერყევია და ფასები პირველ საჭიროების საგნებზე პერიოდულად ეცემა. ამჟამად ფასები განმტკიცდა და სესხის გაცემასაც შეუდგებით მოკლე ხანში. წინად განზრახული იყო სესხის მიცემა მხოლოთ 4.000 მუშისათვის, ამჟამად მთელ რიგ შესაძლებლობათა არსებობის გამო, ეს რიცხვი 14 ათასამდე იქნება გადიდებული.

მუშათა საბინაო კოოპერატივები.

მუშათა საბინაო კოოპერატივის განყოფილებაში 140 სახლია, რომელნიც ხელშეკრულებით გადაცემული აქვს მას ქალ. აღმასკომიდან. პირობის ძალით აღმასკომი აძლევს კოოპერატივს 1,500 ჩერვ. მანეთს სახლების შესაკეთებელ ხარჯების დასაფარავად. ეს თანხა, რასაკვირველია, საკმაო არაა, მაგრამ მაინც დიდი შეღავათის მომცემია.

ინჟენერთა და ტეხნიკოსთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა

მშენებლობა საქართველოში

(ამხ. კორინთელის მოხსენება)

კომუნალური მშენებლობა.

ტფილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობას შემდეგი ძირითადი განყოფილებანი აქვს: კეთილმოწყობის განყოფილება, სასანიტარო ტეხნიკური სექციებით, საწყალსადენის, ტრამვაის, სასაკლაო, ელ. სადგურის სამართველო (უმც) და აბანოები.

კომუნალურ მეურნეობის ყველა ზემოხსენებულმა დარგებმა თავის ნაყოფიერი მუშაობით რამდენიმეთ წინ გაუსწრეს ომამდე არსებულ კომუნალურ მეურნეობის მდგომარეობას.

წყალსადენის განყოფილებამ კაპიტალური რემონტი გაუკეთა 2 საორთქლე ტურბინს ავჭალაში.

შეკეთდა აგრეთვე მტკვარზე ინგლისური ფილტრები და ჰიდროტეხნიკური ნაშენობა.

საპორტო მშენებლობა.

სატრანსპორტო საზოგადოება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩაიბარა ბათომის, სოხუმის და ფოთის ნახევრად განადგურებული ნავთსადგურები, რომელნიც კაპიტალურ რემონტს და უდიდეს ჰიდროტეხნიკურ მოწყობა შეიარაღებას საჭიროებდენ.

ამ ჟამად საქართველოს ყველა ნავთსადგურები ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ფინანსიური მდგომარეობის მხრივ პორტები სახელმწიფოსგან არავითარი დამატებითი თანხების გაღებას არ საჭიროებენ.

საპორტო განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფოთის ნავთსადგურის კეთილმოწყობას და ამ მიმართულებით, უნდა ითქვას, ბევრი რამ მიღწეულია.

ნავთსადგურების შემდეგი წარმატება სავსებით დამოკიდებულია ქვეყნის მრეწველობის და ვაჭრობის აღორძინებასა და საქონლის გატან-შემოტანის გაცხოველებაზე.

„ზაჰესი“.

ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურს აქვს არა მარტო ადგილობრივი, არამედ საამიერკავკასიო მნიშვნელობა.

ამ სადგურის აგება საშუალებას მისცემს რესპუბლიკას პროვინციებში მოაწყოს 44 ცალკე ელექ. სადგური, რომელთა ძალის საერთო რაოდენობა იქნება 9 ათასი ცხენის ძალა.

— ზემოავჭალის სადგურის დამთავრება მოგვცემს 2,500 ათასი მანეთის ეკონომიას ყოველწლიურად.

სადგურის საერთო ძლიერება მიაღწევს 36,000 ცხენის ძალას. ამ ჟამად სადგურის ასაშენებლად მუშაობს 2 ათასი კაცი, რომელთათვისაც სპეციალურად აგებულია 45 სახლი. სადგურზე გაყვანილია ვიწრო ლიანდაგიანი რკ. გზა, და შეკეთებულია ორი ლოკომოტივი სადგურისათვის სააშენებლო მასალის მისაწოდებლად.

ფინანსების მხრივ სადგურის შენების საქმე უზრუნველყოფილია ქალაქის აღმასკომის და მთავრობის მიერ; „ჩემო“-მ ჯერჯერობით გადასდო 900,000 ჩერვონეცის მანეთი. მშენებლობაზე საერთო მოხსენების მოსმენის შემდეგ, ყრილობამ მოისმინა თანა-მოხსენებანი ინჟინერ მელიქ-ფაშაევის „ზაჰეს“-ზე, დიასამიძის „წყალსადენზე“, ფრიზესი „საზღვაო ტრანსპორტზე“, სიმონსონის „შოსე გზათა სამმართველოზე“ და ვაშკილევიჩის „გოსტროის“ კანტორაზე.

„შმო“

(მომხსენებელი ტერ-ასატუროვი).

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ტერ-ასატუროვის მოხსენება „შმოს“ (შრომის მეცნიერ. ორგან.) შედეგების პრაქტიკულ გამოყენებაზე რ | გზის მთავარ სახელოსნოებში. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

არჩეულნი არიან:

1) **11 და მე-12 რაიონის მეურნეობათა და მილიციელთაგან** ვლადიმერ გასვიანი—კომუნისტი, სვიმონ ზურნაჯიანცი (კომ.), კანდიდატებად: ნერსესოვი დავითი და ჩოჩიევი თომა—ორივე კომუნისტი.

2) **ამ.-კავკასიის პორტების თანამშრომელთაგან, გზების სახ. კომ. რწმუნებულის საქართველოდან** ამხ. ამხ. ხაჩიევი—კომუნისტი, დვალი—კომუნისტი. კანდიდატებად ამხ. შნეიდერი—კომუნისტი და ონოფრიშვილი (უპარტიო).

3) **ზეთის, საპნის და საფეიქრო ქარხნების მუშებისა და ორთაჭალის მებაღეებისაგან** ამხ. ამხ. ხვაჩი (კომუნისტი), არაქელოვი—კომ., რახმანი—კომუნისტი. ბოლქვაძე—კომ. და რაგიმ ალახვერდოვი—კომ. კავ. წევრი. კანდიდატებად: გაგიევი (კომ.), ნადირაშვილი (კომ.) და ნაფიტვარიძე (უპარტიო).

4) **მკერავთაგან** ამხ. ამხ. გრანიკი (კომუნისტი), ოგანოვი (საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ყოფ. მენშევიკი), კანდიდატად ამხ. ბაბაიანცი.

5) „**ცენტრო-ტრამოტას**“ მუშებისაგან ამხ. ამხ. მზარეულიშვილი (კომუნისტი), ლაპკინი (ყოფილი მენშევიკი), კანდიდატებად: ვარდენკო (ახ. კომ. წევრი).

6) **მეორე რაიონის მეტყავეთაგან არჩეულია** ამხ. არჯევანიძე (კომუნისტი).

7) **მეხუთე რაიონის [illegible] და მილიციელებისაგან** ამხ. ამხ. დაუფარლი (კომუნ.), შაგინიანი უპარტიო), კანდიდატებად: ქუთათელაძე (უპარტიო), გულიევი (კომკავშირის წევრი).

8) „**ტრო-ხანტეხი**“-**დან** ამორჩეულნი არიან ამხ. ამხ. უტლინი (კომუნ.), მერიჯანაშვილი (კომ.), კანდიდატად ბალდასაროვი (კომუნისტი)

9) **მე-4 რაიონის საბჭოთა მუშაკებისაგან**—ამხ. ამხ. კვანტალიანი, ვარლამ მესხი, ატოევი, ბერია, აშუკინი, ხმალაძე, ტატულოვი, ბუხნიკაშვილი, ალავერდოვი, სიმ. ჯულელი, დანელია, წურწუმია, ოლია ოკუჯავა—ყველა კომუნისტები, ახალ. კომ. კავ. წევრი—რინენბერგი; სიმონ ხუნდაძე, აკაკი კილაძე (ყოფ. მენშ.), ნაცვლიშვილი და ტერელაძე. კანდიდატებად ამხ. ამხ. მელიქაძე, ასია მელიქიანი, ღლონტი და კარაპეტიანი.

10) რ. | გზის პროფსაბჭოს „ზაკტპო“, „დოსტრახკასი“-ს თანამშრომელთაგან (700 კაციდან) ამხ. ამხ. ვისოგორეცი (კომ.), ლაშქარიშვილი, ბაქრაძე (კომ.), პოლიაკოვი (კომ.), ლებედევა (კომ.). კანდიდატებად: შენგელია, პონომაროვი, ზელანოვი (კომუნ.).

11. **ტრამვაის მუშებისაგან.**

ამხ. ამხ. ივანოვ-კავკასკი (კომ.), სერგეევი (კომ.), იორამაშვილი (კომ.), ლევშიცი (კომუნისტი), დოლიძე ჰელიძე (კომ.), იტრიევი (კომ.), ვასილი (კომ.), მახულია (კომ.), ლოგინოვი (ახ. კომ. კავ. წევრი), ვიგორბინი (უპარტიო, ყოფ. მენშევიკი), კანდიდატებად: სამოვი, მარგიშვილი (კომუნისტები), და შეველენკოს ქალი (უპარტიო).

არჩევნების ნუსხა

პირველი რაიონი

ორშაბათს, 10 დეკემბერს.

1. 1 რაიონის წარმოებათა მუშების ცოლები (ნაძალადევის თეატრი, საღამოს 5 საათზე).

მეორე რაიონი

კვირა, 9 დეკემბერი.

1) მე-8-ე, მე-9-ე და მე-10-ე რაიონის მუშათა და გლეხთა გაერთიანებული მილიცია, დილის 10 საათზე მუშათა ცენტ. კლუბში.

2) მე-4 რაიონის მეეზოვეები, შუადღის 12 საათზე მუშ. ცენტ. კლუბში.

3) დასახიჩრებული ჯ.-კაცები, ნაშუადღევს 3 საათზე, დასახიჩრებულ ჯარისკაცთა საერთო საცხოვრებელში.

ორშაბათს, 10 დეკემბერს.

1) საჩვენებელი სკოლა, ყოფილი „განათლება“, სასურ. სახ. კომ-ის როზა ლიუქსემბურგის სახელობის მაუდის ქარხანა, ნაშუადღევს 2 საათზე, მაუდის ქარხნის შენობაში.

2) გამასწორებელი სახლი № 1 და საავადმყოფო, ნაშუადღევს 2 საათზე, გამასწორებელი სახლის შენობაში.

მესამე რაიონი

კვირას, 9 დეკემბერს.

1) მესამე რაიონის სახალხო კვების კავშირი და მეაბრეშუმეები, დილის 9 საათზე, ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბის შენობაში.

2) მეექვსე კომისარიატის მეეზოვეები—დღის 12 საათზე, კომისარიატის შენობაში.

3) საკონსერვო ქარხნის, ტყავის ქარხანა № 2 და საპნის კერძო ქარხნები, ნაშუადღევს 2 საათზე ტყავის ქარხნის № 2 შენობაში.

4) მესამე რაიონის ტვირთმზიდენი და მეკურტნენი საღამოს 5 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში.

ორშაბათს, 10 დეკემბერს.

1) ხაზინა, დილის 10 საათზე, ხაზინის შენობაში.

2) საავადმყოფოები: ფსიქიატრიული, ალექსანდროვის ვენერიული, თვალის სამკურნალო, სააფთიაქო საწყობი ნაშუადღევს სამის ნახევარზე ალექსანდროვის საავადმყოფოში, კამოს ქუჩაზე.

1) წყალსადენის სახელოსნო, ნაშუადღევს 4 საათზე წყალსადენის სახელოსნოების კლუბში.

3) ჩუღურეთის რაიონის მშენებელთა რაიადგილკომი საღამოს 6 საათზე, მშენებელთა კლუბში, 19 თებერვლის ქუჩა.

რკინის გზის მუშებში

6 დეკემბერს დღის 3 საათზე იხსნება სადგურ ტფილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო დაახლოებით 250 კაცამდე. კრების მიზანია აირჩიოს დეპუტატები ქალაქის საბჭოსათვის.

უპირველესად კრებაზე მოხსენებას აკეთებენ ამხანაგები: ვაშაკიძე (ქართულ ენაზე) და გოლდბაუმი (რუსულად).

მომხსენებლები ვრცლად შეეხენ ძველი საბჭოს მუშაობის დადებით მხარეს, რის შემდეგ მუშები ეცნობებიან „ნაკაზს“ ახალ საბჭოსათვის; „ნაკაზს“ მუშები შეხვდენ დიდი ოვაციით.

კარგია, ძალიან კარგი „ნაკაზი“. გაისმის სხვადასხვა ადგილებიდან მუშების ხმა. კრება იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

„მოვისმინეთ რა მოხსენება რკინის გზის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეებმა ამხ. ამხ. ვაშაკიძისა და გოლდბაუმის, მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს მუშაობაზე, ვადასტურებთ, რომ ძველი საბჭოს მუშაობა იყო სწორი და ნაყოფიერი, ამავე დროს ჩვენ ვავალებთ ახლად არჩეულ დეპუტატებს, გაატარონ მუშაობაში ის ხაზი, რომელსაც მისდევდა ეხლანდელი საბჭო, მუშათა კლასის ინტერესების დამცველის,—კომპარტიის ხელმძღვანელობით“.

კრება დეპუტატებად ერთხმად ირჩევს შემდეგ ამხანაგებს:

1. ლომინაშვილი (კომუნისტი),
2. თავდიშვილი (კომუნისტი),
3. კალანდაძე ემელიანე (კომუნისტი)
4. კალანდაძე ერმილე (კომუნისტი),
5. ყიფიანი გიორგი (უპარტიო), 6. მაცაკალაშვილი (კომუნისტი), 7. საბაშვილი პარმენ (კომუნისტი), 8. ლომაძე (ახალ. კომკავშირის წევრი), კანდიდატებად: 1. ლაფერაშვილი (უპარტიო), 2. მოსიაშვილი (კომუნისტი).

მუშკორი მ. ა.

ვინ აირჩიეთ ტრამვაიელებმა

ა. წ. 6 დეკემბერს დილის 7 საათზე შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა საბჭოს დეპუტატების არჩევნები. კრებას ესწრება ძალიან ბევრი მუშა-მოსამსახურე, რომელთაც ძლივს იტევს ტრამვაის პარკი.

მოხსენებით გამოდის ამხ. ივანოვ-კავკასკი. ის აღნიშნავს ძველი საბჭოს მრავალმხრივ ნაყოფიერ მუშაობას, როგორც ქალაქის წარმოება-მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესობაში.

შემდეგ მუშები ეცნობიან ახალი საბჭოს დეპუტატებისათვის „ნაკაზს“, რომელიც მიღებულ იქნა ერთხმად.

შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე. არჩეულ იქნენ დეპუტატებად შემდეგი ამხანაგები:

1. ივანოვ-კავკასკი (კომუნისტი) 2. სერგეევი მიხაილ (კომუნისტი) 3 მახულია (კომუნისტი), 4. ვიგორბინ (უპარტიო), 5 ლევშიც (კომუნისტი), 6. მირზოიევი (კომუნისტი) 7. დოლიძე ვასილ (კომუნისტი), 8. ლოგინოვი (ახალგაზრდა კომკავ. წევრი), 9. იტრიევი (კომუნისტი), 10. იორამაშვილი (კომუნისტი), 11. ჰელიძე ემელიანე (კომუნისტი), კანდიდატებად: 1. სობოვი (კომუნისტი), 2. მარგიშვილი (კომუნისტი). 3. შევჩენკო (უპარტიო). არჩევნების [illegible] შემდეგ კრება იშლება იმ იმედით, რომ არჩეულები განახორციელებენ ამრჩეველთა დავალებებს და „ნაკაზ“-ს.

მუშკორი ჩხეიძე.

„ცენტროტრამოტას“ მუშებში

[illegible]ემბერს დილის 8 საათზე მოხდა „ცენტროტრამოტა“-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა საბჭოთა არჩევნები. კრებას დაესწრო, გარდა რაიონული საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებისა, რაიკომის მდივანი ამხ. ნაზაროვი, ტრანსპორტის კავშირის პრეზიდიუმის წევრი, ამხ. პავლე მელაძე და ამავე კავშირის თავმჯდომარე, ამხ. გეიდენი.

კრებაზე მოხსენებით გამოდის ამხ. პ. მელაძე. ის აღნიშნავს, თუ რა გააკეთა ძველმა საბჭომ თავის მოღვაწეობის განმავლობაში. ხაზი გაუსვა ძველ საბჭოს ენერგიულ მუშაობას.

კრებაზე ილაპარაკეს საარჩევნო კომისიის წევრებმაც.

შემდეგ იწყება არჩევნები. ქვემოდ დასახელებულ კანდიდატებს კრება ერთხმად ირჩევს საბჭოს დეპუტატებად: ზარეულაშვილი (კომუნისტი), ლაპკინ (უპარტიო); კანდიდატად ამხ. ვადენკო (კომკავშირის წევრი).

დასასრულ კრების მიერ განხილულ იქნა „ნაკაზი“. კრება გამოსთქვამს იმედს, რომ ახალი საბჭო შესძლებს იმ ამოცანების განხორციელებას, რომელნიც მის წინაშე დგანან.

კრებას დაესწრო მთელი შემადგენლობა აქაური მუშებისა, რომელთაც აღტაცებით ჩაატარეს არჩევნები. „გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას“ ძახილით კრება იხურება.

მუშკორი ძველთაგანი.

ქრონიკა

— **საგლეხო კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობა.** 16 დეკემბერს, დუშეთში შესდგება მაზრის გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობაზე სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის კომისარი კ. ხომერიკი გააკეთებს მოხსენებას საგლეხო კომიტეტების მნიშვნელობის შესახებ.

— **მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი.** სასურსათო კომისარიატის ცნობების თანახმად მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან საქართველოში 7 დეკემბრისათვის შემოვიდა: 124,424 ფ. ხორბალი, 57,977 ფ. ქერი და 22,448 ფ. სიმინდი. ხოლო ფულად 11 ტრილიონი, 672 მილიარდი, 987 მილიონი და 862,400 მან.

— **წისქვილების და ბორანების გლეხკომებზე გადაცემა.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის რწმუნებულმა ქუთაისის მაზრაში, შუამდგომლობა აღძრა საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე—ყველა წისქვილების და ბორანების საექსპლოატაციოთ გლეხკომებისათვის გადასაცემათ.

— **კურორტი „არაზინდო“.** ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით კურორტი „არაზინდო“ უკვე დამთავრებულია და ახლო ხანში მოხდება მისი საზეიმო გახსნა.

— **სამკურნალო დახმარება დაზღვეულ უმუშევართა ოჯახის წევრებს.** სამკურნალო დახმარების ქვეგანყოფილებამ აცნობა შრომის ბირჟას, რომ სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიოთ დაზღვეულ უმუშევართა ოჯახის შემდეგ წევრებს: დედ-მამას—50 წლის ზევით, ცოლს, უნარდაკარგულ ქმარს, შვილებს 16 წლამდე და ობოლ ნათესავებს 16 წლამდე.

— **უმუშევართა ხელახალი აღრიცხვა.** 5 დეკემბრისათვის ბირჟაზე ხელახალი აღრიცხვაზე გამოცხადდა 325 უმუშევარი. ამათ შორის აღრიცხვაზე დარჩა 297, აღრიცხვიდან სრულებით მოიხსნა 28, რომელთაგან 24 აქვს კერძო შემოსავალი.

— **კურორტ „შოვის“ სასარგებლოდ.** ტფ. სავალიუტო ბირჟის კომიტეტმა დაადგინა კურორტ „შოვის“ სასარგებლოდ გადასდოს ერთი დღის შემოსავალი სავალიუტო ფონდიდან.

— **საცხოვრებელ ბინების სივრცის აღრიცხვა.** ქალ. აღმასკომის დადგენილებით უახლოეს ხანში მოხდება ტფილისში არსებულ საცხოვრებელ და არა საცხოვრებელ ბინების სივრცის აღრიცხვა. აგრეთვე აღრიცხული იქნება ყველა დარბაზების სივრცე.

— **საზამთრო ნათესების სივრცე.** ქ. აღმასკომის სამაზრო სტატისტიკის განყოფილებამ დაადგინა მოახდინოს ტფ. მაზრაში საზამთრო ნათესების სივრცის რაოდენობის გამორკვევა.

— **საფონდო ბირჟის ახალი განყოფილება.** ტფ. საფონდო ბირჟის კომიტეტმა გადასწყვიტა მოედანზე გახსნას საფონდო-სავალიუტო ბირჟის განყოფილება.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 7 დეკემბერს შრ. ბირჟაში ახლად ჩაეწერა 35 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 35, მოთხოვნილება იყო 34.

— **ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კრება.** ოთხშაბათს, 12 დეკემბერს საღამოს 5 ნახევარ საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-15 აუდიტორიაში დანიშნულია საზოგადო კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების საბუნებისმეტყველო სექციის. დღის წესრიგი: 1. ცოტა რამ სექციის მიზნებსა და მომავალ მოქმედებაზე, 2. ზ. ყანჩაველის მოხსენება: „კახეთის ფლორა“, 3. ახალ წევრების მიღება, 4. მიმდინარე საკითხები.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 6 დეკემბერს გაქურდულ იქნა მოქ. დომენტი კანდელაკის ბინა (მცხ. საპიორის ქ № 3) წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— **ცეცხლი.** 6 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე ცეკავშირის შენობას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ მალე იქნა ჩაქრობილი. ზარალი უმნიშვნელოა.

— **უბედური შემთხვევა.** 6 დეკემბერს, დღის 2 საათზე კარლ მარქსის მოედანზე შეერთებულ სამხედრო სკოლის საბარგო ავტომობილი დაეჯახა მოხუც ქალს ოლღა ბებიევისას. დაშავებული გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— **თავდასხმა.** 4 დეკემბერს სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედნი თავს დაესხენ ახალქალაქის მაზრის საზღვრებთან სოფ. დარაკოვის მცხოვრებლებს და წაართვეს ტანისამოსი და ფული. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„კარმენ“-ის ახალი შემადგენლობით

6 დეკემბრის წარმოდგენაში მთავარ ინტერესს იწვევდა ოპერაში სახალხო მომღერლის ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობა; ის ასრულებდა დონ ხოზეს პარტიას, რომელიც საუკეთესოდ ითვლება მის რეპერტუარში. მსახიობი მღეროდა ამ პარტიაში ისე, როგორც ყოველთვის—კარგად, ხმა მტკიცეთ ჟღერდა და ისეთივე ნიაუნსებით და ფრაზით. სცენიური გადმოცემაც მხატვრული და რეალური იყო.

დიდის ინტუიციით და მუსიკალობით შესრულა მსახიობმა პარტიის ყველა ლირიული ადგილები (დუეტი მიკაელასთან, მეორე აქტის არია). ბევრი ტემპერამენტი შეაქსოვა მსახიობმა მესამე აქტის დრამატიულ ფინალში, ჟრუანტელის მომგვრელ სისწორით არის გადმოცემული უკანასკნელი სცენა კარმენთან.

აუდიტორიამ ოვაციები გაუმართა მსახიობს.

მიკაელის პარტიას ასრულებდა ვიშნევსკაია-ცაგარელი. პარტია უდგება მომღერალ ქალის ხმას; მსახიობს წმინდა, ხმოვანი, ლითონის ტემბრის ხმა აქვს. მსახიობმა მოგვცა უბრალო, გულუბრყვილო შეყვარებულ ახალგაზრდა ქალის სახე. კარგად იყო შესრულებული მესამე აქტის დიდი არია.

მშვენიერია ვანო ფალიაშვილის აკომპანიმენტი.

კარგია ცეკვა. განსაკუთრებით ლამაზათ ცეკვავენ პრიმა ბალერინა ანდრეევა და ლეონოვა.

გუნდი სისწორით ვერ მღერის პირველ მოქმედებაში.

მუსიკოსი

— **სახალხო სახლის იუბილე.** დღეს გამართება სახალხო სახლის 30 წლის იუბილე.

გაზ. „სახალხო თეატრი“. დღეს გამოვა სახალხო თეატრის 30 წლის საიუბილეო გაზეთი, მიძღვნილი იუბილესადმი. გაზეთში მონაწილეობენ; დამსახურებული მსახიობი ქალი მ. საფაროვა—აბაშიძისა, დავით კლდიაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ი. გომართელი, კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ნიკო გოცირიძე, ტრ. რამიშვილი, შიო მღვიმელი, ვ. რუხაძე, კ. კაპანელი, ნ. ვერგესელი, ლ. მეტრეველი, ივ. ბარველი და სხვ.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მხურვალე სალამი სახალხო სახლს

სახალხო სახლის დღესასწაულს.

მართული და მოკაზმული
ეს „სახალხო სახლი“
და უნდა ხალხს ჩააბაროს
ანგარიში... დახლი...

—

ნიადაგი მტკიცე უჩანს
მკვიდრი, ღონიერი,
მომავალი უკეთესი
და ნაყოფიერი...

—

ოცდაათი წლის შრომასა
ხალხი უძღვნის სალამს!
მთვარე თეთრ ღრუბელს უგზავნის
და მზე წითელ ალამს!

—

იგი ძველის სიკვდილია
და სიცოცხლე ახლის,
მისი მოკეთე ამაყობს,
მტერი თავს ქვას ახლის!

—

ვაშა, იმის სხივთა ფენას!
ვაშა იმის ამქარს
მშვენებას და ხელოვნებას
მშრომელ ხალხის ლამპარს!

—

ერთგულ მუშაკთ ბრწყინვალებით
დაქათქათებს ზეცა
და ამ ზეიმს ჩემი ლექსით
ვეერთდები მეცა!

მუშა გიგო ხუჩუაშვილი.

—

მუშური სალამი ხალხის მესვეურებს!

(სახ. სახლის 30 წლის დღესასწაულის გამო).

30 წლისთავი შესრულდა მას აქეთ, რაც სახალხო სახლს ჩაეყარა პირველი საძირკველი. 30 წლის წინედ იგი მბჟუტავ ჭრაქს წარმოადგენდა და ძველად მუშათა განათლების და კულტურის მოსისხლე მტრის ქარი ხან აქედან უბერავდა და ხან იქიდან, რომ როგორმე ჩაექრო ის ერთადერთი ხელოვნების მბჟუტავი ლამპარიც, რომელიც თუმცა მკრთალად გაჭირვებით, მაგრამ მაინც თანდათანობით სინათლეს ჰფენდა მუშათა მასას, მისი მატარებელნი და გულშემატკივარნი იმდენად სულით მაღალნი და შეუპოვარნი აღმოჩნდნენ, რომ ის პაწაწა „მბჟუტავი ჭრაქი“ დღეს დიდ ჩირაღდნად გადაიქცა. ვისთვის იყო საჭირო სახალხო სახლი? რისთვის აფასებდა და უფრთხილდებოდა ძველი შეგნებული მუშა ამ ძვირფასს ტაძარს? იმიტომ, რომ მას ვერ აკმაყოფილებდა ბურჟუაზიული „ფარსები“ და „ბალეტები“, რომელნიც მათ ვნებათა ღელვას აკმაყოფილებდა; პროლეტარიატს ასეთ თეატრთან და ხელოვნებასთან საერთო არაფერი ჰქონდა და მას უნდა შეექმნა საკუთარი კლასიური თეატრი სახალხო სახლის სახით. სწორედ ეს აუცილებლობა ღრმად ჰქონდათ შეგნებული და გათვალისწინებული იმათ, რომლებმაც წამების ჯვარი პირნათლად მოიტანეს დღევანდლამდის.

ჩვენ, მუშები ვერ ველირსებოდით დიდებულ შექსპირს, შილლერს და სხვა დრამატურგებს, თუ ჩვენ არ გვექნებოდა ის წინასწარი მომზადება, რომელიც მოგვცა სახალხო სცენამ და სახალხო სახლმა. ის იყო მუშებისთვის როგორც ხელოვნების ტაძარი, აგრეთვე უნივერსიტეტიც, სადაც სხვადასხვა თემაზედ ლექციებს ვისმენდით. ამიტომაც იყო ის, რომ მაშინ ყოველი მუშა ეწერებოდა „სახალხო უნივერსიტეტის“ იგივე სახალხო სახლის წევრად, რათა არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიეღო და არ ჩაეგდო ის ანტი მუშური ინტელიგენციის ხელში, რომ მათ თავიანთი ინტერესებისათვის არ გამოეყენებინათ ის. ამ ღვაწლისათვის დიდი მადლობის ღირსნი არიან განსაკუთრებით შემდეგი პირები: გიორგი ჯაბაური, იოსებ იმედაშვილი, ისაკა ძნელაძე, დათიკო შველიძე და სხვანი. აქვე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ერთი უჩინარი მოღვაწე, რომელიც ჩამძვრალი იყო ხოლმე ბუტკაში და მოწამლულ მტვერსა ჰყლაპავდა, სახელდობრ მოკარნახე (სუფლიორი) მუშა თუშმალოვი, რომელიც ტაშის დაკვრის ღირსიც კი არ გამხდარა, რადგანაც იგი არასჩანდა ხოლმე სცენაზე. მაშ დიდება და დღეგრძელობა სახალხო სახლის საძირკვლის ჩამყრელთ და დამაარსებელთ.

მუშკორი მკერვალი ნიკო

—

სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე.

ჩვენ, სახალხო თეატრის 30 წლის დღესასწაულით მოწმენი ვართ უდიდეს პროლეტარულ დემონსტრაციის.

ეს არის მუშურ ხელოვნების გამარჯვების დღე;

ეს დღე ერთხელ კიდევ მოწმობს მუშურ ხელოვნების ტიტანიურ სიძლიერეს და გამოაცხადებს მის დიქტატურას!

9 დეკემბერი, ჩვენი მუშათა მასის ისტორიის [illegible] წიგნებში გულისხმიერი მოვლენაა, არაჩვეულებრივი დღეა, ზეიმია, გიგანტიური და რიც უფრო საგულისხმო და შესანიშნავია, არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სახალხო თეატრები, ბევრგან არსებობდნენ, მაგრამ არსად და არას დროს მუშათა გონებას არსად არ უმოძრავნია, როგორც ჩვენს თეატრში მოძრაობდა.

მისი დამაარსებლები, აქტიური მომუშავენი, სცენისმოყვარენი, უბრალო პასიური წევრნიც კი მუშები იყვნენ, პროლეტარიატის წიაღიდან გამოსულნი.

სახალხო სახლი ბურჯად ედგა მუშურ ხელოვნებას და მედგრად იცავდა „ბოგანო ხალხის“ საქმეს და ინტერესებს. ერთხელ დასახული მიზანი მან უხადოდ განხორციელებული დღეს მოიტანა ისტორიის სამსჯავროსთან.

დღეს კი მუშათა მასა ყოველგან უფლების მქონე, შემოქმედებითი ცოდნით აღჭურვილი, გრძნობიერ სიტყვით, თბილის გულით მიესალმება თავის ჭაღარა „სახალხო სახლს“ და არ მოაკლებს მზრუნველობას მის მოჭარმაგებულეთ, რომლებიც ხელიხელს ჩაკიდებულნი განაგრძობენ ძვირფასს საქმეს.

ვინ შესძლო სახალხო სახლისათვის შეენარჩუნებინა მისი ნამდვილი სახე, დაეცვა მისი სასიცოცხლო ინტერესები და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადებინა მათთვის, ვინც ლამობდა სახალხო თეატრისათვის უფლებები აეკვეცა და მისი საქმეც დავიწყებისათვის მიეცა?!

ეს შესძლეს ჩვენმა მუშის გაკაჟებულმა მკერდმა და მისმა ძლიერმა ბუნებამ!!

აი ისინი:—ზეინკალი, მღებავი, მეჩექმე, ასოთამწყობი, მელითონე და სხვა მუშა-მსახიობნი.

რა ბედი მოელით მათ ამ უდიდეს ზეიმის დამთავრებასთან ერთად? ნუ თუ ისინი კვლავ სიმშილ-სიცივის „განუყრელ მეგობრებად“ დარჩებიან?;

არა, ათასჯერ არა...

დღეს მშრომელმა ხალხმა და მისმა მთავრობამ უნდა სთქვას თავისი გადამჭრელი სიტყვა და მათი საქმეც უნდა ღირსეულად დააგვირგვინონ... ამას მოითხოვს ჩვენი ფიზილი შეზღუდულება, და უმთავრესადაც ის მცნება, რომ შრომა არ ჰკარგავს თავის დამსახურებას.

მუშა გოგია გ—ძე.

—

ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნას.

დეკემბრის 10-ს 30 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი ალ. ყაზბეგი.

ვინც კი იცნობს ალ. ყაზბეგის ნაწერებს და შეაფასებს იმ დროისა და გარემოების მიხედვით, რომელი დრო და გარემოებაც მას აქვს აღებული, დიდ განძად უნდა ჩაითვალოს მისი ნაწერები ქართული ლიტერატურისათვის.

თუ ვაჟა-ფშაველამ დაგვიხატა თავის ნაწერებში ფშავ-ხევსურების ყოფა-ცხოვრება. ასეთივე მხატვარია ა. ყაზბეგი იმ მოხევეებისა, რომელნიც შეჰკედლებიან მყინვარის თოვლყინულიან კალთებს.

ალ. ყაზბეგი ლამაზი ენით, მხატვრულად აგვიწერს [illegible] მოხევეთა ყოფა-ცხოვრებას, მათ ჩვეულებას და იმ სიდუხჭირეს, რომელიც მათ თავზე დაატეხა რუსეთის მეფის თვითმპყრობელობამ. მისმა უნამუსო მოხელეობამ.

როგორც ბევრ ჩვენ მწერლებს დაალევინა სიმწარე სილარიბემ, ალ. ყაზბეგსაც ასეთივე ხვედრი არგუნა ბედმა. მიუხედავად იმისა, რომ ის „ბრწყინვალე“ წოდებას ეკუთვნოდა და იმის მშობლებს „ჩიტის რძეც“ არ აკლდათ, ისე წაუყვიდათ ყველაფერი ხელიდან, რომ ყაზბეგი საშინელ ხელმოკლეობას განიცდიდა უკანასკნელად. ბედმა ესეც არ აკმარა და სხვა სამი წელი უბედურება დაატეხა მას თავზე. ალ. ყაზბეგი ჭკუაზე შეიშალა და სულით საავადმყოფოში მოათავსეს, რომელიც აქვე გარდაიცვალა 10 დეკემბერს, 1893 წ.

მაშინ ალ. ყაზბეგის ცხედარი დიდის ამბით გააცილა საზოგადოებამ ტფილისის საზღვრამდე, რომელიც წაასვენეს თავის საყვარელ ხევში, „სტეფან-წმინდაში“ დასაკრძალავად, სადაც ის დაიბადა.

ალ. ყაზბეგი ღირსია მშრომელი ხალხის პატივისცემისა და მოგონებისა, რადგან ბევრი რამ გვასწავლია მის ნაწერებიდან.

სხვათა შორის მისი „არსენა“ ყველა მუშას უნახავს სახალხო სცენაზე, რომელიც დამახასიათებელია ბატონყმობის უსამართლო წეს-წყობილებისა.

მუშა ბ. ახალკაცი.

—

მუშათა წერილებიდან

მუშკოპში თავი მოუყრიათ მოხელეთა ნათესავებს „მოხელეთ“.

დიდი ხანია და სასტიკადაც ებრძვის მუშურ-გლეხური მთავრობა „პროტექციას“, „მამიდაშვილობას“ „დეიდაშვილობას“ და სხვა ნათესაური ხელისშეწყობას“ სამსახურში შესვლის დროს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ყოველივე ზომები ამ მიმართულებით თავის მიზანს ველარ აღწევენ. ამის მიზეზი კი მდგომარეობს თავდაპირველად შრომის დაცვის და პროფორგანოების სისუსტეში, რომელნიც კარგად ვერ ერკვევიან მთავრობის კეთილ და მიზანშეწონილ განზრახვა-განკარგულებაში. ამით კი სარგებლობენ სიცრუეში და სხვა ათასგვარ ხრიკებში დახელოვნებული სპეცები და ისინი მთელი თავისი ამალით ახლობელ და შორეულ ნათესავებით ესევიან ჩვენ წმინდა მუშათა ორგანიზაციებსაც კი, როგორიც არის მაგ.—„მუშათა კოოპერატივი“.

ეს დაწესებულება დაიმკვიდრეს მუშკოპის გამგეობის წევრთა და განყოფილების გამგეების ნათესავებმა, რომელთაც აქეთ შეკრული ერთი მთლიანი ფრონტი თავისი კერძო კეთილდღეობისათვის. ამის მაგალითები ბევრია.

დროა დაირღვეს ეს უმსგავსო ნათესაური ფრონტი, რათა ყოველ პატიოსან მუშას უფლება მიეცეს თვითონვე იმუშაოს წმინდა მუშურ დაწესებულებაში თანაბრად მის ცოდნა-გამოცდილებისა.

მუშკორები: ყუმბარა და სხივი.

როდის იქნება იაფი საქონელი?!

იმის აქეთ, რაც გამოცხადდა საქონლის გაიაფების შესახებ, თავაშვებულ და ალვირ-ახსნილ სპეკულიანტებმა გაასკეცეს და გააორკეცეს საქონლის ფასები. ბაზრის ფასებს ყოველდღე 50 პროცენტი მაინც ემატება. ამის გამო მუშა და გლეხისთვის [illegible] პროდუქტები,—ნავთი, მარილი, მანუფაქტურა და სხვა სრულიად მიუწდომელ საგნებად გადაიქცნენ. საქონლის მანეთმაც დაკარგა თავისი ძველი (ზაფხულის დროის) სყიდვითი უნარი. თუ ზაფხულში საქონლის ერთ მანეთნახევრად იყიდიდით ფუთზე მეტს ნავთს, 3 გირვანქას ერბოს, 3—4 არშინ ჩითს, 5—6 დიდ ტომარა ნახშირს და სხვას, ეხლა იმავე საქონლის მანეთით ველარ შეიძენთ აღნიშნულ პროდუქტების და საქონლების მესამედ ნაწილსაც. ყოველივე ამის გამო დღევანდელი შრომის ხელფასი თითქმის სრულიად უმნიშვნელო ხდება.

ამიტომ საჭიროა სასწრაფო ენერგიული და სასტიკი ზომების მიღება ბაზრის ვაჭნალიის და სპეკულიანტების ასალაგმავად, ხელფასის რაოდენობის ასამაღლებლად, ან და საქონლის ფასების ნორმალურ და მუშა გლეხისთვის შესაძლებელ დონეზე დასაყვანად.

მუშკორები: ნიანგისხბური და ხარატი.

პასუხად მუშკორს „ლავას“.

(იხ. „რაბოჩაია პრავდა“ № 1 დეკემბრისა).

მუშკორ „ლავას“ მიერ „რაბოჩაია პრავდა“'ში მოთავსებული წერილი აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის უმოქმედობის და უსაქმიანობის შესახებ არ შეიცავს სიმართლეს. ჩვენმა ადგილკომმა ბევრი რამ კარგი გააკეთა აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთათვის. ამაზე გაზ. „კომუნისტ“'ში სათანადო შენიშვნაც მოთავსებული იყო ამ დღეებში. მუშკორს არ შეშვენის ცრუ და შეუმოწმებელ „ფაქტების“ (?) სიმართლის მეთვალყურე და მოამაგე მუშათა პრესაში გამოტანა გამოქვეყნება. კრიტიკა კარგია, თუ კი ის ნამდვილად ჭეშმარიტებას ემსახურება, მაგრამ კრიტიკა ავია და დაუშვებელი, თუ კი ის „ჭორიკანობის“ და „კინკლაობის“ სახეს იღებს.

თუ ჩვენი ადგილკომის მუშაობა ამხ. „ლავა“, თქვენ მართლაც გაინტერესებთ, შემოიარეთ ადგილკომში და ადგილობრივ გაეცანით მის მუშაობას და შემდეგ გამოსთქვით თქვენი აზრი. მე მუშკორი ვარ. მუშკორის სახელწოდება ჩემთვის ძვირფასია და მგონია თქვენთვისაც უნდა იყოს ასე. მაშ, ჩვენს პრესტიჟს სიყალბით ნუ შევლახავთ!

მუშკორი: ფორა—გაძე.

გაზეთი დიდი ფორმატისაა და დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე.

— **„მეოცნებე ნიამორები“.** გამოვიდა „მეოცნებე ნიამორები“ (№ 10) ვ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით. ჟურნალში მონაწილეობენ: გრ. რობაქიძე—„მზის ნარჭენი“. ი. ყიფიანი—„ჩემს თავზე“. ტ. ტაბიძე—„მელიტა“. კ. ნადირაძე—„დითირამბები“ რაჟდენ გვეტაძე—„*“. გიორგი ლეონიძე—„ქალაქის სასაკლაო“. ელ. დარიანი—„დარიანული“. ვ. გაფრინდაშვილი—„მაჩაბლის მთვარე“. ს. კლდიაშვილი—„გონორარი ყულსახვევისათვის“. ტ. ტაბიძე—წერილი.

— **ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების წლიური კრება.** დღეს, 12 დეკემბერს საღამოს 5 საათზე ხელოვანთა სასახლეში დანიშნულია ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების წლიური კრება. გასარჩევია მრავალი საყურადღებო საკითხი, სხვათაშორის საკითხი აღნიშნულ საზოგადოების ხელოვანთა მთავარ კავშირთან დამოკიდებულების შესახებ.

— **„თეატრი და ცხოვრება“.** სამშაბათიდან გამოვა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

— **ახალი მუსიკალური პიესა.** სარეპერტუარო კომიტეტმა კოტე ფოცხვერაშვილს ნება მისცა დასდგას სცენაზე თავის ერთმოქმედებიანი ახალი სამუსიკო პიესა „პირიმზე“.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** „მეფის საცოლე“.

— **რუსთაველის თეატრი.** „გმირი“.

— **სახალხო სახლი.** ამავე სახლის იუბილე.

— **კონსერვატორია.** კონცერტი.

— **ცირკი.** მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

საბჭოთა ყრილობა ზემო-სვანეთში

1923 წლის 20 ნოემბერს შესდგა ზემო-სვანეთის სამაზრო საბჭოთა მეორე ყრილობა. ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმათ იქნენ არჩეული: კ. სტურუა, ს. გულბანი, გ. კარანაძე, ვ არღვლიანი და გ. ძიძიგური; მდივნობდა ვ მარგიანი.

საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ვ. ლენინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე მ. ორახელაშვილი, ბ. მდივანი და ლ. დუმბაძე.

დღის წესრიგში დაისვა შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე—მომხს. ს. გულბანი, 2) აღმასკომის ანგარიში—კ. სტურუა, 3) სამაზრო აღმასკომის არჩევა, 4) სრულიად საქ. საბჭოთა მეორე ყრილობაზე დელეგატების არჩევა და სხვ.

ამხ. გულბანმა თავის მოხსენებაში აუხსნა ყრილობას საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, კერძოთ კი გერმანიისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა; მან დაახასიათა მე-2 ინტერნაციონალის კრახი—მენშევიკურ ორგანიზაციების გახრწნა, ფაშისტების შემოტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ და სხვ.; შემდეგ განუმარტა ყრილობას რუსეთისა და ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა წარსულში და აწმყოში. დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში დღეს მკვიდრი და დიდი აღმშენებლობითი მუშაობა წარმოებსო და სხვ.

ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ზემო-სვანეთის გლეხობის სახელით ჩვენ, დელეგატები სამაზრო საბჭოთა მეორე ყრილობისა, მხურვალე სალამს უძღვნით საბჭოთა მთავრობას, როგორც დამცველს მუშათა და გლეხთა ინტერესებისა ჩვენ ფიცსა ვდებთ, რომ მუშებისა და გლეხების დამცველ ხელისუფლების სადარაჯოზე ვიდგომებით მუყაითათ და მედგრად.

ამხ. კ. სტურუამ გააცნო ყრილობას ის დაბრკოლებები, რომელნიც ელობებოდნენ აღმასკომს მუშაობის დროს.

შემდეგ ამხ. სტურუა ჩამოთვლის, თუ რა გააკეთა აღმასკომმა ამ ხუთი თვის განმავლობაში ამხ. სტურუას ჩამოსვლის შემდეგ: ზემო-სვანეთში ყველა სკოლებს შეკეთება და სწავლის დაწყება, საბავშვო სახლის გახსნა, საავადმყოფოს მოწყობა, შენობების შეკეთება და სხვ.

ყრილობამ აღმასკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და გამოუცხადა მას ნდობა და მადლობა.

სამაზრო აღმასკომში ყრილობამ ერთხმათ აირჩია შემდეგი ამხანაგები: კონსტანტინე სტურუა, გ. ძიძიგური, ს. გულბანი, ვ. მანჯგალაძე, გრიგოლ კარანაძე, ს. გორდაძისა, ა. დავითიანი, დავით ნავერიანი, გულბანი, ვასილ არღვლიანი, მ. პაქლიანი, ე. კვიციანი, ა. წერედიანი, კანდიდატებათ: გორდაძე დავით, ხერგიანი იოსებ.

სრულიად საქ. საბჭოთა მეორე ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით არჩეული არიან კ. სტურუა, ს. გულბანი და ა. დავითიანი. ამასთან ყრილობაზე დასასწრებლად, სათათბირო ხმით იგზავნება 30 დელეგატი—მაზრიდან.

ხ. გ.

საბჭოების სამაზრო ყრილობა თელავში

30 ნოემბერს, დილის 11 საათზე თელავის მუშათა კლუბის შენობაში გაიხსნა ახლად არჩეულ საბჭოების დელეგატთა სამაზრო ყრილობა, რომელსაც გარდა ხმოსნებისა დაესწრო აუარებელი ხალხი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, წაკითხულ იქნა და დამტკიცებული შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) სამანდატო კომისიის მოხსენება, 3) მაზრის აღმასკომის მუშაობა და საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები, 4) სამაზრო აღმასკომის არჩევნები, 5) სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები და 6) მიმდინარე საკითხები.

ყრილობის დავალებით პრეზიდიუმი უგზავნის მისასალმებელ დეპეშებს პარტიის ცეკას და საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ამის შემდეგ პირველ მოხსენებას პოლიტიკურ მდგომარეობაზე აკეთებს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მათიკაშვილი, რომელიც დაწვრილებით აცნობს ყრილობას გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობას, მის ბრძოლას ფაშიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ მუშების საბოლოო გამარჯვება იქ აუცილებელიაო.

სამანდატო კომისიის მოხსენებიდან ირკვევა, რომ 109 დელეგატიდან გამოცხადებულან და დასწრებიან ყრილობას 95, რომელთა შემადგენლობა ასეთია:

კომუნისტი—54, თანამგრძნობი—11, ახალგაზრდა კომკავშირის წევრი—3, ანარქისტი-კომუნისტი—2 და უპარტიო—25 მათში გლეხი—71, მშრომელი ინტელიგენტი—17, ხელოსანი—6 და წითელარმიელი—2.

საინტერესო იყო მაზრის აღმასკომის მოხსენება, რომელიც დასურათებული იყო ყრილობისათვის საგანგებოთ დამზადებულ დიაგრამებით, რომლებიდან ნათლად სჩანდა, თუ რა გაუკეთებია მას მაზრის კეთილდღეობისათვის განათლების, ჯანმრთელობის, მიწის რეფორმის, აგრონომიულ დახმარების, კომ. მეურნეობის და სხვა დარგში.

ყურადღებას იქცევდნენ შედარების დიაგრამები განათლების დარგიდან, საიდანაც სჩანდა, როგორ ვითარდება ეს დარგი საბჭოთა ხელისუფლების დროს. მოვიღოთ ამაგალითები.

მთელს მაზრაში ყოფილა: 1917 წელს 29 სასწავლებელი 94 მასწავლებელით და 4450 მოწაფით; 1920 წ 55 სასწ., 154 მასწ. და 4670 მოწაფით; 1923 წ. 90 სასწ., 330 მასწ. და 780[illegible] მოწაფე.

ამრიგად, გადიდდა სკოლების რაცხვი ნიკოლოზის და თითქმის ორჯერ მენშევიკების დროსთან შედარებით. მომხსენებელი აღნიშნავს: „საქმე ისე მიდის, რომ ორი წლის შემდეგ არც ერთი ბავშვი მაზრის ფარგლებში არ იქნება სკოლის გარეშე დარჩენილი“-ო.

საგულისხმოა აგრეთვე მიწის რეფორმის შედეგები, რომელსაც გვისურათებს შემდეგი ციფრი:

ჩამორთმეულია მიმდინარე წლის განმავლობაში ვენახები—531 დესეტ., სახნავი—3,429 დეს., ზედმეტი ნორმა ჩამოერთვა—839 კომლ თავადს, 491 კომლ სოფლის კულაკებს.

უკანასკნელი, ოქტომბრის კონფისკაცია შეეხო უფრო თავად-აზნაურებს, არა მიწის მუშებს. კონფისკაციის შედეგები პროცენტებზე გადაყვანილი შემდეგ სურათს იძლევა: 63 პროც. მიწებისა ჩამოერთვა სოფლის კულაკებს, 21,5 პროც. თავადებს, 9 პროც. ვაჭრებს, 2,5 პროც. მღვდლებს და 4 პროც. მოსამსახურეებს და ინტელიგენციას.

მიწის რეფორმის გატარების შესახებ ამხ. მომხსენებელი ამბობს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ უხლა ველარ ვნახავთ მაზრაში ისეთ მიწისმფლობელს, რომელსაც კანონის ძალით მიწაზე უფლება არ ჰქონდეს“-ო.

აღმასკომის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება დაჯილდოვებული იყო მხურვალე ტაშის ცემით და კამათი-შეკითხვების შემდეგ მიღებულ რეზოლიუციაში, მოწონებული.

მოხსენებების შემდეგ მოხდა არჩევნები. აღმასკომის პლენუმში ერთხმათ იყვნენ არჩეულნი შემდეგი ამხანაგები: მათიკაშვილი, პაატაშვილი, ქურციკაშვილი, ჩიტალაძე, მჭედლიძე, ბაბაევი, ქაშაკაშვილი, საყვარელიძე, მამაჯანოვი, ბიძინაშვილი, კოზაევი, ანდრიაშვილი და ბოკერია; კანდიდატებათ: ჩეკურიშვილი, ხელაშვილი, თენეიშვილი, ცინცაძე თამარა და თანდილაშვილი.

სრულიად საქართველოს ყრილობაზე:

ალნიაშვილი პეტრე, მათიკაშვილი შალვა, ჩიტალაძე გიორგი, მჭედლიძე მიხეილ, ქურციკაშვილი გიორგი, სატინი, ჩეკურიშვილი, ბიძინაშვილი, გეურქოვი, თოდრია, იაგორაშვილი.

კანდიდატებად: პაატაშვილი, იმედაშვილი, ზაუტაშვილი და თანდილაშვილი.

ამის შემდეგ ყრილობა აძლევს ნაკაზს ამორჩეულ აღმასკომის წევრებს, რომლის დაბეჭდილ ეკზემპლიარებს ურიგებენ მათ.

მიმდინარე საკითხებში მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა თუშების წარმომადგენელს ამხ. მარხვაიძეს, რომელიც აცნობს ყრილობას ქისტების მოუსვენრობას, მაგალითად ამ დღეებში ისინი დაეცნენ თურმე მთიდან მიმავალ თუშებს, ერთი მათგანი მოკლეს და ერთი ქალიც თან წაიყვანეს და დაატყვევეს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ორივე პატარა ერთა შორის ჩამოგდებულია ზავი და პირობა იცხოვრონ ძმურად და ამხანაგურად. ამ საკითხის მოგვარებაზე ევალება ზომების მიღება და ზრუნვა ცენტრალურ საბჭოების ყრილობაზე მაზრიდან ამორჩეულ დელეგატებს.

ყრილობის დახურვის დროს მოვიდა ცნობა, რომ თბილისიდან ჩამოსულა ამხ. ლადო დუმბაძე, რომელსაც დიდი ოვაციით შეხვდა დარბაზი. მისალმების და პატარა მოხსენების შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელიც გააკეთა ამხ. ლადომ, ყრილობა ირჩევს მას თავის უფროს დელეგატად სრულიად საბჭოების ყრილობაზე და ინტერნაციონალის მღერით იშლება საღამოს 9 საათზე.

ალაზნელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ცხადდება **ტფილისის და მისი მაზრის განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმ. ს კომუნარების საყურადღებოდ,** რომ ა. წ. 8 დეკემბრიდან ყოველ-კვირეულად შაბათობით განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის ბ-ნის შტაბთან კარლ მარქსის მოედანზე № 7, დანიშნულია კომისია, რომელიც მოახდენს სამხედრო მეცადინეობისაგან ავადმყოფობით განთავისუფლებულ და ეხლახან ავადგამხდარ კომუნარების ხელახალ გასინჯვას და აგრეთვე იმ კომუნარების ხელ-ახალ გასინჯვას, რომლებიც შეცდომით იყვნენ ჩარიცხული გაწვევის ამა თუ იმ რიგში ჯანმრთელობის მიხედვით წინად მომქმედ კომისიის მიერ.

კომისია იმუშავებს დღის 1—3 საათამდე.

განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის ტფილისის ბატალიონის
კომანდირი: დ ო ლ ი ძ ე.

— **საქართველოს კ. პ. ტფ. ორგ. ქალაქის რაიკომი იუწყება.** რომ **რაიონის დელეგატთა კრება** უჯრედების მდივანთა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მონაწილეობით, რომელიც დაიწყო 7-ს დეკემბერს, **გაგრძელდება კვირას, 9 დეკემბერს,** დილის 10 საათიდან, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

პასუხისმგებელი მდივანი ხ ა ც ა ც ე ი შ ი.

— **საქართველოს კ. პ. ტფ. ორგ. ქალაქის რაიკომი იუწყება,** რომ ორშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე რუსთაველის თეატრში დანიშნულია **საერთო სარაიონო კრება** მე-4 რაიონის წევრებისა და კანდიდატებისა.

დღის წესრიგში სდგას საკითხი: **„პარტიის ახალი ამოცანები“.**

პასუხისმგებელი მდივანი ხ ა ც ა ც ე ი შ ი.

განცხადებები

თეატრი და ცხოვრება

(თეატრი. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკობა და სხ.)

იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით და დამსახურებულ მწერალთა მონაწილეობით გამოვა ა. წ. დეკემბრის 9-ს ყოველკვირეულად.

ფასი 15 კაპ. ჩერვ.

მეგაზეთეებმა მიმართონ ბეჭ. სიტყვის ექსპედიციას, მეფილეებმა—მეგაზეთეებს, რკინიგზებზე—კიოსკებს.
გამომცემელი: ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ხ ა ლ ი ფ რ ე“

5—3—6

რუსთაველის თეატრი
ქართ. აკად. დრამა

კვირას, 9 დეკემბერს,
ჯონ-სინგის
გ მ ი რ ი
სამშაბათს, 11 დეკემბერს
მეორეთ ერ. ტოლლერის
ა დ ა მ ი ა ნ ი - მ ა ს ს ა
ხუთშაბათს, 13 დეკემბერს
ო ტ ე ლ ო.

ნის. 776—3—2

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 9 დეკემბერს
მ ე ფ ი ს ს ა ც ო ლ ე

ნის. 786—2—2

ტფილისის საქალაქო-სამეურნეო [illegible]
ნდობის [illegible]
გამგეობა ამით აცხადებს, რომ [illegible]
დანიშნულია [illegible] (სასახლის ქ. [illegible])

საჯარო ვაჭრობა

ბანკში დაგირავებულ სხვადასხვა საქონელზე შემდეგი
75, 78, 80, 82, 84. დაწვრილებითი ცნობების მიღება შე
ბანკის გამგეობასთან.

260—1—1 გამგეობა

ტფილისის აღმასკომის განათლე განყოფილება

ამით აცხადებს მშობელთა საყურადღებოდ, რომ მიმდინარე სასწავლ დასაწყისში სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშთათვის იხსნება სა სკოლებთან პარალელური ჯგუფები, სადაც მეცადინეობა დაიწყებ ფისათვის ბავშვთა საკმაო რიცხვის შევსებისთანავე, განყოფილება მო დებს იმ მშობლებს, ვისაც სურთ თავიანთი ბავშვები სკოლაში მოაწყონ თანადო განცხადებანი შეიტანონ მახლობელ შრომის სკოლებში, საიდ შემდეგ გაიგზავნება იმ სკოლებში, სადაც პარალელები იხსნება.

ტფილისის სახგანათლების განყოფილება.

770—1—1.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს ს ჭოსი და შინაგან საქმეთა სახალ კომისარიატის

სავალდებულო დადგენილება №

1923 წ. დეკემბრის 6.

თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენ 1923 წ. ოქტომბრის 10-ის თარიღით და № 31-ით, ს. ს. ს. რ. ლობის მრეწველობის ბლორძინების და ნედლი ტყავეულის სა რიცხვის და განაწილების მიზნით, და აგრეთვე ნედლ ტყავის ბაზ საწესრიგებლად, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაადგინეს:

1. საქ. ს. ს. რ. ფარგლებში სასაკლაოებში დაკლულ ოთხფეხ ლის ტყავების მთელი რაოდენობა პირველ რიგში გადაიდება სახალ ურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავეულობის განყოფილებისათვის, რო ყიდულობს ამ ტყავებს ნაღდ ფულზე, ყიდვის დროს, თვითეულ თვის საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ ბულ მაქსიმალურ ფასების მიხედვით.

შენიშვნა: ა) ნედლ ტყავეულის ფასებს მთელ რესპუბლიკის ლებში აწესებს საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არს განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან ს. მ. უ. ს. ტყავეუ განყოფილების ეკონომიურ სამმართველოს, ცენტრალურ სავაჭრო თველოს და სავაჭრო საფონდო ბირჟის თითო წარმომადგენელი. ბ) ტყავეულის ფასს, საქონლის დაკვლის დღეს, იხდიან ს. მ. უ. ს. აგენ რომელნიც სინჯავენ ტყავებს და იძენენ მათ ნაღდ ფულზე.

2. ნედლ ტყავების შესყიდვას აწარმოებენ ამ საქმეზე დავალე ს. მ. უ. ს. რწმუნებულნი ან ადგილობრივი ორგანიზაციები.

3. იმ შემთხვევაში, თუ ს. მ. უ. ს. ტყავეულობის განყოფილებამ ველ დღესვე ვერ შეიძინა ტყავის მთელი რაოდენობა ან ნაწილი, ხილი ტყავის მთელი რაოდენობა თავისუფალ ბაზარზე იყიდება, საქ. უ. ს. მიერ დაწესებულ ფასებში.

4. ნედლ ტყავის სწორი აღრიცხვის განხორციელების და ბაზრის მოწესრიგების მიზნით, ამ საგანზე დავალებულ ს. მ. უ. ს. რ ნებულთ უფლება ენიჭებათ ზედამხედველობა გაუწიონ თავისუფალ ბაზ ზე ნედლ ტყავეულობით ვაჭრობას.

5. სახელმწიფო ტყავეულობის ქარხნების ნედლი ტყავეულით უზრ ველსაყოფად, ნედლ ტყავეულის შესყიდვა და საქ. ს. ს. რ. საზღვრებიდ გაზიდვა სწარმოებს განსაკუთრებით საქ. სახალხო მეურნეობის უმაღ საბჭოს ნებართვით, როგორც ეს უკვე იყო გამოცხადებული ს. ს. რ. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის ამიერ-კავკასიის რწმუნებუ განკარგულებაში № 13 ოქტომბრის 24 თარიღით.

6. ყველა პირნი და დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი, ისე კერძონი, რომელნიც წინასწარ განსაზღვრით, აუხვევენ ამ დადგენილებას, პასუხისგებაში მიეცემიან ს. ს. სამართლის კოდექსის 145 მუხლის წესით.

7. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალება საქართ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

8 ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტებ სახალხო მეურნეობ ს უმაღლეს საბჭოს ყოველმხრივ დახმარებას უწევენ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. მ. უ ს. თავმჯდომარის მოადგილე: ავაქოვი.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე.
ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველის მოადგილე: ბაშვილი.

768—3—2

„ვამტკიცებ“ ს. მ. უ. ს. პრეზი
დიუმის თავმჯდომარის მოადგი
(ვ. ავაქოვი) 17 ნოემბერს 1923

განცხადება

ბარიტის დამუშავება-გაყიდვის შესახებ.

თანახმად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებისა ა. წ. ოქტომბრიდან № 1 | 9, სამთო განყოფილება ამით აცხადებს შე დეგს:

1) ამიერიდან არავის არა აქვს უფლება ბარიტის დამუშავ ბის ან რეალიზაციისა ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების ნებადაურ თველათ.

2) ყველა ნებართვები და მოწმობები, ბარიტის დამუშავება რეალიზაციაზე და აგრედვე ყოველგვარი შეთანხმებები, ყიდვა ყიდვის შესახებ დადებული, დაწესებულებებსა, საზოგადოებებსა კერძო პირთა შორის, გაცემული ა. წ. 19 ოქტომბრამდე ითვლ გაუქმებულათ.

3) არსებული მარაგი დამზადებული მადანი ბარიტისა, ლის სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადებული დეკრეტი № 1 თანახმად, უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს მტკიცე თვითღირებულ ბის ფასებში, რომელსაც აწესებს სამთო განყოფილება და, ებით, სანამ არსებული მარაგი არ გაიყიდება, შესახებათ ეტყ ყოფილ კერძო-მესაკუთრეებს.

4) ყველა ბარიტის მესაკუთრენი ვალდებულნი არიან 15 კემბრამდე ა. წ. განუცხადონ სამთო განყოფილებას ტფილისში და სამთო განყოფილების რწმუნებულს ქუთაისში, თუ სად და დენი ბარიტი აქვს მომარაგებული.

5) თუ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება აღმოაჩენს განუ დებულ ბარიტის მარაგს, იმ შემთხვევაში ს. მ. უ. ს. სამთო გან ფილება ახდენს ამ მარაგის კონფისკაციას, ხოლო მეპატრონე ცემა პასუხისგებაში.

6) ბარიტის შემდეგი დამუშავება ნება დაერთება ორგანი ციებს და კერძო პირებს განსაკუთრებულ პირობებში, რომელსაც მუშავებს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება. ბარიტის რეალიზაცი მოახდინ მხოლოდ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება იმ ზომით, ზომითაც მოითხოვს ბაზარი.

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების გამგის მოადგილე ი. ელბაქ
ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების რწმუნებული
228 3—3 ინჟინერი ნ. გაჩნაძე.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
სხივებით რენტგენის [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მ ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხ
[illegible] ტფილისი, წერეთლის ქ. № 20. (126—25

დაკარგე პასპორტი № 25 460—მიხეილ კურმიშიძის სახ ჩაითვალოს გაუქმებულად. 261—1—

დაკარგე კომპარტიის წევრობის ბილეთი № 494,482 თის მაზრის ხევის თემის მცხოვრები სანდრო ძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 258—1—

დაკარგე სამობილიზაციო დარგიდან გაცემული „ბო № 8092 პარმენ პეტრესძე ჭანტურიას სახელზე ვალოს გაუქმებულად. 259—1—

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა საშ. წულუკიძის ქ. № 4.